ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
18 აპრილი **ხუთშაბათი** 2013
№090 (14 006) ფასი 80 თეთრი

# ალავერდი მესისთან

ქართველი არგენტინელის კვალში



ული ჰიონესი:
**მესი? არა! ლამი, მიულერი, შვაინშტაიგერი**



ბრაზილია ევროპელებზოდ
**შანსი კიჩასთვის**



მური და



# ევროპაში სამი თასი
# საფინალოდ აივსო

მოდიან
კუნასი

9



გუშინ მილანში „ინტერმა“ „რომასთან“ 2:3 წააგო და თასის გათამაშებას გამოეთიშა

იტალია
რომა-ლაციო

გერმანია
ბაიერნი-შტუტგარტი

ესპანეთი
რეალი-ატლეტიკო

## ოლიმპმა და შსს-აკადემიამ საჩემპიონო მარათონი ახალწვეულებით გახსნეს

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის ფავორიტები ლეგიონერებით ძლიერდებიან. გუშინ გაირკვა, რომ „ოლიმპში“ ამერიკელი დარენ მური ითამაშებს, ხოლო „შსს აკადემიაში“ - კვიპროსელი ვასილის კუნასი.

როგორც „ოლიმპის“ მთავარმა მწვრთნელმა გია კაზანჯიანმა გვითხრა, ლეგიონერის გათავისუფლების ფურცელი ჯერ არ ჩამოსულა, თუმცა ყველა საკითხი შეთანხმებულია. 24 წლის მური 190 სმ სიმაღლისაა და გასულ სეზონში უნგრეთის „დებრეცენის“ ღირსებას იცავდა.

რაც შეეხება „შსს აკადემიას“ ახალწვეულ ვასილის კუნასს, 29 წლის, 194 სმ სიმაღლის უკანახაზელია. იგი მიმდინარე სეზონში გამოდიოდა კვიპროსულ ენად-ში, რომლის ღირსებასაც არაერთი წლის განმავლობაში იცავდა ნიკა ჩხატარაშვილი.

# ახალი წონა და ძველი შემართება

ინტერვიუ ვლადიმერ ხინჩეგაშვილთან

10





ფოტო: www.gff.ge

17-წლამდელთა ნაკრები

## თურქები პენალტებით მოვისტუმრეთ

დღეს ბულგარეთია

**19-წლამდელები ელიტრაუნდისთვის მზადებას პორტუგალიაში იწყებენ**



## იტალიელ მენეჯერს ქართველი ჭაბუკები მოეწონა

2

## ცინცაძე უკრაინულ 1/4-ფინალში 3:1 დაწინაურდა

12



ახალი რუბრიკის პრემიერა

11

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველო და ერთობლივი ლიგა

# გია ჭიაბრიშვილი: ერთიანი ჩემპიონატის მომავალს ვერ ვხედავ

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ზვიად სიჭინავას მიერ გაჟღერებული პროექტის (საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის გაერთიანებული პრემიერლიგა) შესახებ აზრის დაფიქსირება ვთხოვეთ "ზესტაფონის" ყოფილ მთავარ მწვრთნელს, ამჟამად ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე გიორგი ჭიაბრიშვილს.**


გიორგი ჭიაბრიშვილი

- გაერთიანებული ჩემპიონატის პროექტს აქვს პლუსები, მაგრამ იმდენი უარყოფითი დავაფიქსირე, მეეჭვება, ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღისთვის მისი განხორციელება გვიღირდეს. არ ვიცი, ეს პროექტი აზრად ვის მოუვიდა, ან რა სიკეთე დაინახეს, ასე რომ აიტაცეს.

**- მიუღებელი რა არის?**

- ის, რომ ეს მხოლოდ დროებითი გამოსავალია. გრძელვადიან სამომავლო გეგმებსა და იმედებს მასზე ვერ დავამყარებთ. მეეჭვება, ეს რაიმე შედეგისა და პროგრესის მომტანი იყოს.

**- ზოგიერთი კლუბისა და ფეხბურთის ფედერაციის აზრით, ახალი ჩემპიონატი სტადიონებზე მაყურებელს მიიზიდავს, სპონსორებს დააინტერესებს და შემოსავლებს გაზრდის.**

- მე მჯერა, რომ ამ რესურსების მოზიდვა საქართველოს ჩემპიონატშიც არის შესაძლებელი, ოღონდ უფრო ორგანიზებულნი თუ ვიქნებით და ბევრ სხვა პრობლემასაც მოვაგვარებთ.

**- გაერთიანებული ჩემპიონატით ჩვენი კლუბების დონის გაზრდას იმედოვნებენ...**

- ეს არის ერთ-ერთი უპირველესი იმედი, მაგრამ ამაში ეჭვს შევიტანდი. სიმართლე გითხრათ, ამ ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრებით ჩვენი გუნდების კლასის გაზრდაზე ლაპარაკი ილუზია მგონია. კლასის ამაღლებისთვის დიდ გუნდებთან სპარინგებია საჭირო. აზერბაიჯანსა და ყაზახეთს კი ჩვეულებრივი, ჩვენი დონის ჩემპიონატები აქვთ და ბევრს ვერაფერს შეგვძენენ.

მეორე მხრივ, გაერთიანებულ ჩემპიონატში ერთი ქვეყნიდან ექვსი ან რვა გუნდი ითამაშებს - ესეც აშკარა მინუსი იქნება, რადგან მათსა და დანარჩენ ქართულ კლუბებს შორის სხვაობა გაიზრდება, საქართველოს ჩემპიონატი კი მეორეხარისხოვანი გახდება.

ესეც სათქმელია: ჩვენ, აზერბაიჯანელებსა და ყაზახებს განსხვავებული საფეხბურთო მენტალიტეტი და გემოვნება გვაქვს და ერთმანეთს რამდენად შევუხამებთ? ჩემი აზრით, თანხვედრა არც ჩვენი ქვეყნების სპორტულ ინტერესებშია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ კონცენტრირება უნდა მოვახდინოთ საკუთარი ჩემპიონატის დონის გაზრდაზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ბავშვთა ფეხბურთში არსებული მდგომარეობის გამოსწორებაზე. ამ ტურნირის ორგანიზებისთვის გათვალისწინებული თანხები საქართველოს ჩემპიონატს მოვახმაროთ. ქართულ ფეხბურთს სხვა, უფრო ძირეული პროექტების განხორციელება ესაჭიროება და არა მსგავსი ჩემპიონატის ჩატარება.

**- მეორეც, საკითხავია: არსებობს კი იმის თანხები, რომ ჩვენმა გუნდებმა აზერებსა და ყაზახებს კონკურენცია გაუწიონ?**

- დარწმუნებული ვარ, საფეხბურთო ნიჭით მათზე ბევრად მაღლა ვდგავართ. მაგრამ საკამათო არც ის არის, რომ ორივე ქვეყანას ჩვენზე გაცილებით მეტი ფინანსები აქვს, მათ ლიდერებს კი ჩვენს ფავორიტებზე ათჯერ მეტი ბიუჯეტი. მაგალითად, ბაქოს "ნეფთჩის" მეპატრონე გუნდს ყოველწლიურად 40 მილიონ დოლარს ახარჯავს. ამხელა ბიუჯეტი ყველა ქართულ კლუბს ერთად აღებული არ ექნება. და თუ მათ ამ მონაცემებით არ მივუახლოვდებით, ერთობლივ ჩემპიონატში ძალიან გაგვიჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

## მალხაზ ჟვანია: ეს იდეა უეფასთან შეუთანხმებლად არ გაჟღერდებოდა

**გაერთიანებული ქართულ-აზერბაიჯანული ლიგის შესახებ მოსაზრება უკვე არაერთმა ქართველმა სპეციალისტმა გამოთქვა და აზრთა სხვადასხვაობაც დაფიქსირდა. დღეს "ლელოს" რესპონდენტი მარტვილის "მერანის" მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჟვანიაა, რომელიც იდეის მომხრეთა ბანაკშია.**

- არ ვიცი, რამდენი მომხრე და მოწინაალმდეგე ჰყავს ამ პროექტს აზერბაიჯანში და რას მოუტანს ეს ჩემპიონატი იქაურ კლუბებს, ქართველებისთვის კი ეს იდეა ცალსახად მომგებიანად მიმაჩნია. ფაქტია, რომ დღეს ჩვენს მეზობლებს ჩვენზე ბევრად მეტი ფული აქვთ და რაკი მზად არიან, ჩემპიონატი თავად დააფინანსონ, უარის თქმის მიზეზი არ გვაქვს.

ერთადერთი, რაც მაფიქრებს, ის არის, როგორ გათამაშდება გაერთიანებულ ჩემპიონატში ევროთასების საგზურები, მაგრამ როგორც შევიტყვე, ოთხი ქართული კლუბი ევროტურნირებზე ნებისმიერ შემთხვევაში იასპარეზებს. ასე რომ, დამაბრკოლებელ ფაქტორს საერთოდ ვერ ვხედავ.

არც ის მგონია, რომ პროექტის წინააღმდეგ უეფა წავა. რაკი ამ თემაზე საუბარი ინტენსიურად დაიწყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პროექტის ინიციატივას უეფასთან შეთანხმებით გააჟღერებდნენ.

არ ვამბობ, რომ ეს ექსტრაკლასის ტურნირი იქნება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მივიღებთ იმაზე მაღალი დონის გათამაშებას, ვიდრე საქართველოს დღევანდელი ჩემპიონატია.

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, საქართველოს ჩემპიონატს ფინანსურად ძლიერი სპონსორები ჰყავდეს და ამ გზით შევძლოთ ჩვენი უმაღლესი ლიგის განვითარება, მაგრამ რეალობა აბსოლუტურად სხვაგვარია. გამოითქვა მოსაზრება, რომ სპონსორების მიერ შემოთავაზებული თანხა ჩვენი ჩემპიონატის გაძლიერებას მოვახმაროთ. ეს მშვენიერი იქნებოდა, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ სპონსორები მხოლოდ გაერთიანებული ლიგის დაფინანსებაზე არიან თანახმა?!

მიზეზებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი ბიზნესმენებისთვის ქართულ ფეხბურთში ფულის ჩადება საინტერესო არ არის და როდემდე უნდა ველოდოთ ამ გაყინული მდგომარეობის შეცვლას?!


მალხაზ ჟვანია

ქართული კლუბები ამ პროექტით სულს მოითქვამენ და სტადიონზე მაყურებლების რაოდენობაც აუცილებლად გაიზრდება. მეზობელი ქვეყნების კლუბებთან დაპირისპირებას სულ სხვაგვარი ინტერესი მოჰყვება. უნდა ვივარაუდოთ, რომ კლუბები სატელევიზიო რეპორტაჟებითაც გამოიმუშავებენ გარკვეულ თანხას.

ბუნებრივია, არსებობს გარიგებული მატჩების საშიშროება, მაგრამ მსგავსი სიბინძურეები არც საქართველოს ჩემპიონატს აკლია. მთავარია ორგანიზატორების ნება. ამ შემთხვევაში გარიგებული შეხვედრების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U19

## ელიტრაუნდისთვის პორტუგალიაში

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები 20 აპრილს პორტუგალიაში გაემგზავრება, სადაც საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე ითამაშებს. სფფ-ს პრესსამსახურის ცნობით, გუნდი პორტუსთან ახლოს, ქალაქ პოვოა დე ვარზიმში დაბინავდება და მატჩებსაც ამ ქალაქში გამართავს: 23 აპრილს პორტუგალიასთან, 25 აპრილს სერბეთთან, ხოლო 27-ში – რუსეთთან.

19-წლამდელები პორტუგალიაში შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრებიან:

მეკარეები: **გაბრიელ თებიძე ("ჩიხურა"), ბაჩო მიქავა ("ლოკომოტივი")**

მცველები: **დავით მთივლიშვილი, ნიკა ჭანტურია (ორივე – "ლოკომოტივი", თბილისი), ლევან გეგეჭკორი ("მერანი"), ნიკა სანდოხაძე ("ტორპედო"), დავით უბილავა ("ვიტ ჯორჯია"), ლაშა დვალი ("სკონტო", ლატვია)**

ნახევარმცველები: **გურამ სამუშია, ავთო ენდელაძე (ორივე – "ზესტაფონი"), თემურ მარკოზაშვილი ("ტორპედო"), პაპუნა ფონიავა ("მერანი"), დაჩი ცნობილაძე ("მეტალურგი"), გიორგი გოროზია ("ლოკომოტივი")**

თავდამსხმელები: **ბაჩანა არაბული ("დილა"), ბუდუ ზივზივაძე ("დინამო"), გიორგი ფანცულაია ("ტორპედო"), ნიკა კაჭარავა ("რუბინი", რუსეთი)**

**გია ცეცაძის** გუნდს მაისში ბელგიაში ელიტრაუნდის მატჩებიელის (ბელგია, ინგლისი, შოტლანდია) და მთავარი მწვრთნელი პორტუგალიურ ტურნირს გენერალური რეპეტიციად განიხილავს.

პორტუგალიაში შარშან **ოთარ კორღალიძის** ფორმაციის 19-წლამდელთა ნაკრებმაც იასპარეზა: პორტუგალიასთან წაგების შემდეგ (1:5), ჯვაროსნებმა **ვაკო ყაზაიშვილის** ჰეთ-თრიქით საფრანგეთს სძლიეს (3:0), ბოლოს კი ზედ სერბეთიც ძიაყოლეს (2:1) და ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავეს.

**მერაბ მამულაშვილი**

სტუმარი



**საქართველოში** იტალიელი მენეჯერი, "ბოლონიასა" და იტალიის 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მეკარე რიკარდო ჩერველატი გვესტუმრა. მას თბილისში დაბადებული და ამჟამად იტალიაში მოღვაწე ანდრეი ლასიუკი ახლავს, რომელიც პროგრამა "ვაისკაუტის" მენეჯერია.

*"ჩერველატის სერიოზული კავშირები აქვს. მისი ხელშეწყობით, "საბურთალოს" 1996 წელს დაბადებულთა გუნდი ვიარეჯოს პრესტიჟულ ტურნირზე მიიწვიეს, სადაც "იუვენტუსი", მოსკოვის "სპარტაკი" და ბევრი სხვა პოპულარული კლუბი ითამაშებს. იქ სასელექციოდ ევროპული გრანდები ჩადიან და ცხადია, ასეთ სახელოვან ჯგუფში "საბურთალოს" მოხვედრა დიდი პატივია. არ დავმალავ, რომ ჩერველატი ბაჩანა არაბულს აკვირდება, რომელთანაც კონტრაქტის გაფორმება გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გუნდსაც სურს. ჩერველატიმ შარშან იტალიაში მიმასპინძლა და "ბოლონიასა" და "იუვენტუსის" წარმომადგენლები გამაცნო. იმდენად კარგი შეხვედრები მომიწყო, რომ გადავწყვიტეთ, მისთვის "საბურთალოს" წარმომადგენლობა შეგვეთავაზებინა"* – გვითხრა "საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ**.

*რიკარდო ჩერველატის ჯერ მისი კარიერის შესახებ შევეკითხეთ.*

## იტალიელ მენეჯერს არაბული და კაკაბაძე მოეწონა

- კარიერა ფერარას "სპალში" დავიწყე. 1968 წლის შემდეგ, კლუბმა პოზიციები დათმო და სერია A-ში აღარ უთამაშია, მაგრამ დღემდე ნიჭიერი ბავშვების აღზრდითაა ცნობილი. სერია B-ს გუნდის ძირითად შემადგენლობაში 19 წლისამ ვითამაშე, ვიყავი იტალიის 19-წლამდელთა ნაკრების წევრი, 1991-95 წლებში "ბოლონიაში" ვთამაშობდი, მაგრამ მაშინ კლუბს არ ულხინდა და სერია B-ს ვერ ასცდა. სხვათა შორის, იტალიის შეარაღებული ძალების ნაკრებშიც გამოვდიოდი.

**- ახლა რომელ კლუბებთან თანამშრომლობთ?**

- სერია A-ს თითქმის ყველა კლუბთან. მაგრამ უფრო ახლო ურთიერთობა მაქვს "იუვენტუსთან", "ბოლონიასთან" და "ინტერთან".

**- საქართველოში ჩამოსვლის მიზანზეც გვითხარით.**

- თბილისში დაუგეგმავად ჩამოვედი. გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გვქონდა. ჯერ „საბურთალოსთან" ხელშეკრულება არ გამიფორმებია, მაგრამ პარტნიორობაზე ვფიქრობთ. მაინტერესებდა "საბურთალოს" სავარჯიშო პროცესი, მისი გუნდის შეხვედრა თბილისის "დინამოს" ასაკობრივ გუნდთან... პირველი შთაბეჭდილება სასიამოვნო იყო. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ბევრი ნიჭიერი ბავშვი ვნახე, განსაკუთრებით, ამ სკოლაში. მუშაობა კარგად ორგანიზებულია, თვალს ისიც ხვდება, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები ბავშვების სპორტულ აღზრდასთან ერთად, მათ პიროვნულ ჩამოყალიბებაზეც ზრუნავენ - მსაჯებსა და მოწინააღმდეგეებს აგრესიულად არ ექცეოდნენ. ეს ძალიან ბევრზე მეტყველებს.

**- შევიტყვეთ, რომ ბაჩანა არაბულით დაინტერესდით...**

- არაბული მართლაც საინტერესო თავდამსხმელია. ევროპაში ნიჭიერ ახალგაზრდებზე დაგეშილი მენეჯერები მას კარგად იცნობენ. თბილისის "დინამოს" ახალგაზრდული გუნდის მცველი ოთარ კაკაბაძეც მომეწონა. მაგრამ ამ მოთამაშეებზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ. მალე ბელგიაში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ელიტრაუნდის მატჩებს დავესწრები, საინტერესო მოთამაშეები არიან 17-წლამდელთა ნაკრებშიც, რომელმაც ცოტა ხნის წინ ავსტრიაში ითამაშა.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ ქართველი ფეხბურთელების იტალიაში წაყვანისას მთავარი პრობლემა არაევროკავშირელებზე მოქმედი ლიმიტია.

**- სხვათა შორის, ეს პრობლემა მოგვარებადია.**

- როგორ?!

**- მაგალითად, უნგრეთში ქართველი ლეგიონერად აღარ ითვლება.**

- თქვენ რომ ევროკავშირის წევრი არ ხარ?

**- „დიორი ეტოს" მენეჯერმა ლაშა ოდილაძემ უნგრეთის ფედერაციას სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლა ლეგიონერებზე შეზღუდვების გამო. საქმე ისაა, რომ საქართველოს ევროკავშირთან ხელშეკრულება აქვს ვიზების გაცემისა და დასაქმების გაიოლებული წესის შესახებ. ოდილაძემ პროცესი მოიგო.**

- ეს გენიალური მიგნებაა! ამას აუცილებლად გამოვიყენებ. თქვენ არ იცით, ეს ქართულ ფეხბურთს რამხელა სამსახურს გაუწევს, რადგან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, წესით, ევროკავშირის სხვა ქვეყნებზეც უნდა გავრცელდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ვეტერანები

## ქართველი ვეტერანები აზერბაიჯანში მიიწვიეს

1 მაისს, ბაქოში, „ბაილის" სტადიონზე, აზერბაიჯანისა და ევროპული ფეხბურთის ვეტერანებს შორის ამხანაგური მატჩი გაიმართება. აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ ევროპელი ვარსკვლავების გუნდში ოთხი ქართველი მიიწვია - **მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე და კახა ცხადაძე.**

ეს ამხანაგური მატჩი **ჰეიდარ ალიევის** 90 წლისთავს ეძღვნება. ქართველი ვეტერანების გარდა, მიწვეულები არიან: **ლეონიდ ბურიაკი, ჯონ ტოშაკი, ბერტი ფოგთსი, ული შტაინი, ბერნდ შუსტერი, ჟან-პიერ პაპენი, დარიო შიმიჩი, ვიტალი შევჩენკო, იური კუზნეცოვი, ვაგიზ ხიდიატულინი, ნიკოლაი ბოგდანოვი, ანდრეი ზიგმანტოვიჩი, იგორ პონომარიოვი...**

სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა - ალექსანდრე ჩივაძემ ჩვენს ოფიციალურ ვებ-გვერდთან მცირე კომენტარიც გააკეთა.

**ალექსანდრე ჩივაძე:** *„როცა ასეთი თამაშები იმართება და გამოცდილი, ვეტერანი ფეხბურთელები თამაშობენ, ეს ყოველთვის მისასალმებელია. იმედია, ამ მატჩის სანახავად სტადიონზე ბევრი ახალგაზრდა მოვა და მე არ მეშინია ამ სიტყვების თქმის - ცოცხალ ლეგენდებს ნახავენ; უფროსი თაობის წარმომადგენლები და მშობლებიც აუხსნიან, თუ ვინ იყვნენ ეს ფეხბურთელები. ფეხბურთის უფრო მეტი პოპულარიზაციისთვისაც ძალიან კარგია ასეთი მატჩების ჩატარება. ორ წელიწადში ერთხელ მაინც გვიხდება ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ჩასვლა და მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. ასე რომ, ახლაც სიამოვნებით დავიწყებ მზადებას".*

სფფ-ის პრესსამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი

# გიორგი ყიფიანი: ყველამ საკუთარ თავში ჩაიხედოს, ეს იქნება ყველაზე კარგი გამოძიება

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში რუსთავის „მეტალურგმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა ბათუმის „დინამო". რუსთაველთა დამრიგებელი გიორგი ყიფიანი „დინამო თბილისის" თავკაცთან, დუშან უჰრინთან ერთად ტურის მწვრთნელად დავასახელეთ.

ყიფიანი საინტერესო მწვრთნელად ყალიბდება, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასე ჩანს. რაც შეეხება „მეტალურგს", გუნდი ქვედა ექვსეულის ლიდერია და თასის გათამაშების ნახევარფინალშია გასული.

როგორც ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია ძვირი სანახავი საქართველოს ჩემპიონატში, ასევე რთულია საინტერესო ახალგაზრდა მწვრთნელის აღმოჩენა. ყიფიანი 34 წლის გახლავთ და ჯერ ყველაფერი წინ აქვს, თუმცა აქედანვე თუ არ შეიქმნა კარგი მწვრთნელის იმიჯი, კარიერაში წინსვლა გაუძნელდება.

ყიფიანს რამდენიმე საკითხზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...


გიორგი ყიფიანი

**- „მეტალურგის" სატურნირო მდგომარეობა ისეთია, რომ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ ემუქრება და ჩემპიონატიდან ევროსაგზურისთვისაც ვერ იბრძოლებს. სულ სხვა არის ბათუმის „დინამოს" მდგომარეობა, რომელიც დარჩენისთვის იბრძვის და თითოეული ქულა მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ასეთ სიტუაციაში როგორ მოახერხეთ თქვენი გუნდის მოტივირება ბათუმელებთან შეხვედრაში?**

- „ლელოს" ყურადღებისთვის და დაფასებისთვის მადლობას ვუხდი. ტურის მწვრთნელად რომ დამასახელეთ ეს მთლიანად „მეტალურგის" დამსახურებაა.

ბათუმის „დინამოსთან" მატჩში მართლაც ყველაფერი კარგად წაგვივიდა, შედეგიც სასურველი მივიღეთ და თამაშის ხარისხიც ნორმალური გამოდგა. ეს გამარჯვება ფსიქოლოგიურადაც ერთობ საჭირო იყო ჩვენთვის. „მეტალურგში' ყველამ უნდა გიათავისოს, რომ ჩვენთვის უმნიშვნელო მატჩი არ არსებობს. ბიჭებს თავიდანვე ვუთხარი - გუნდში ვერ მივიღებ ისეთ ფეხბურთელს, ვინც მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გადის მოედანზე. ჩვენ მხოლოდ ახლანდელ შედეგზე არ ვფიქრობთ, „მეტალურგის" განვითარებაზეც ვაკეთებთ აქცენტს. ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი, მათი მობილიზაცია ვარჯიშებიდანაც იგრძნობა. განვითარებას, შენების პროცესს დრო სჭირდება და სასიხარულოა, რომ ამისთვის ყველა გვერდში მიდგას - ფეხბურთელიც, მწვრთნელიც და კლუბის დანარჩენი პერსონალიც.

**- ბათუმელებთან მატჩამდე თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი გქონდათ ცხინვალის „სპარტაკთან", ხელსაყრელ შედეგს (1:1) მიაღწიეთ, თუმცა თამაშის ხარისხი ალბათ უკეთესის სურვილს დაგიტოვებდათ...**

- გეთანხმებით, ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის. შესვენებაზე ფეხბურთელებს ვუთხარი, ლოგიკურია, რომ ტაიმი წავაგეთ-მეთქი. მეორე ტაიმში თამაშის ხარისხის მნიშვნელოვნად გამოკეთება ვერ მოვახერხეთ, თუმცა ბურთს უფრო მეტხანს ვფლობდით და უფრო მაღალი კონცენტრაციით ვმოქმედებდით, ვიგრძენი, რომ ფეხბურთელები უფრო თავდაჯერებულები იყვნენ. მესმის, რომ „სპარტაკთან" საპასუხო მატჩში ჩვენი თამაშით გულშემატკივარი დიდად კმაყოფილი ვერ დარჩებოდა, თუმცა ბათუმელებთან მართლაც უკეთესად გამოვიყურებოდით. არ მინდა ბანალური ვიყო, მაგრამ თასზე მართლაც ყველა გუნდს უჭირს თამაში, „სპარტაკი" ჩვენამდე „ვიტ ჯორჯიას" შეხვდა და გამოაგდო, „დინამოსა" და „გურიას" სათასო დაპირისპირებაც გავიხსენოთ...

**- მიმდინარე სეზონი დასკვნით ფაზაში შედის, ასეთ დროს კი მატულობს გარიგებული მატჩების ალბათობა. ყოფილა მცდელობა, რუსთავის „მეტალურგი" ჩაეთრიათ სიბინძურეებში? ფაქტია, რომ ქვედა ექვსეულში ქულები სხვა გუნდებს თქვენზე უფრო სჭირდებათ...**

- საფეხბურთო სამყაროში საკმაოდ კარგად მიცნობენ და იციან ჩემი დამოკიდებულება ასეთი რალაცების მიმართ - არანაირი მცდელობა არ ყოფილა. ყველანაირად ვცდილობთ სამართლიანი თამაშის პრინციპების დაცვას. სანამ მწვრთნელი ვარ და სადაც არ უნდა იყოს ჩემი გუნდი, ყოველთვის ამ პრონციპის ერთგული ვიქნები.

**- ფეხბურთელობისას საქართველოს ჩემპიონატში არაერთი სეზონი გითამაშიათ და კარგად უნდა იცოდეთ, თუ რა ცოდვა-ბრალი ტრიალებდა ჩვენს ჩემპიონატში. ახლანდელ და მაშინდელ სიტუაციას როგორ შეადარებდით ერთმანეთს - ტენდენცია უკეთესობისკენ არ მიდის?**

- კვლავ არის ისეთი მატჩები, ეჭვის საფუძველს რომ იძლევიან და ძალიან ძნელია, ყველაფრის გამოძიება მოხერხდეს. მოკლედ, ამ მხრივ იდეალურ მდგომარეობაში ნამდვილად არ ვართ, დიდ სასიკეთო ძვრებსაც ვერ ვხედავ.

**- გამოსავალი რაშია?**

- ყველამ საკუთარ თავში ჩაიხედოს - აი, ეს იქნება ყველაზე კარგი გამოძიება. მე მწვრთნელი ვარ და ვიცი ჩემი ფეხბურთელების დადებითი და უარყოფითი თვისებები საქმეშიც და პიროვნულადაც. ასეა ამ კონკრეტულ საკითხშიც - ხელმძღვანელობამ, ანუ ვინც მართავს ფეხბურთს, ვინც ატარებს საქართველოს ჩემპიონატს, ზეპირად იცის, ვინ რისი გამკეთებელია და ამის მიხედვით უნდა იმოქმედოს, თორემ გარედან ძალიან ძნელია, რომ რალაც შედეგამდე მივიდეთ.

**- ევროპა ლიგაზე გასვლას თასის გათამაშებიდან ეცდებით, თუმცა ნახევარფინალების კენჭისყრით კმაყოფილი ვერ დარჩებოდით - „დინამო თბილისთან" მოგიწევთ პაექრობა, რომელიც ყველა პარამეტრით აღემატება რუსთავის „მეტალურგს"...**

- რა თქმა უნდა, მეტოქისა და საკუთარ შესაძლებლობებს ვითვალისწინებთ და მიუხედავად ამისა, „მეტალურგის" ფინალში გასვლა სავსებით რეალურად მეჩვენება. მაქვს იმის საფუძველი, რომ განვაცხადო - „დინამოსთან" დაპირისპირებაში მაქსიმუმს გავაკეთებთ.

**- „დინამოს" და „გურიას" სათასო ბატალიებმაც დაგვანახვა, რომ თასის გათამაშებას სულ სხვა სპეციფიკა აქვს...**

- სწორედ ეს არის ფეხბურთისთვის დამახასიათებელი - მდიდარი კლუბი ყოველთვის რომ ჯაბნიდეს სხვას, ინტერესიც გაქრებოდა. „მეტალურგსაც" აქვს თავისი შანსი „დინამოსთან" სათასო დაპირისპირებაში. მერწმუნეთ, ფეხბურთში არის ისეთი ნიუანსებიც, რომლებიც ხან დადებითად მოქმედებენ გუნდზე, ხან კი უარყოფითად. „დინამოს" რომ მართლაც ჩინებული პირობები აქვს, ფაქტია, თუმცა არც ჩვენი კლუბია ცუდ მდგომარეობაში, კარგ გზაზე ვდგავართ. „მეტალურგის" სახელით ჩვენს გულშემატკირებს მოვუწოდებ, მოვიდნენ სტადიონზე და გვერდში დაგვიდგნენ, ეს ჩვენთვის ძალიან დიდი დახმარება იქნება, „დინამოსთან" პირველი მატჩი შინ გვაქვს და აქედანვე უნდა დავუდოთ საფუძველი ფინალში გასვლას.

**დავით თავართქილაძე**

ტრავმის შემდეგ

# გიორგი ონიანი საავადმყოფოდან გამოწერეს
## სეზონის ბოლომდე ვერც ბოლქვაძე ითამაშებს

გუშინ, **გიორგი ონიანი** პირველი კლინიკური საავადმყოფოდან გამოწერეს. ქუთაისის "ტორპედოს" მცველი 10 აპრილს, ბოლნისის "სიონთან" თასის მეოთხედფინალის განმეორებით შეხვედრაში დაშავდა - ონიანი ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრის - „ბასას" მოედნის დამცავი ღობის ბოძს შეეჯახა.

29 წლის მცველს კისრის მეხუთე მალის მოტეხილობა-ამოვარდნილობა და ზურგის ტვინის დახურული ტრავმა დაუდგინეს. საბედნიეროდ, მკურნალობა სწრაფი ტემპით წარიმართა და ამჟამად გიორგის მდგომარეობა სტაბილურია. უკვე მეოთხე დღეა, რაც იგი მცირე ხნით სიარულს ახერხებს, საავადმყოფოდან გაწერეს და მალე სარეაბილიტაციო კურსს დაიწყებს.

ონიანის ამბავმა ერთგვარად დაჩრდილა "ტორპედოს" კიდევ ერთი დანაკლისი – ქუთაისელთა ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე **ვალერი ბოლქვაძე** ტრავმირებულია. 25 წლის ცენტრალური ნახევარმცველიც "სიონთან" შეხვედრაში დაშავდა.

*„ვალერი ბოლქვაძემ მუხლის ტრავმა მიიღო. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მას წინა ჯვარედინი იოგები და ლატერალური მენისკი დაუზიანდა, რაც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. სამწუხაროდ, მიმდინარე სეზონში თამაშს ვერც გიორგი ონიანი შეძლებს და ვერც ბოლქვაძე"* - ვკითხულობთ ქუთაისური გუნდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი ონიანი


ვალერი ბოლქვაძე

ტრავმის შემდეგ


გიორგი ივანიშვილი

# ივანიშვილი ბელინცონაში რჩება

"ბელინცონა" 52 ქულით შვეიცარიის ჩელენჯლიგაში მეორე ადგილზეა, ლიდერ "აარაუს" 6 ქულით ჩამორჩება და სუპერლიგაში გადასვლის რეალური კანდიდატია.

გუნდში 23 წლის **გიორგი ივანიშვილი** თამაშობს. საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს ტრავმა ჰქონდა, მაგრამ გამოჯანმრთელდა, მიმდინარე სეზონში 11 შეხვედრა ჩაატარა და 2 გოლი მიითვალა. რაც მთავარია, გიორგი ფორმაში შედის და გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა.

შევიტყვეთ, რომ ივანიშვილი გუნდში დარჩენას აპირებს და თუ "ბელინცონა" სუპერლიგაში გადავა, თავის გამოჩენისთვის გაცილებით დიდი ასპარეზი მიეცემა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი თამაშობდა "ციურიხის" სარეზერვო გუნდში (2009-2012), "ვოლენში" (2009-2010), "შაფჰაუზენში" (2010-2011), "ბელინცონაში"კი 2011 წელს ჩაირიცხა.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# თურქეთს პენალტებით ვძლიეთ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბულგარეთის საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე პირველი მატჩი ჩაატარა, სადაც გამარჯვება იზეიმა.

**ნოდარ აკობიას** გუნდმა თურქეთის წინააღმდეგ შეხვედრა ასეთი შემადგენლობით დაიწყო: **ქურდაძე, თვარაძე, კაციტაძე, კაკიაშვილი, ნადარაია, მამუჩიშვილი, ლაშხია, ბიძინაშვილი, ბერიძე, გოშთელიანი, ჯობავა.**

სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, პირველ ტაიმში ანგარიში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ნიკა ლაშხიამ** გახსნა. თუმცა თურქებმა მალევე გაგვითანაბრეს. მეორე ტაიმის დასაწყისში მსაჯმა ლაშხია მოედნიდან გააძევა და თითქმის მთელი ტაიმი ჩვენი ფეხბურთელები ათი კაცით უმკლავდებოდნენ მეტოქეს. ძირითადი დრო ფრედ, 1:1 დასრულდა.

ტურნირის დებულების მიხედვით, გუნდებმა თერთმეტმეტრიანები დამატებითი დროის გარეშე დაარტყეს და გამარჯვება ჩვენს გუნდს ერგო. ქართველებმა ყველა დარტყმა ზუსტად შეასრულეს, ხოლო საქართველოს ნაკრების მეკარემ, **ბექა ქურდაძემ** სამი პენალტი მოიგერია.

დღეს ჩვენი 17-წლამდელები ბულგარეთში მეორე შეხვედრას გამართავენ და მათი მეტოქე მასპინძელთა ნაკრები იქნება. მატჩი თბილისის დროით 15 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

20 აპრილს ტურნირის დასკვნით მატჩში საქართველოს ნაკრები კვიპროსს შეხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# პოლონეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი: ქართველთა სათასო შანსები

უკრაინის თასის ნახევარფინალში გავიდა "დნიპრო", რომელმაც გასვლით შეხვედრაში "ვოლინი" 2:0 დაამარცხა. ამაში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ. **ჯაბა კანკავა** ტრავმირებულია, ხოლო **ალექსანდრე კობახიძე** დნეპროპეტროვსკელთა სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

თასისთვის ბრძოლას გამოეთიშა "კარპატი". ლვოველები უკრაინის საუკეთესო გუნდს, დონეცკის "შახტარს" ესტუმრნენ და მინიმალურად, 1:2 დამარცხდნენ. "კარპატის" რიგებში **მურთაზ დაუშვილმა** და **ლევან ყენიამ** სრულად ითამაშეს.

გაიმართა აზერბაიჯანის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები. ქართველთა გუნდებიდან ტიტულისთვის ბრძოლას მხოლოდ **გიორგი ფოფხაძის** "ბაქი" აგრძელებს. ბაქოელებმა ლენქორანის "ხაზარს" უმასპინძლეს და 1:0 დაამარცხეს. "ბაქის" ქართველმა მცველმა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა. საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრები 24 აპრილს ჩატარდება.

სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატში "მოროკა სვოლოვსი" "ჩიპა იუნაიტედს" ეწვია და 1:2 დამარცხდა. **გიორგი ნერგაძე** "მოროკას" შემადგენლობაში 67-ე წუთიდან გამოჩნდა.

"მოროკა", რომელიც შარშან სამხრეთ აფრიკის ვიცე-ჩემპიონი გახდა, ამჟამად სატურნირო ცხრილში მხოლოდ მეშვიდე პოზიციაზეა.

გაირკვა **ლადო დვალიშვილის** "ლეგიას" მეტოქე პოლონეთის თასის ფინალში. ფინალი ორ მატჩად, 2 და 8 მაისს გაიმართება და ვარშაველები ვროცლავის "სლასკს" დაუპირისპირდებიან. პირველი შეხვედრა "სლასკის" მოედანზე გაიმართება. შეგახსენებთ, "ლეგია" პოლონეთის ჩემპიონატს ლიდერობს. ასე რომ, დვალიშვილს დუბლის შესრულების კარგი შანსი აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ალიარება

# პირველი მესია, მეორე ალავერდაშვილი...

მთელ მსოფლიოში საშუალოდ ერთ [illegible] დაც ყველამ იცის.

სასიამოვნო მოულოდნელობა ის არის, რომ ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მეორე ადგილზე ქართველი თავდამსხმელია და მესის კონკურენციას უწევს – "შიაულიაის" 25 წლის ფორვარდი **გიორგი ალავერდაშვილი.**

გიორგიმ ლიტვაში მორიგი გოლი გაიტანა. "შიაულიაიმ" სტუმრად ლიტვის მოქმედი ჩემპიონი "ეკრანასი" 2:1 დაამარცხა, ალავერდაშვილმა კი ანგარიში გახსნა და მიმდინარე სეზონში ჩატარებულ შვიდ მატჩში ცხრა გოლი დაუგროვდა - საშუალოდ მატჩში 1.29.

| | | |
|---|---|---|
| 1. [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 5. [illegible] | 1.13 | 15 |
| 6. [illegible] | 1.12 | 8 |
| 7. ვილფრიდ ბონი | 1.11 | 27 |
| 8. კრიშტიანო რონალდუ | 1.03 | 30 |
| 9-10. ზლატან იბრაჰიმოვიჩი | 0.93 | 28 |
| 9. ფილიპ ჰოსინერი | 0.93 | 29 |
| 11. გრაციანო პელე | 0.92 | 25 |
| 11. ჯექსონ მარტინესი | 0.92 | 25 |
| 13. ჰენრიხ მხითარიანი | 0.91 | 23 |
| 14. დიომერსი მბოკანი | 0.90 | 20 |
| 15. ნერიუს ვალსკისი | 0.86 | 7 |
| 15. დავიდ შკუტკა | 0.86 | 14 |
| 15. რადამელ ფალკაო | 0.86 | 28 |
| 18. რობერტ ლევანდოვსკი | 0.85 | 26 |
| 18. ალფრედ ფინბოგასონი | 0.85 | 27 |
| 20. დავიდ დეპეტრისი | 0.84 | 19 |

**მერაბ მამულაშვილი**

*ცხრილის სრულად ხილვა ამ ლინკზე შეგიძლიათ: http://www.footballzz.co.uk/top_players.php?id_top=2*



გიორგი ალავერდაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა, XXV ტური

## A ჯგუფი

**დინამო 2–გურია 0:3**

14.04. თბილისი. დიღმის საწვრთნელი ბაზა. 200 მაყურებელი

0:1 გ. კვერენჩხილაძე (27), 0:2 გ. კვერენჩხილაძე (80), 0:3 გ. მაჩაიძე (90)

დინამო-2: ტ. ხაინდრავა, ა. ტვილდიანი, თ. კაკულია, ს. გურეშიძე, ბ. მახარობლიძე (56. დ. ხოჭოლავა), ნ. კვეკვესკირი, ჯ. ჯილაური, გ. არახამია, ა. სარიშვილი, ლ. ჩაფიძე (56. მ. ჯიშკარიანი), ლ. შინდაგორიძე (65. ბ. რუხაძე)

*სათადარიგოები:* ბ. ზივზივაძე, ლ. საბაძე, ლ. შოვნაძე, ო. დოლიძე

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გურია: მ. გოგუაძე, ა. ჩუენსუ, ს. თოდუა, დ. მაისაშვილი, გ. სალარიძე (72. გ. მაჩაიძე), ა. შენგელია, ლ. ჯანგიძე, ვ. დარჩიძე, კ. შალამბერიძე (85. ტ. კუკულაძე), მ. კაკალაძე (77. ლ. ვართაგავა), გ. კვერენჩხილაძე

*სათადარიგოები:* გ. ძაძამია, ჯ. გოგობერიძე, ზ. კვარაცხელია

მწვრთნელი: თ. ლორია

გაფრთხილება: კ. შალამბერიძე, გ. მაჩაიძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

**სასკო–რაჭა 6:1**

14.04. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 50 მაყურებელი

1:0; ბ. ქარდავა (30), 2:0 თ. მოგელაძე (40), 3:0 ა. ბაგაშვილი (48, პენალტით), 4:0 ა. ბაგაშვილი (50), 5:0 გ. ქუცურუა (62), 5:1 ლ. შილაკაძე (75), 6:1 გ. დიასამიძე (76)

სასკო: ა. ნონოსი, დ. აბესაძე, პ. მოსემღვდლიშვილი (84. ა. გომელაური), კ. ახალაია, თ. მოგელაძე, გ. ქუცურუა (63. გ. დიასამიძე), ბ. ქარდავა, ე. ეგიზარიანი, ა. ბაგაშვილი (71. თ. უხურგუნაშვილი), ზ. ქარდავა, გ. ჩუბინიძე

*სათადარიგოები:* გ. შელია, გ. შეწირული, ლ. ბრაჭული, თ. ქორჩილავა

მწვრთნელი: თ. კაცია

რაჭა: ლ. ყურაშვილი, ზ. ვარდუაშვილი, ა. ლომსაძე, ი. ვეკუა, ზ. ქავჯაია, თ. კირკიტაძე, ლ, ნეფარიძე (69. შ. გოგსაძე), ვ. ჭაბუკიანი, ლ. შაიშმელაშვილი (80. ი. ხუნდაძე), გ. ლონლაძე, ლ. იაშვილი (54. ლ. შილაკაძე)

*სათადარიგოები:* გ. სურმავა, გ. ჭინჭარაული, თ. კოხრეიძე, თ. მუკბანიანი

მწვრთნელი: ზ. ჯიბუტი

გაფრთხილება: ლ. ყურაშვილი

არბიტრი: მ. ურუშაძე

**სქური–ბეთლემი 2:1**

15.04. წალენჯიხა. „საშა კვარაცხელია". 200 მაყურებელი

1:0 თ. ფურთუხია (61), 1:1 გ. კახიანი (85), 2:1 თ. ფურთუხია (90)

სქური: ტ. ხარჩილავა, დ. რაფავა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ზ. ლარიბაშვილი (46. გ. ჭკუასელი), თ. ფურთუხია, ლ. გაბუნია, ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა (79. გ. კვირკვია), გ. სართანია

*სათადარიგოები:* გ. სორდია, ი. ქარდავა, ი. მოლაშხია, ლ. მორგოშია, ვ. შეროზია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

ბეთლემი: ლ. ბექთაშევი, ლ. კალანდაძე, გ. გოგუაძე, გ. ხაჩიძე, გ. ბერიძე, ი. ნაჭყებია, დ. ჯალალანია, გ. კახიანი, ი. ბარამიძე (46. შ. გაგუა), გ. გოგიტიძე, ი. ბოლქვაძე (37. [illegible]) [illegible]

გაფრთხილება: ლ. გაბუნია, ზ. ქვარცხავა, გ. კვირკვია, თ. ფურთუხია; დ. ჯალალანია

გაძევება: ქ. ბექთაშევი

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

**მეშახტე–იმერეთი 0:1**

15.04. ტყიბული. „ვლადიმერ ბოჭორიშვილი". 100 მაყურებელი

0:1 ბ. ჩხეტიანი (69, პენალტით)

მეშახტე: ი. კუჭუხიძე, გ. გვენეტაძე, დ. ბაქრაძე, ც. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, ი. კილაძე, გ. ჯულელი (46. ო. გიორგობიანი), ბ. კოლუაშვილი, ვ. გიორგაშვილი (46. გ. ხეცურიანი), მ. ჟღენტი

*სათადარიგოები:* ბ. ჯიშიაშვილი, ნ. ჯოხაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, ა. ტყეშელაშვილი, გ. გენძეხაძე, ბ. ჩხეტიანი (90. გ. ხვიჩია), გ. მანაგაძე, დ. სულაბერიძე (46. გ. ცაგარეიშვილი), იაგო დეისაძე, დ. კუხალაშვილი (71. მ. აშვეთია)

*სათადარიგოები:* დ. გოდერიძე, დ. ხაბურძანია, გ. ნიქაბაძე, ზ. სადილიანი

მწვრთნელი: გ. ხაზარაძე

გაფრთხილება: დ. ბაქრაძე

არბიტრი: ბ. ნინუა

**გაგრა–სულორი 5:0**

15.04. თბილისი. „მერანი". 100 მაყურებელი

1:0 დ. ვოლკოვი (30), 2:0 ნ. ჭკუასელი (52), 3:0 ნ. ჭკუასელი (55), 4:0 ნ. ხოჯაშვილი (72, პენალტით), 5:0 ი. კანდელაკი (76)

გაგრა: გ. ბეგაშვილი, კ. ზარნაძე, ლ. კალანდაძე, გ. ფალავანდიშვილი (46. ბ ტეიდი), ნ. ხოჯაშვილი, თ. ჯანაშია, ნ. ჭკუასელი, ი. კანდელაკი, თ. ჟიშკარიანი, ბ. მუმლაძე (55. ა. ივანიშვილი), დ. ვოლკოვი (69. უ. მაგაჯი)

*სათადარიგობი:* ა. ადამია, ა. კალანდია, გ. ბ. თურმანიძე, გ. ერისთავი

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

სულორი: დ. ხურციძე, გ. ბერიშვილი, ლ. გაბუნია, ა. ქებულაძე (73. ო. ჩინჩალაძე), გ. ბრეგვაძე, დ. ივანიაძე, თ. სანიკიძე, ნოდარ გიორგაძე, შ. ბაბუნაშვილი (73. თ. ძაგნიძე), თ. ბახტაძე (72. გ. პირანაშვილი), ბ. ბელექანია

*სათადარიგოები:* ბ. სულაბერიძე, შ. ლვინიანიძე, თ. მაღლაკელიძე, ზ. ქურდობაძე

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**სტუ–ჭიათურა 1:2**

15.04. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 100 მაყურებელი

0:1 დ. სევასტოპულო (45, პენალტით) 1:1 ო. გაგნიძე (50), 1:2 დ. სევასტოპულო (86, პენალტით)

სტუ: მ. ძიძიგური, დ. ქიმერიძე, გ. ჯიშკარიანი, გ. ვაშაკიძე, ო. გაგნიძე, ი. გოგატიშვილი, შ. გვაზავა, გ. თვალავაძე (77. მ. გოგატიშვილი), კ. კახაბრიშვილი (60. დ. კოხრეიძე), ა. გოდუაძე, ვ. რობაქიძე (80. ა. ლალაძე)

*სათადარიგოები:* ა. ლაცაბიძე, დ. ყაველაშვილი, მ. ბაბაიანი

არბიტრი: გ. ჟორჟოლიანი

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ი. ტყებუჩავა, გ. ქირია, ლ. ცუცქირიძე, გ. გაფრინდაშვილი, ი. შალიკაშვილი, ა. ბაბლიძე (46. ლ. კუჭაშვილი), მ. ჭკადუა (46. ი. სარალიძე), დ. სევასტოპულო, დ. ციცხვაია (79. დ. შეყილაძე)

*სათადარიგოები:* ი. ცერცვაძე, ლ. მაჭარაშვილი, ს. გაბაძე, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: გ. სანაია

გაფრთხილება: გ. ჯიშკარიანი, შ. გვაზავა, გ. თვალავაძე, ვ. რობაქიძე

გაძევება: გ. ჯიშკარიანი; ლ. ცუცქირიძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 24 | 20 | 2 | 2 | 66-14 | 62 |
| 2. სასკო | 24 | 18 | 2 | 4 | 74-23 | 56 |
| 3. დინამო-2 | 25 | 15 | 4 | 6 | 70-37 | 49 |
| 4. გაგრა | 25 | 15 | 3 | 7 | 50-25 | 48 |
| 5. სტუ | 25 | 10 | 2 | 13 | 53-59 | 32 |
| 6. იმერეთი | 25 | 9 | 5 | 11 | 27-34 | 32 |
| 7. სქური | 25 | 8 | 7 | 10 | 27-39 | 31 |
| 8. მეშახტე | 25 | 8 | 6 | 11 | 27-49 | 30 |
| 9. ბეთლემი | 25 | 9 | 2 | 14 | 30-56 | 29 |
| 10. ჭიათურა | 25 | 6 | 6 | 13 | 24-41 | 24 |
| 11. სულორი | 25 | 4 | 4 | 17 | 20-59 | 16 |
| 12. რაჭა | 25 | 4 | 3 | 18 | 26-58 | 15 |

**მომდევნო ტური**

**20 აპრილი**

რაჭა-ბეთლემი
იმერეთი-სქური
ჭიათურა-მეშახტე
სულორი-სტუ
გურია-გაგრა
სასკო-დინამო-2

## B ჯგუფი

[illegible]

კოლხეთი: [illegible] (64. თ. ღლონტი), დ. ჭითანავა, ვ. გოგუნია, ვ. ფირცხელავა, პ. გაბრავა (59. ზ. ჭანტურიძე), ბ. ბუკია, ლ. მეფიშვილი, გ. პაჭკორია, ლ. ჯიქიძე, ლ. ქაშიბაძე (59. რ. ცობეხია)

*სათადარიგოები:* კ. ალანია, რ. ჩიტაია, ვ. კვირტია, ზ. გელაშვილი

მწვრთნელი: ლ. ნოდია

სპარტაკი: გ. ნადირაძე, ლ. ჭაფოძე, ლ. ქურდაძე, ნ. მგელაძე, გ. ლემონჯავა, თ. შონია, ვ. კილასონია (87. კ. კაკაშვილი), გ. ნარიმანიძე, უ. ბურძენაძე, თ. თუხარელი (16. თ. მაქაცარია, 68. ლ. კემუხტაშვილი), ზ. მეტრეველი

*სათადარიგოები:* ვ. ზუხბაია, ლ. თვალავაძე

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

გაფრთხილება: ლ. ქაშიბაძე; ლ. ქურდაძე, თ. მაქაცარია

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ლოკომოტივი–ჩხერიმელა 3:0**

14.04. საბურამოს საფეხბურთო კომპლექსი. 100 მაყურებელი

1:0 დ. ჯიქია (2), 2:0 დ. დარციმელია (6), 3:0 დ. ხარჩილავა (15, საკუთარ კარში)

ლოკომოტივი: ბ. მიქავა, დ. მთივლიშვილი, გ. გოროზია, გ. გაბაძე, ნ. ჭანტურია, ენდიკა ბორდასი, მ. ცინცაძე (46. ლ. კიკაბიძე), ე. სულთანიშვილი, დ. ჯიქია, დ. დარციმელია (67. დ. მიქავა), ა. მზევაშვილი (58. ა. გუგუშვილი)

*სათადარიგოები:* ბ. საჯაია, ჯ. ყანჩაშვილი, ო. პატარკაციშვილი, რ. ჩიტეიშვილი

მწვრთნელი: ხერარდ სარაგოსა

ჩხერიმელა: გივი კიკნაძე, გ. ლობჟანიძე, დ. ხარჩილავა, ვ. აფციაური, მ. მაკარაშვილი (76. ს. სვანიძე), დ. კოსტავა, ი. ჩუბინიძე, გიორგი კიკნაძე (54. თ. კიკნაძე), გ. ცუცქირიძე, ჯ. ავალიშვილი (45. ჯ. არევაძე), დ. ვაშაკიძე

*სათადარიგოები:* გ. ნიქაბერიძე, ნ. ბერაძე

მწვრთნელი: ლ. ჭყოიძე

გაფრთხილება: ს. სვანიძე

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**სამტრედია–ადელი 1:1**

14.04. სამტრედია „ეროსი მანჯგალაძე". 200 მაყურებელი

1:0 ა. დვალიშვილი (19), 1:1 ა. ფარტენაძე (38)

სამტრედია: ნ. ბანძავა, ბ. გედენიძე (81. ბ. ახობაძე), ს. გოგია, დ. სამსეიშვილი, ა. დვალიშვილი, მ. ჟვანია, ლ. ხაჭაპურიძე, გ. მელქაძე, შ. კერძევაძე, ზ. ხაჭიპერაძე, გ. ბოხუა

*სათადარიგოები:* დ. კეკელიძე, გ. რუხაძე, რ. ნინუა, თ. კიკაბიძე, გ. ხვედელიძე, პ. პაპავა

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

ადელი: გ. რომანაძე, კ. ბაგალიშვილი, ლ. სიხარულიძე (33. ნ. დავითაძე), ა. ფარტენაძე, თ. მჟავანაძე (46. თ. გიორგაძე), თ. ჩადუნელი, ბ. ჯუგაშვილი, თ. ხაბელაშვილი, გ. სირაბიძე, გ. ქოქოლაძე (76. ი. ლობერიძე) ბ. კახიძე

*სათადარიგო:* ნ. ყიფიანი

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

გაფრთხილება: ზ. ხაჭიპერაძე; თ. ხაბელაშვილი, თ. მჟავანაძე

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**ალგეთი–მერცხალი 3:1**

14.04. თბილისი. სპორტის აკადემიის სტადიონი. 100 მაყურებელი

1:0 ლ. ჯოხაძე (2), 2:0 ლ. ჯოხაძე (21), 3:0 ი. სვანიძე (47), 3:1 ს. გ. ჩიგოგიძე (77)

ალგეთი: ლ. ეზიეშვილი, რ. კიკალიშვილი, შ. გალეგაშვილი, მ. მახათაძე (75. თ. ბახტურიძე), გ. ჭოველიძე, გ. პატარქალიშვილი, ა. ნოზაძე (75. ს. პილიევი), ი. ჯოჯიშვილი, ი. სვანიძე, გ. ჯოხაძე, ლ. ჯოხაძე (82. ს. ჭიკაიძე)

*სათადარიგოები:* ა. კაპანაძე, გ. ხარშილაძე, მ. მაღლაკელიძე

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

მერცხალი: ი. მურუსიძე, თ. ჩხატარაშვილი, გ. ხამაშურიძე, ზ. ხურციძე (66. ს. გ. ჩიგოგიძე), გ. მექვაბიშვილი, ს. ვ. ჩიგოგიძე, ნ. მაჭავარიანი, ლ. ათუაშვილი, გ. მალაზონია, გიორგი გოგუა (46. გ. კაშია), ი. ბაჯელიძე (42. ს. კოტრიკაძე).

*სათადარიგოები:* გ. ჟღენტი, ლ. კალაჯიშვილი, ვ. მგელაძე

მწვრთნელი: ს. გაგუა

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**სამგურალი–ლიახვი 3:1**

15.04. სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე" 100 მაყურებელი

0:1 ზ. ჭადაშვილი (პენალტით), 1:1 გ. თევდორაძე (21), 2:1 თ. კაპანაძე (35), 3:1 თ. კაპანაძე (48)

სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ზ. ჩხეტიანი (60. ხ. უგრეხელიძე), ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, მ. ჩხარტიშვილი (77. ტ. ფუყუსი) [illegible] კარკუსაძე, ლ. ნავერიანი, ნ. ბაბუნიძე

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

ლიახვი: ა. ბარნაბიშვილი (37. გ. აზნიაშვილი), გ. მინდორაშვილი, ლ. ქანთარია (51. ო. ცანავა), მ. ჯიქია, თ. შუბითიძე, დ. ბარნაბიშვილი, ს. ხაზალია, ი. ჯველაური (46. ს. ძებისაშვილი), ლ. კომლაძე, ზ. ჭადაშვილი, თ. აზიკური

*სათადარიგოები:* ა. ქელიხაშვილი, გ. ნონიაშვილი, კ. გაბუნია

მწვრთნელი: უ. ქანთარია

გაფრთხილება: თ. შუბითიძე, გ. მინდორაშვილი, ს. ხაზალია, თ. აზიკური

ჰ ზ. ტულუში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 21 | 18 | 2 | 1 | 56-8 | 56 |
| 2. შუქურა | 21 | 14 | 3 | 4 | 42-16 | 45 |
| 3. ლოკომოტივი | 23 | 13 | 5 | 5 | 58-25 | 44 |
| 4. კოლხეთი (ხბ) | 23 | 13 | 2 | 8 | 30-24 | 41 |
| 5. სამგურალი | 23 | 11 | 7 | 5 | 47-32 | 40 |
| 6. სამტრედია | 23 | 12 | 4 | 7 | 38-29 | 40 |
| 7. ალგეთი | 22 | 8 | 3 | 11 | 34-40 | 27 |
| 8. მერცხალი | 23 | 3 | 8 | 12 | 28-41 | 17 |
| 9. ლიახვი | 23 | 3 | 6 | 14 | 22-54 | 15 |
| 10. ადელი | 23 | 4 | 1 | 18 | 25-65 | 13 |
| 11. ჩხერიმელა | 23 | 4 | 1 | 18 | 23-69 | 13 |

**მომდევნო ტური**

**18 აპრილი**

შუქურა-კოლხეთი

**19 აპრილი**

ლიახვი-ალგეთი
ჩხერიმელა-სამტრედია
ადელი-სამგურალ
სპარტაკი-ლოკომოტივი

● პრემიერლიგა. XXIX ტურის გამოტოვებული მატჩის გამოხმაურება

# ომი მოედანზე და ჩხუბი გვირაბში



0:0-ის მიუხედავად, „ეტიჰადზე“ კარგი თამაში იყო

„არსენალს“ შესანიშნავი ტემპი ჰქონდა აკრეფილი და იმედი ჰქონდა, რომ ჩემპიონატში ზედიზედ მე-5 თამაშს მოიგებდა. ახლა კი რა გამოვიდა? ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ გუნდებს შორის „მეთოფეებს“ ყველაზე მეტი თამაში აქვთ ჩატარებული და თუკი მისი უშუალო მდევრები ქულათა მაქსიმუმს აიღებენ, მე-3 კი არა მე-4 ადგილსაც დააკარგვინებენ. უშუალოდ თამაშის მიმდინარეობას რაც შეეხება, 3 ქულის აღება ორივე გუნდს შეეძლო. საუკეთესო მომენტი მატჩის დებიუტში მე-5 წუთზე **სიმუს კოულმენის** გადაცემით **სტივენ პიენაარს** შეექმნა, მაგრამ დამაჯერებლად ითამაშა ძირითადში დაბრუნებულმა **ვოიცეხ შჩესნიმ**. მასპინძელთა მხრიდან კი თავის გამოჩენა **ოლივიე ჟირუს** შეეძლო. ფრანგმა ვარდნაში ბურთს ფეხი კი მიაწვდინა, მაგრამ **ტიმ ჰოვარდის** კარს ვერაფერი ავნო. შეხვედრის მიწურულს „ლიდსში“ რამდენიმეთვიანი იჯარიდან დაბრუნებულ 19 წლის **როს ბერკლის** შეეძლო მატჩის გმირი გამხდარიყო, თუმცა მისი დარტყმა შორეულ ძელს სანტიმეტრებში ასცდა.

აქვე გეტყვით ერთი უსიამოვნო ინციდენტის შესახებ: შესვენებაზე გასახდელისკენ მიმავალმა **კევინ მირალიასმა ჯეკ უილშირს** ბოთლიდან წყალი შეასხა. 21 წლის მასპინძელს ნერვებმა უმტყუნა და მეტოქეს მაისურში სწვდა. იქვე მყოფმა თანაგუნდელებმა ფეხბურთელები ერთმანეთს დააშორეს. მოჰყვება თუ არა პრემიერლიგის სადისციპლინო კომიტეტის მხრიდან გარკვეული რეაგირება, ამას უახლოეს დღეებში ვნახავთ.

**მატჩის შემდგომ**

**არსენ ვენგერი** (არსენალი): *„პირველ რიგში იმის თქმა მინდა, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო. თუმცა არც ეს შედეგი გვართმევს ოთხეულისთვის ბრძოლის პრეტენზიას. თამაშმა ძალიან დიდი ენერგია წაგვართვა. მომეჩვენა, რომ პირველ ტაიმში არბიტრი ადეკვატურად არ რეაგირებდა ხისტ შეტაკებებზე, თუმცა ჩემმა ფეხბურთელებმა ნელ-ნელა ამ სიტუაციიდანაც ნახეს გამოსავალი. ბიჭებმა საოცარი თავდადება გვიჩვენეს და მთელი თამაშის განმავლობაში კონცენტრირებულნი იყვნენ საკუთარ ამოცანებზე. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ საბოლოოდ გატანა ვერ მოვახერხეთ. შესაძლოა, ეს იმიტომაც მოხდა, რომ შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში ბევრი ბრძოლა გვიხდებოდა და ტექნიკურ ელემენტებს სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდით. ცუდია, რომ საკუთარ მოედანზე ამდენი სტანდარტული მდგომარეობა გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ“.*

**დევიდ მოიესი** (ევერტონი): *„ემირიტსზე“ აღებული ქულა კარგი შედეგია. აშკარა იყო, რომ შეგვეძლო სამი ქულის აღება და ცხრილის ზედა საფეხურებისთვის ბრძოლის გაგრძელება, მაგრამ მაინც არა უშავს. გუნდმა უჩვენა ყველაფერი, რაც შეეძლო. „არსენალს“ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომელსაც პირადად შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. ფელაინი და გიბსონი მოედნის ცენტრში შეუდარებლები იყვნენ. საერთო ჯამში ეს შედეგი ნამდვილად დავიმსახურეთ. ცალკე უნდა გამოვყო როს ბერკლი. ჩვენ მას დიდ იმედებს ვუკავშირებთ. გვესმის, რომ ამ ეტაპზე ის მზად არ არის ამ ყველაფრისთვის. მოვლენათა დაჩქარება არას გვარგებს. მის პროგრესს ეტაპობრივად უნდა ვუცადოთ“.*

**პრემიერლიგა**

XXIX ტურის გადადებული თამაშები

**სიტი–უიგანი 1:0**

**გოლი:** 1:0 ტევესი (83)

**სიტი (4-4-2):** ჰარტი – რიჩარდსი (83. სინკლერი), კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი – ი. ტურე, ხ. გარსია (59. მილნერი), გ. ბარი, ს. ნასრი – აგუერო (46. ჯეკო), ტევესი

**უიგანი (3-4-3):** ჯოელი – ალკარასი, შარნერი, ფიგეროა – ბოისი, მაკარტი, ბოსეჟური, გომესი (84. მაკარტური) – მელონი (89. ესპინოსა), დი სანტო (68. მაკმანამანი), კონე

**გაფრთხილება:** რიჩარდსი, ტევესი - მაკარტი

**კარში დარტყმა:** 13-6 (4-4) **კუთხური:** 5-4 **თამაშგარე:** 6-2 **ჯარიმა:** 12-6 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 47 106

**ვესტ ჰემი–იუნაიტედი 2:2**

**გოლები:** 1:0 ვას ტე (17), 1:1 ვალენსია (31), 2:1 დიამე (55), 2:2 ვან პერსი (77)

**ვესტ ჰემი (4-3-3):** იასკელაინენი – დემელი, კოლინსი, რიდი, ობრაიენი – ონილი (68. ნოუბლი), ნოლანი (82. მ. ტეილორი), დიამე (83. კოლისონი) – ვას ტე, ჯარვისი, კეროლი

**იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა – რაფაელი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა – ფ. ჯონსი, კერიკი, ვალენსია, კაგავა (78. ერნანდესი) – რუნი (71. გიგზი), ვან პერსი

**გაფრთხილება:** კეროლი

**კარში დარტყმა:** 9-11 (3-7) **კუთხური:** 2-5 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 8-7 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 34 692

**ფულჰემი–ჩელსი 0:3**

**გოლები:** 0:1 დ. ლუისი (30), 0:2 ტერი (43), 0:3 ტერი (71)

**ფულჰემი (4-4-2):** შვარცერი - რიტერი, სენდეროსი, ჰანგელანდი, რიისე (67. როდალიეგა) – კარაგუნისი (76. ფრიმპონგი), ენო, ემანუელსონი, რუისი – პეტრიჩი (82. ფრეი), ბერბატოვი

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი – ივანოვიჩი, ტერი, დ. ლუისი, ბერტრანი – რამირესი (75. მიკელი), ლამპარდი – მატა (81. ბა), აზარი (69. ოსკარი), მოზესი - ტორესი

**გაფრთხილება:** რუისი, სენდეროსი - ივანოვიჩი

**კარში დარტყმა:** 7-9 (3-6) **კუთხური:** 6-5 **თამაშგარე:** 2-0 **ჯარიმა:** 13-13 **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 25002

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 33 | 26 | 3 | 4 | 75-35 | 81 |
| 2. სიტი | 32 | 20 | 8 | 4 | 58-27 | 68 |
| 3. ჩელსი | 32 | 18 | 7 | 7 | 64-33 | 61 |
| 4. არსენალი | 33 | 17 | 9 | 7 | 64-35 | 60 |
| 5. ტოტენჰემი | 32 | 17 | 7 | 8 | 55-40 | 58 |
| 6. ევერტონი | 33 | 14 | 14 | 5 | 51-37 | 56 |
| 7. ლივერპული | 33 | 13 | 11 | 9 | 59-40 | 50 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 32 | 13 | 5 | 14 | 42-43 | 44 |
| 9. სუონსი | 32 | 10 | 11 | 11 | 43-42 | 41 |
| 10. ფულჰემი | 33 | 10 | 10 | 13 | 44-51 | 40 |
| 11. ვესტ ჰემი | 33 | 10 | 9 | 14 | 38-47 | 39 |
| 12. საუთჰემპტონი | 33 | 9 | 11 | 13 | 47-54 | 38 |
| 13. ნიუკასლი | 33 | 10 | 6 | 17 | 42-59 | 36 |
| 14. ნორვიჩი | 33 | 7 | 14 | 12 | 31-52 | 35 |
| 15. სანდერლენდი | 33 | 8 | 10 | 15 | 37-45 | 34 |
| 16. სტოკ სიტი | 33 | 7 | 13 | 13 | 28-41 | 34 |
| 17. ასტონ ვილა | 33 | 8 | 10 | 15 | 36-60 | 34 |
| 18. უიგანი | 32 | 8 | 7 | 17 | 37-58 | 31 |
| 19. ქუინზ პარკი | 33 | 4 | 12 | 17 | 29-54 | 24 |
| 20. რედინგი | 33 | 5 | 9 | 19 | 36-63 | 24 |

**ბომბარდირები:** 22 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 21 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 17 - **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი), **მიგელ მიჩუ** (სუონსი)

● პრემიერლიგის ახალწვეული

# დაბრუნება 51 წლის შემდეგ



მომავალ სეზონში ინგლისის პრემიერლიგაში ორი უელსური კლუბი იქნება

„კარდიფ სიტი“ ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულზე მიიჩნეოდა ჩემპიონშიპის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად. სეზონი გუნდმა თავიდან ცოტა ჭაკად კი დაიწყო, მაგრამ მე-9 ტურისთვის მაინც მოახერხა მდგომარეობის არათუ გამოსწორება, არამედ ჩემპიონშიპის ცხრილის სათავეში მოქცევაც. მას შემდეგ შოტლანდიელი **მალკი მაკაის** გუნდმა მხოლოდ ორჯერ, ისიც მცირე ხნით, დაკარგა ლიდერის ადგილი. მე-18 ტურიდან მოყოლებული ის მყარად ინარჩუნებდა პოზიციას და აი, ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე უელსურმა კლუბმა 51-წლიანი პაუზის შემდეგ ინგლისის უმაღლესი ლიგის საგზური დაიბევა. საფინალო აკორდი მთლად ეფექტური ვერ გამოვიდა: „კარდიფ სიტი სტედიუმზე“ შეხვედრა „ჩარლტონთან“ 0:0 დასრულდა, მაგრამ ამას ფეხბურთელებისთვის განწყობა არ გაუფუჭებია, რადგან მათ მშვენივრად ახსოვთ ბოლო წლების სიმწარე, როცა ზედიზედ სამჯერ დამარცხდნენ პრემიერლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში. პირველად ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში, უმაღლეს ლიგაში უელსს ერთბაშად ორი წარმომადგენელი ეყოლება.

თამაშის დასრულების შემდეგ კლუბის მესაკუთრემ, მალაიზიელმა ბიზნესმენმა **ვინსენტ ტანმა** საზაფხულო გეგმებზე ისაუბრა: *„საჭიროა, რომ ბევრი ვიფიქროთ სამომავლო სტრატეგიაზე. იმისთვის, რომ ელიტაში ღირსეულად ვითამაშოთ, შემადგენლობის გაძლიერება დაგვჭირდება. ამ მიზნით მზად ვართ, 20-25 მილიონი ფუნტი დავხარჯოთ. ბევრს უფრო მეტიც გაულია, მაგრამ მთლად ეფექტურად ვერა. ვეცდებით, მაქსიმალურად წინდახედულად ვიმოქმედოთ“.*

*„მთელი წლის განმავლობაში სტაბილურად ვთამაშობდით, ნოემბრიდან მოყოლებული პირველ ადგილს არ ჩამოვცილებივართ და ელიტაში აღზევება 100%-ით დავიმსახურეთ. ეს ყველა ჩვენგანისთვის უზარმაზარი წარმატებაა,“* – განაცხადა გუნდის კაპიტანმა, 31 წლის **მარკ ჰადსონმა**.

● ამბები


გარეთ ბერი

## ბერის ხელფასის დაკლებას სთავაზობენ

„მანჩესტერ სიტის“ 32 წლის საყრდენ ნახევარმცველ **გარეთ ბერის** კონტრაქტს ვადა 2014 წლის ზაფხულზე გასდის. ფეხბურთელი „ეტიჰადიდან“ აბარგების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად მიიჩნეოდა. ამბობდნენ იმასაც, რომ კლუბმა **ჯეკ როდუელი** სწორედ მის შემცვლელად შეიძინა. მაგრამ ახალგაზრდა ინგლისელს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს. „სიტიმ“ ბერის ხელშეკრულების 2 წლით გახანგრძლივება შესთავაზა, ოღონდ ერთი პირობით: ხელფასის შემცირებას უნდა დათანხმდეს. ამჟამად ვეტერანი კვირაში 120 ათას ფუნტს იღებს. „სიტი“ მას 70 ათასს სთავაზობს, მაგრამ კონკრეტული რაოდენობის მატჩების ჩატარებისა და სხვა პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ის დამატებით სოლიდურ ბონუსსაც მიიღებს.

## აგუერო ბოდიშს იხდის

ასოციაციის თასის 1/2-ფინალში „ჩელსი“-„მანჩესტერ სიტის“ შეხვედრისას **სერხიო აგუეროსა** და **დავიდ ლუისს** შორის მომხდარ ინციდენტზე უკვე ვწერდით. არგენტინელი მეტოქეს ფეარ პლეის წესების დარღვევით მოექცა და ცოტა დააკლდა, რომ კუდუსუნის ძვალი არ გაუტეხა. დაზარალებულმა სერხიოს გულწრფელობისკენ მოუწოდა. როგორც ჩანს, აგუეროს საკუთარი საქციელისა მართლა შერცხვა და „ტვიტერზე“ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: *„დავიდ ლუისს დავუკავშირდი და ბოდიში მოვიხადე იმის გამო, რაც მოხდა. ეს იყო წამიერი ემოციური აფეთქება. ასე არავინ არ უნდა იქცეოდეს“.*

## ლივერპულს ერიკსენი 17 მილიონად უღირს

„აიაქსის“ 21 წლის ცენტრალურ ნახევარმცველ **კრისტიან ერიკსენზე** ევროპულ პრესაში უკვე დიდი ხანია მსჯელობენ. დანიელი პლეიმეიკერის ტრანსფერით ლამის ნახევარი ევროპაა დაინტერესებული, თუმცა აქამდე ის „ამსტერდამ არენიდან“ წასვლაზე არ ფიქრობდა. როგორც ჩანს, ამის დრო უკვე დადგა. ორიოდე დღის წინ ფეხბურთელის მიმართ უცხოური კლუბების ინტერესზე „აიაქსის“ ტექნიკურმა დირექტორმა **მარკ ოვერმარსმა** ილაპარაკა. ყველაზე რეალური ერიკსენის „ლივერპულში“ გადასვლაა. მერსისაიდელები ფეხბურთელში 17 მილიონ ფუნტს, დაახლოებით 20 მილიონ ევროს იხდიან. დანიელს ამსტერდამელებთან ხელშეკრულება ზუსტად ერთი წლის შემდეგ ეწურება. ერიკსენის გარდა ესპანური პრესა წერს, რომ „წითლები“ „ბარსას“ აკადემიიდან 16 წლის **სერხი კანიოსის** შეძენასაც გეგმავენ.



კრისტიან ერიკსენი

## იოლის პესიმისტური ტონი

**ფრენკ ლამპარდს** ივნისში „ჩელსისთან“ კონტრაქტი უმთავრდება და ის გუნდიდან მიდის. 34 წლის ვარსკვლავმა რამდენიმე დღის წინ საკუთარი ქორწილის თარიღიც კი გადაწია, იქამდე, ვიდრე სამომავლო გეგმებს არ დაალაგებს. ბრიტანული პრესა ყველაზე ხშირად მის სახელს „ლოს ანჯელეს გალაქსის“ უკავშირებს, თუმცა ვეტერანს ესმის, რომ ამერიკის ლიგაში გადასვლის შემთხვევაში, ის სანაკრებო კარიერას საკუთარი ხელით დაუსვამს დიდ წერტილს. ყოველ შემთხვევაში, **როი ჰოჯსონმა** განაცხადა, რომ მას ურჩევნია, ფრენკმა კარიერა ევროპაშივე განაგრძოს. ამასვე მოწმობს **დევიდ ბექჰემის** მაგალითიც. ოკეანის გაღმა გადასვლის შემდეგ ის ეროვნულ გუნდში აღარ მიუწვევიათ. ჟურნალისტებმა **მარტინ იოლს** ვეტერანის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვეს. აი, რა უპასუხა ჰოლანდიელმა: *„ლამპარდი ბოლო 30-40 წლის საუკეთესო ინგლისელი ნახევარმცველია. შემადგენლობაში მის ყოლაზე უარს ვინ იტყვის, მაგრამ მგონია, რომ მას სასაცილოდ არ ეყოფა, თუკი „ფულჰემი“ კონტრაქტს შესთავაზებს. ჩვენ საშუალო კალიბრის გუნდი ვართ, სადაც ის თამაშს არასოდეს მოისურვებს“.*

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილიის ნაკრები



ნეიმარი და რონალდინიო ისევ ერთად ითამაშებენ

## სკოლარიმ შემადგენლობა დაასახელა

**ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ნაკრებში ის 18 ფეხბურთელი გამოიძახა, ვინც 24 აპრილს ჩილესთან გასამართი მატჩისთვის უნდა მოემზადოს. ეროვნული გუნდი ბრაზილიაში მოასპარეზე ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, რადგან შეხვედრა ფიფას მიერ გამოყოფილ სანაკრებო დღეს არ იმართება.

სკოლარიმ ისევ გამოიძახა „პალმეირასის" ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი და ბომბარდირი **ლეანდრო**, ვინც თავი ბოლივიასთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაშიც გამოიჩინა. ასევე ნაკრებში არიან **რონალდინიო, ჟადსონი და ლეანდრო დამიაო** - ამ ფეხბურთელებს პრაქტიკულად უკანასკნელი შანსი ეძლევათ იმისთვის, რომ ნაკრებში თავი გამოიჩინონ და კონფედერაციის თასზე იასპარეზონ.

ბრაზილიის და ჩილეს ნაკრებთა მატჩი მომავალ ოთხშაბათს, ბელუ ორიზონტეში, „მინეირაოზე" გაიმართება.

**მეკარეები:** დიაგო კავალიერი (ფლუმინენსე), ჟეფერსონი (ბოტაფოგო).

**მცველები:** ანდრე სანტოსი (გრემიო), მარკოს როჩა (ატლეტიკო მინეირო), დედე (ვასკო და გამა), ენრიკე (პალმეირასი), რევერი (ატლეტიკო მინეირო).

**ნახევარმცველები:** ფერნანდო (გრემიო), ჟეანი (ფლუმინენსე), პაულინიო (კორინთიანსი), რალფი (კორინთიანსი), ჟადსონი (სან პაულო), რონალდინიო (ატლეტიკო მინეირო).

**თავდამსხმელები:** ალეშანდრე პატო (კორინთიანსი), ლეანდრო (პალმეირასი), ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), ნეიმარი (სანტოსი), ოსვალდო (სან პაულო).

საფრანგეთის თასი. 1/4 ფინალი

# სენტ ეტიენის წლის პირველი მარცხი

## მწვანეებს დუბლი აღარ გამოუვათ

| ტრუა-ნანსი | 3:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ბრეშე (52), 2:0 ფოსურიე (75), 3:0 კამიუ (81).

| სტ. ეტიენი-ლორიანი | 1:2 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ბარტელმი (44), 1:1 ობამეიანი (75), 1:2 ალიადიერი (90).

სამშაბათს, საფრანგეთის თასის ორი ნახევარფინალისტი გაირკვა. ლიგა 1-ში მე-20 ადგილზე მყოფმა „ტრუამ" ბოლო დროს გამოცოცხლებულ „ნანსის" უმასპინძლა და კუდით ქვა ასროლინა, ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა და ლიგის თასის ფინალში გასულმა „სენტ ეტიენმა" კი „ლორიანი" მიიღო და 2013 წელს პირველი მარცხი განიცადა.

„ჟოფრუა გიშარზე" ყველა დამატებითი დროის მოლოდინში იყო, როდესაც 93-ე წუთზე **ჟერემი ალიადიერმა** ბურთს თავი დაჰკრა და გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. „არსენალის" ყოფილმა ფორვარდმა სეზონში (ყველა ტურნირზე) მე-18 გოლი შეაგდო და „ლორიანს" ისტორიაში თასის მეორედ მოგების შანსი დაუტოვა. პირველად ამ ტურნირზე ბრეტანელებმა 2002 წელს იმარჯვეს. გაცილებით დიდი ხანია არაფერი მოუგია „სენტ ეტიენს" - „მწვანეებმა" თასი ბოლოს 1977 წელს მოიგეს, ხოლო ბოლო ტიტული 1981 წელს მოიპოვეს, როდესაც მეათედ გახდნენ საფრანგეთის ჩემპიონები.

ტიტულის მოგების შანსი **კრისტოფ გალტიეს** გუნდს რამდენიმე დღეში ექნება - შაბათს, „სენ დენიზე" ლიგის თასის ფინალი გაიმართება, რომელშიც „სენტ ეტიენი" „რენს" დაუპირისპირდება.

„ლორიანთან" შეხვედრაში კი მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში ბევრი მომენტი ვერ შექმნეს, ხოლო 44-ე წუთზე გოლი აქეთ გაუშვეს. ამის შემდეგ, მეორე ნახევარში მოედანზე **პიერ-ემერიკ ობამეიანი** გამოჩნდა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა **რენო კოადის** პასით ანგარიში გაათანაბრა. ბოლო წუთებში განვითარებულ მოვლენებზე კი დასაწყისში ვისაუბრეთ.

„ტრუას" და „ნანსის" შეხვედრაზე სათქმელი ბევრი არაფერია. მასპინძელმა მეტოქეს აშკარად აჯობა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ანგარიში ვეტერანმა **ჟერემი ბრეშემ** გახსნა, რასაც გუნდის ორი ლიდერის, **ჟულიენ ფოსურიეს და ფაბიენ კამიუს** გოლები მოჰყვა.

დარჩენილი ორი მეოთხედფინალი („ლანსი"-"ბორდო" და „ევიანი"-პსჟ) გუშინ ღამე გაიმართა. ანგარიშების ნახვა დღევანდელ ნომერში შეგიძლიათ, დაწვრილებით კი ამ თამაშებზე ხვალ ვისაუბროთ.

**ტატო ბაციკაძე**



ტრავმა

## მოპეის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა

„ნიცას" ახალგაზრდა ტალანტის, 16 წლის **ნილ მოპეის** ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ეგონათ. კვირას, „მარსელის" და „ნიცას" დუბლების თამაშის დროს, ფორვარდმა დაზიანება მიიღო და მოედანი დატოვა. მოგვიანებით ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მოპეის ჯვარედინი მყესები აქვს გაწყვეტილი და ის 6 თვე ვერ ითამაშებს. ამ სეზონში, თინეიჯერმა ლიგა 1-ის 15 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი გაიტანა.

*„ძალიან ცუდი ამბავია, როგორც მისთვის, ასევე ჩვენთვის, რადგან სეზონის ბოლოს ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელი გვჭირდება,"* - განაცხადა „ნიცას" დამრიგებელმა **კლოდ პუელმა**.

მოპეის ოპერაციას მომავალ ოთხშაბათს გაუკეთებენ.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები



## ატლეტიკოს ილმაზი სურს

ესპანური პრესა 27 წლის თურქი თავდამსხმელის, **ბურაქ ილმაზის** აგენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, იუწყება, რომ „გალათასარაის" ფორვარდი ზაფხულში შეიძლება მადრიდის „ატლეტიკოს" წევრი გახდეს. ამავე დროს, ილმაზის აგენტი ამბობს, რომ „ატლეტიკო" ფეხბურთელის კარიერის განვითარების ერთადერთი ვარიანტი არ არის, მისით იტალიური სერია A-ს რამდენიმე კლუბია დაინტერესებული.

*„ჩვენ მზად ვართ ყველა წინადადება განვიხილოთ, მაგრამ აქვე აღვნიშნავ, რომ ილმაზი „გალათასარაიში" ყველაფრით კმაყოფილია"*, - განაცხადა ფეხბურთელის წარმომადგენელმა.

ბურაქ ილმაზი თურქული სუპერლიგის ბომბარდირია, 25 მატჩში მან 18 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგაზე მან 8 გოლი გაიტანა. ილმაზი თურქეთში უნიკალური ფეხბურთელია, მან 4-ვე თურქულ გრანდში (ბეშიქთაში, ფენერბაჰჩე, ტრაბზონი, გალათასარაი) მოასწრო თამაში.

ბურაქ ილმაზით დაინტერესება კი უშუალოდ მიუთითებს, რომ „ატლეტიკოს" ზაფხულში მთავარი ვარსკვლავის, **რადამელ ფალკაოს** გაყიდვა გადაწყვეტილი აქვს. ლა ლიგაში კოლუმბიელს უკვე 24 გოლი აქვს გატანილი, ჩემპიონატის დასრულებამდე კი კიდევ 7 ტური რჩება.

## ჟოზეს იკერის გამო გაუშვებენ

ესპანური პრესა ირწმუნება, რომ მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობა მზადაა **იკერ კასილიასსა და ჟოზე მოურინიოს** შორის გუნდის კაპიტანი არჩიოს, მწვრთნელს კი კარზე მიუთითოს.

მოურინიოსა და კასილიასი თანამშრომლობა, ესპანური პრესის აზრით, მომავალში უბრალოდ გამორიცხულია, ჟოზე კი შეიძლება „ჩელსიში" ან „პარი სენ-ჟერმენში" წავიდეს. ამის შემდეგ იკერ კასილიასი იოლად დაიბრუნებს სასტარტოში ადგილს, რომელიც ამჟამად **დიეგო ლოპესს** უკავია.




## მოუს ავტობიოგრაფია

ოქტომბერში წიგნის თაროებზე შეიძლება ვიხილოთ **ჟოზე მოურინიოს** ავტობიოგრაფიული წიგნი „ჩემი ფეხბურთი". წიგნის ისტორიების უმეტესობა ჯერჯერობით პორტუგალიელი მწვრთნელის საახლობლოს ვიწრო წრემ თუ იცის, ასე რომ, ის ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ ჟოზე მოურინიოს 50 წლის იუბილე მშობლიურ ქალაქ სეტუბალში გადაუხადეს და მისი სახელობის გამოფენაც მოაწყვეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კვირა ციფრებში

# გაგრძელებული და შეწყვეტილი სერიები

**კვირის დღევანდელ სტატისტიკურ მიმოხილვაში არა მხოლოდ გაგრძელებულ თუ შეწყვეტილ სერიებზე, არამედ რამდენიმე სარეკორდო მიღწევაზეც ვისაუბრებთ.**

**35** - წელი ვერ ახერხებდნენ შვეიცარული კლუბები ევროტურნირების 1/2 ფინალში გასვლას. ეს სერია წინა ხუთშაბათს „ბაზელმა" დაასრულა. „ტოტენჰემთან" ორივე მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ (2:2, 2:2), „ბაზელმა" პენალტების სერიაში იმარჯვა და ევროპა ლიგის ნახევარფინალში ისტორიაში პირველად გავიდა. გარდა ამისა, ის გახდა პირველი შვეიცარული გუნდი „გრასჰოპერის" შემდეგ, რომელმაც ევროტურნირების ამ ეტაპზე გააღწია. „კალიები" უეფას თასის 1/2 ფინალში 1977/78 წლების სეზონში გავიდნენ და სხვათა შორის, გზად (მერვედფინალში) თბილისის „დინამოც" დაამარცხეს.



პაოლო დი კანიო

**მურატ იაკინის** გუნდი საკუთარ მოედანზე უკვე 16 თამაშია არ დამარცხებულა. ასევე, „ბაზელის" გულშემატკივრებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ მათ გუნდს ინგლისურ მეტოქეებთან უკვე 4 მატჩია არ წაუგია.

კიდევ ერთი გამორჩეული მიღწევა ევროპა ლიგაზე ნიუკასლში დაფიქსირა. მატჩის ბოლო წუთზე **ედუარდო სალვიომ** ანგარიში გაათანაბრა, ევროტურნირებზე „ბენფიკას" ისტორიაში მე-600 გოლი გაიტანა და გუნდი ფინალურ ოთხეულში გაიყვანა.

**19** - მატჩი მოგების გარეშე. ასეთი საოცრად უილბლო სერია დაასრულა ვლადიკავკაზის „ალანიამ", როდესაც ორშაბათს სარანსკის „მორდავიას" 3:1 მოუგო. ამ შეხვედრაში ჰეთთრიქი შეასრულა **როისტონ დრენტემ** - 25 წლის ფეხბურთელმა კარიერაში პირველი ჰეთთრიქი შეასრულა და გარდა ამისა, ერთ შეხვედრაში იმაზე მეტი გოლი გაიტანა, ვიდრე „რეალში" ჩატარებულ 46 თამაშში. ჰოლანდიელი გახდა მეოთხე მოთამაშე, ვინც რუსული პრემიერლიგის ამ სეზონში ერთ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა. მანამდე, ჰეთთრიქი შეასრულეს სომეხმა **იურა მოვსესიანმა**, ბრაზილიელმა **ვანდერსონმა** და ჩეხმა **იან ჰოლენდამ**.

**11** - შედეგიანი მატჩი ზედიზედ - **რობერტ ლევანდოვსკი** საოცარ ფორმაშია. პოლონელის ეს სერია, ხანგრძლივობით ბუნდესლიგის ისტორიაში მეორეა. „ფიურტთან" გატანილი ბურთის შემდეგ, ლევანდოვსკიმ **კლაუს ალოფსს** გაასწრო, ვინც „კიოლნის" რიგებში 1984 წელს გოლის გატანა ზედიზედ 10 შეხვედრაში მოახერხა. საუკეთესო შედეგის მფლობელი, რა თქმა უნდა, **გერდ მიულერია** - „ნაცის ბომბარდირმა" 1969-1970 წლებში თავი ზედიზედ 16 შეხვედრაში გამოიჩინა.

გერმანიაში ორი ახალგაზრდა ფეხბურთელიც გამოირჩა. 17 წლის და 251 დღის ასაკში, **პიერ ჰოიბერგი** მიუნხენის „ბაიერნის" ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი გახდა, ხოლო **მაქსიმილიან არნოლდი** (18 წლის და 321 დღის) გახდა „ვოლფსბურგის" ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვინც გოლის გატანა შეძლო.

**6** - გოლი გაუშვა „ბოკა ხუნიორსმა" და გასავარდნად განწირულ სან ხუანის „სან მარტინთან" 1:6 წააგო. ხუთბურთიანი სხვაობით „ბოკა" ბოლოს 2003 წელს დამარცხდა, როდესაც „როსარიო სენტრალთან" შერცხვა (2:7). ეს შედეგი კიდევ უფრო გასაოცარია იმის გათვალისწინებით, რომ „სან მარტინმა" ამ მოგებით 16-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და 105-წლიან ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება მოიპოვა.

ასევე, საინტერესოა ისიც, რომ არგენტინის პრიმერა დივიზიონის ეგიდით, ანგარიშით 1:6 „ბოკამ" ბოლოს 25 წლის წინ წააგო და მისი მეტოქე მაშინაც „სან მარტინი" იყო, ოღონდ არა სან ხუანის, არამედ ტუკუმანის.

**3** - უპასუხო გოლის გატანის შემდეგ, „სანდერლენდმა" ტაინ-უირის დერბიში, ბოლო 46 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა. ასეთი დამაჯერებელი სხვაობით „შავმა კატებმა" ბოლოს 1967 წელს იმარჯვეს. გარდა ამისა, პრემიერლიგის ეგიდით გამართულ მატჩებში „სანდერლენდმა" „ნიუკასლის" კარში სამი გოლის გატანა პირველად მოახერხა.

„ნიუკასლმა", 1990 წლიდან მოყოლებული პირველად ვერ შეძლო „სანდერლენდის" კარში გოლის გატანა. ჯორდებს თავისი ყველაზე საძულველი მეტოქის კარში გოლი ზედიზედ 25 შეხვედრის განმავლობაში გაჰქონდათ.

„ნიუკასლი" არ იყო ერთადერთი გუნდი ინგლისში, რომლის ხანგრძლივი სერიაც შეწყდა. ასოციაციის თასის 1/2-ფინალში, „მანჩესტერ სიტიმ" „ჩელსის" 2:1 მოუგო და ამ ტურნირზე „არისტოკრატების" 30-მატჩიანი (!) წაუგებელი სერია დაასრულა. ძირითად დროში თასზე „ჩელსიმ" ბოლოს 2008 წლის 8 მარტს „ბარნსლისთან" წააგო. 2009, 2010 და 2012 წლებში თასი ლონდონურმა გუნდმა მოიგო, 2011 წელს კი „ევერტონთან" პენალტების სერიაში დამარცხდა.

**ტატო ბაციკაძე**

● სტერეოტიპი და სტატისტიკა


ფორვარდები, რომელთაც „ელ ნინიო“ ერთი თავით სჯობს, მაგრამ მას აკრიტიკებენ, სხვებს კი აქებენ

# მართლა ასე ცუდია ტორესი?

## რამდენ ცნობილ ფორვარდზე უკეთესი სტატისტიკა აქვს ესპანელს სინამდვილეში

2011 წლის 31 იანვარს „ჩელსიმ“ „ლივერპულისგან“ 50 მილიონ ფუნტ სტერლინგად იყიდა ესპანელი ფორვარდი **ფერნანდო ტორესი** და ამის მერე მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ფორვარდის საქმეები აირია. ახლა ტორესი 29 წლისაა და ხშირად ისმენს თავისი მისამართით კრიტიკას. „ელ ნინიო“ ხშირად ხდება დაცინვის ობიექტი სოციალურ მედიასა და ფანებს შორის. თუმცა ეს უფრო ჩამოყალიბებული სტერეოტიპია, ვიდრე რეალობა.

ფიქრობთ, ის მართლა ცუდად თამაშობს? კარგი, მოდი, შევადაროთ „ელ ნინიოს“ მონაგარი პრემიერლიგის სხვა ფორვარდებისას. და საერთოდაც, ვინ ლიდერობს „ვერ გამტან“ თავდამსხმელთა შორის?

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა ფორვარდმა **დენი უელბეკმა** პრემიერლიგის სეზონში ერთხელ გაიტანა - თავური ოქტომბერში, „სტოკის“ წინააღმდეგ 4:2 დასრულებულ მატჩში. ჯამში მან მოედანზე 1 204 წუთი გაატარა და მხოლოდ ერთხელ აილო მეტოქის კარი. გინახავთ უელბეკის კრიტიკა?

არადა, პრემიერლიგის ცნობილ ფორვარდთა რეიტინგს, სადაც ისინი ნათამაშები წუთებისა და გოლების მიხედვით არის დალაგებული, „ვერ გამტანთა“ ლიდერი სწორედ უელბეკია.

**● უკეთესი კუთხიდან კი „ჩელსის“ სხვა ფორვარდი ჩანს, რომელიც „ვესტ ბრომვიჩშია“ განათხოვრებული - ახალგაზრდა რომელუ ლუკაკუმ 13 გოლი გაიტანა, მას ყოველ 119 წუთში გააქვს.**

**● მართალია, ამ შედეგით ბელგიელი ახლოსაც ვერ მივა ლეო მესისთან და კრიშტიანო რონალდოსთან, მაგრამ მათთან შედარება ევროპაში არავის შეუძლია. ლუკაკუს უფრო ხშირად გააქვს, ვიდრე მომდევნო ადგილებზე მყოფებს: ედინ ჯეკოს (119), რობინ ვან პერსის (129) და ლუის სუარესს (129).**

**● ზოგჯერ ჩამოყალიბებული სტერეოტიპი ხელს გვიშლის ობიექტური რეალობის სწორად აღქმაში. ასე რომ, „ელ ნინიო“ არც ისეთი ცუდია, როგორც ბევრს ჰგონია...**

კრიტიკა არა და მისი ქება კი გვახსოვს, თუნდაც „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ. უელბეკი სერ **ალექს ფერგიუსონმა** ცამდე აქო.

სხვათა შორის, ყველაზე „გამორჩენილი“ „ვერ გამტანები“ არიან ინგლისელები: უელბეკი, **კარლტონ კოული, ჯონათან უოლტერსი, დენი გრემი, გრანტ ჰოლტი.**

ტორესმა მოედანზე 2 194 წუთი დაჰყო და 7 გოლი გაიტანა. რა თქმა უნდა, ეს ცოტაა „ჩელსის“ მთავარი ფორვარდისთვის და ცოტაა „ძველი ტორესის“ კლასისთვისაც - ესპანელს ყოველ 313 წუთში ერთი გოლი გააქვს, მაგრამ, ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, „ელ ნინიოს“ უკეთესი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე **ემანუელ ადებაიორს** (408 წუთი/გოლი), **პიტერ კრაუჩს** (384), **ჯიბრილ სისეს** (368), **პაველ პოგრებნიაკს** (335), **კევინ მირალიაშს** (327), **ნიკიცა იელავიჩს** (321) და **პაპის სისეს** (319). დაგვეთანხმებით, არც ისე ცოტაა.

„სანდერლენდის“ მაშინდელმა შეფმა **მარტინ ონილმა** იანვარში გრემში არ დაიშურა კლუბის ბიუჯეტიდან 5 მილიონი ფუნტი სტერლინგი, ფორვარდს კი ყოველ 469 წუთში ერთი გოლი ძლივს გააქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


რომელუ ლუკაკუ ყველაზე ყოჩაღი ფორვარდია

● ამბები

### სუონსი ტაუსენდს უმიზნებს

„ქუინზ პარკმა“ იანვარში **ანდროს ტაუსენდი** „ტოტენჰემიდან“ იჯარით წაიყვანა. საფეხბურთო სამყარომ 21 წლის ნახევარმცველი სწორედ ამის შემდეგ გაიცნო. ფეხბურთელმა ჩემპიონატში 8 შეხვედრა ჩაატარა, 2 გოლი გაიტანა და 1 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. სამწუხაროდ, მისი და მისი მეგობრების მონდომება არ არის საკმარისი პრემიერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. თუკი „რეინჯერები“ მაინც დაქვეითდებიან, ფეხბურთელი „ლოფტუს როუდზე“ დარჩენაზე აღარ იფიქრებს. ამ შემთხვევაში „სუონსი“ მზადაა, „ტოტენჰემთან“ სრულფასოვან ტრანსფერზე დაიწყოს მოლაპარაკება. „სუონსიში“ იმედი აქვთ, რომ დედაქალაქელები 5 მილიონ ფუნტს დასჯერდებიან.

### ბეილი უქმეებამდე ვერ მორჩება

4 აპრილს „უაით ჰარტ ლეინზე“ ევროპა ლიგის 1/4-ფინალურ შეხვედრაში შვეიცარიულ „ბაზელთან“ „ტოტენჰემის“ 23 წლის უელსელმა ლიდერმა **გარეთ ბეილმა** ტრავმა მიიღო. ამ უქმეებზე „დეზებს“ უმნიშვ-


გარეთ ბილი

ნელოვანესი თამაში ელით „მანჩესტერ სიტისთან“. კიდევ ერთი მარცხის შემთხვევაში ჩრდილოლონდონელები ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზას კიდევ უფრო გაიმრუდებენ. თუმცა **ანდრე ვილაშ ბოაშს** ამ შეხვედრაში ბეილის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, ვინაიდან მისი თამაში უზარმაზარი რისკია.

### როუდსი კეროლის ნაცვლად

ამდღეებში „ვესტ ჰემის“ მთავარმა მწვრთნელმა **სემ ელერდაისმა** დაადასტურა, რომ კლუბს ფინანსურად არ შესწევს უნარი, **ენდი კეროლის** ტრანსფერი გამოისყიდოს და თანაც მას მაღალი ხელფასი უხადოს. ასე რომ, 23 წლის აყლაყუდა ინგლისელი „აპტონ პარკზე“ აღარ ითამაშებს. ლაპარაკია, რომ „ნიუკასლი“ 2011 წლის იანვარში 35 მილიონად გაყიდულ თავდამსხმელში 7-დან 10 მილიონ ფუნტამდე ჩამოდის. „ლივერპულს“ სხვა გზა პრინციპში აღარც რჩება. კეროლს მთხოვნელთა რიგი ნამდვილად არ უდგას. რაც შეეხება „ვესტ ჰემს“: „ჩაქუჩები“ კეროლის ნაცვლად „ბლექბერნიდან“ 23 წლის **ჯორდან როუდსის** შეძენას აპირებენ. შოტლანდიელმა ჩემპიონშიპში სულ 41 შეხვედრა ჩაატარა, 25 გოლი გაიტანა და 5 საგოლე გადაცემა შეასრულა. როუდსს „ვარდებთან“ ხელშეკრულება 2017 წლამდე აკავშირებს. მისი გადაბირება ლონდონურ კლუბს 10 მილიონი ფუნტი დაუჯდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

● დიდ მატჩის წინ


ფაბიო კაპელო

# კაპელო: იუვე მოდუნებულია!

## დონ ფაბიოს ბოლო დროს მილანი უფრო მოსწონს

მომდევნო უქმეებზე სერია A-ში „იუვენტუსი“-'მილანის“ მატჩი გაიმართება და ამ შეხვედრაზე აქედანვე საუბრობენ. მაგალითად, **კევინ პრინს ბოატენგმა** თამამი განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მისი გუნდი ტურინში მხოლოდ სამი ქულისთვის ითამაშებს:

*„ტურინში მოგება რომ ძალიან რთულია, ბევრი მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ჩვენ, სწორედაც რომ სამი ქულისთვის ვითამაშებთ. ფრე არაფერში გვჭირდება და ამიტომ, აქტიურად უნდა შევუტიოთ. ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ ექვსი ტურია დარჩენილი, ჩვენ კი „ნაპოლისთან“ ოთხი ქულა გვაქვს ამოსაქაჩი. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ფიორენტინა“ მოგვსდევს და ჯერ მესამე ადგილიც არ გვაქვს დაზევებული. მოკლედ, წინ უმნიშვნელოვანესი მატჩია და ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ“.*

ტურინულ დაპირისპირებაზე კომენტარი „მილანის“ და „იუვენტუსის“ ყოფილმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომაც** გააკეთა და საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: *„შესაძლოა ბევრს ეგონოს, რომ უფრო მოტივირებული „მილანია“, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. ეს გარედან ჩანს თერთმეტი ქულა დიდი ფორა, მწვრთნელები კი იქამდე ნერვიულობენ, სანამ ჩემპიონობის ბედი ოფიციალურად არ გაირკვევა. ამას საკუთარი გამოცდილებიდან ვამბობ, აზრი კი ნამდვილად მომეკითხება. მოკლედ, მოტივაცია ორივე მხარეს მაღალია, უპირატესობას კი მაინც „მილანს“ მივანიჭებდი. დიახ, „მილანს“, რადგან ბოლო პერიოდში, ამ გუნდის თამაში უფრო მომწონს. „იუვე“ თითქოს მოშვებულია, მოდუნებული და ვფიქრობ, ცივი შხაპის ალბათობა საკმაოდ მაღალია“.*

**ლაშა ნიკლაური**

● ტრავმა

# დაცინვა ბოდიშის ნაცვლად

გენუურ დერბიში ერთი უსიამოვნო ინციდენტი მოხდა: „ჯენოას“ ნახევარმცველი **ფრანსელიმო მათუზალემი** მეტოქე **ნენად კრსტიჩიჩს** ძალიან ეუხეშა და მას მძიმე ტრავმა მიაყენა. გამოკვლევებმა ორ დღეს გასტანა და გაცხადდა, რომ 22 წლის შუახაზელი სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. ნენადმა ჟურნალისტებთან გასაუბრება გადაწყვიტა და დანანებით აღნიშნა, რომ ფრანსელიმომ მას არც კი მოუბოდიშა და პირიქით, დასცინა კიდეც:

*„მატჩის შემდეგ ჩემთან მოვიდა და მკითხა, როგორ ვგრძნობდი თავს... როდესაც ვუპასუხე, რომ საშინელ ტკივილს განვიცდიდი, ჩაეცინა და გამშორდა. ასეთი რამ არასდროს მინახავს და სიმართლე გითხრათ, გაოგნებული ვარ. შემდეგ მითხრეს, რომ სულ რამდენიმე ტურის წინ, მათუზალემმა მისი ყოფილი გუნდელი, კრისტიან ბროკი დაამტვრია და ბოდიში არც მას მოუხადა. თუ მომდევნო სეზონში ფრანსელიმო იტალიაში დარჩება, სამაგიეროს აუცილებლად გადავუხდი. შესაძლოა, ჩემი სიტყვები ბევრმა დაგმოს, მაგრამ დღეს, ზუსტადაც ამ აზრზე ვარ. „ჯენოას“ არაერთმა ფეხბურთელმა გამამხნევა და ვინც დამამტვრია, იმან დამცინა – ასეთ რამეს ვერაფრით წარმოვიდგენდი“.*

**ლაშა ნიკლაური**


ნენად კრსტიჩიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

Auto Bild
საქართველო
გაყიდვაშია აპრილის ნომერი!

ბარსელონა

# ვინ დატოვებს ბარსას ზაფხულში

## ვილია, ვალდესი, სანჩესი და სხვები

როდესაც „ბარსელონა“ ახალი სეზონისთვის შეიკრიბება, პირველ გუნდში 32 ფეხბურთელი იქნება, თუმცა ტიტო ვილანოვა მიიჩნევს, რომ 22-23 საკმარისია (ლა ლიგის წესით, განაცხადში შეიძლება 24 ფეხბურთელის შეყვანა), ამიტომაც ზაფხულში „ბარსელონადან“ ბევრს წასვლა მოუწევს.

### მთავარი საკითხი

მთავარი საკითხია, წავლენ თუ არა **ვიქტორ ვალდესი** და **დავიდ ვილია** ამ ზაფხულშივე გუნდიდან. ვალდესს კიდევ 1 წელი რჩება კონტრაქტით. მთავარია, რა შეთავაზებას მიიღებენ ვალდესი და ვილია ზაფხულში. სავარაუდოდ, ორივეს ლონდონის „არსენალი“ დაუკავშირდება.

**ალექსის სანჩესს** დარჩენა სურს, მაგრამ მისით „იუვენტუსია“ დაინტერესებული და არც კატალონიელები იტყვიან ჩილელის გაყიდვაზე უარს.

### უნიკალური შემთხვევა

**ერიკ აბიდალს** ხელშეკრულება უსრულდება, მაგრამ ეს უნიკალური შემთხვევაა და ფრანგ ვეტერანს „ბარსა“ ცუდად არც ერთ ვარიანტში არ მოექცევა, თუმცა შეიძლება, ერიკმა თავად გადაწყვიტოს ფეხბურთიდან წასვლა.

### ახალგაზრდები

ოთხი ახალგაზრდა ფეხბურთელის საკითხი ზაფხულში გადაწყდება. ესენია, **მარკ ბარტრა, ჯონათან დოს სანტოსი, მარტინ მონტოია** და **კრისტიან ტელიო.** პირველ ორზე „ბარსას“ შეფები სიამოვნებით განიხილავენ წინადადებებს, მონტოიასა და ტელიოს დატოვება უნდათ.

### განათხოვრებულები

ოთხი ფეხბურთელი იჯარითაა გასხვისებული: **იბრაჰიმ აფელაი, ბოიან კრკიჩი, ანდრეუ ფონტასი** და **ისააკ კვენკა.** პირველ სამეულს „ბარსაში“ მომავალი აღარ აქვს, კვენკას საკითხი გადასაწყვეტია ზაფხულში.

### რეზერვისტები

დაბოლოს, ბ გუნდის წევრები, რომლებიც იშვიათად ჩნდებიან მთავარ გუნდში: **ოიერი, რაფინია, ჟერარდ დეულოფეუ, მარკ მუნიესა, სერხი რობერტო.** სერხი რობერტოს და ჟერარდ დეულოფეუს „ბარსას“ მომავალს უკავშირებენ, სხვების საკითხი გასარკვევია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანდრეს ინიესტას და სესკ ფაბრეგასს „წმენდა“ არ ემუქრებათ

ამბები




ამერიკაში 8-გრანდიანი სუპერტურნირი დაიგეგმა

### ზაფხულის სუპერტურნირი ევროპასა და ამერიკაში

ამერიკული კომპანია RSE VENTURES ზაფხულში ევროპაში და აშშ-ში 8 კლუბის გრანდიოზულ წინასასეზონო ტურნირს გეგმავს. ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ უკვე არსებობს შეთანხმება მადრიდის „რეალთან“, ტურინის „იუვენტუსთან“, მილანის „ინტერთან“ და „ლოს ანჯელეს გელექსისთან“. მიმდინარეობს მოლაპარაკება „მილანთან“ და სტამბულის „გალათასარაისთან“. დანარჩენ ორს კი ინგლისური პრემიერლიგის მოწინავე კლუბები შეადგენენ. საერთაშორისო ტურნირს „ჩემპიონთა საერთაშორისო თასი“ ეწოდება.

შეჯიბრება 27 ივლისს ევროპაში დაიწყება და ამერიკაში დასრულდება. საპრიზო ფონდი სოლიდურია, ტურნირის ტრანსლაციის უფლებას ექსკლუზიურად „ფოქს სოკერი“ ფლობს.

### მესი და პუიოლი ბაიერნთან იქნებიან

„ბარსელონას“ ექიმებმა დაადასტურეს, რომ 25 წლის **ლეო მესი** ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალისთვის, „ბაიერნის“ წინააღმდეგ სრულ მზადყოფნაში იქნება. შეგახსენებთ, რომ მესიმ ტრავმა ლიგის მეოთხედფინალში, პარიზში მიიღო - მუხლის ხრტილი დაიზიანა. მართალია, ლეომ პსჟ-სთან საპასუხო მატჩის მეორე ტაიმი ითამაშა, მაგრამ მას ექიმებმა „სარაგოსასთან“ თამაში აუკრძალეს. არგენტინელი ჯანზეა, თუმცა ლა ლიგის მომავალი ტურის მატჩი „ლევანტეს“ წინააღმდეგ შეიძლება, მაინც გამოტოვოს.

ასევე მწვანე შუქი აუნთეს, გუნდის კაპიტან **კარლეს პუიოლს** - მიუნხენში ვეტერანი მცველიც ითამაშებს.

### ტიტოს კონტრაქტს გაუგრძელებენ

„ბარსელონას“ ხელმძღვანელობა **ტიტო ვილანოვასთან** განშორებას არ აპირებს და მწვრთნელს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. 44 წლის სპეციალისტმა ხელმეორედ იმკურნალა სიმსივნეზე. „ბარსელონას“ ექიმების თქმით, რეაბილიტაციის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს.

ახლახან კლუბის სპორტული დირექტორი **ანდონი სუბისარეტა** და ვიცე-პრეზიდენტი **ხოსეპ მარია ბარტომეუ** შეხვდნენ ვილანოვას და მის ასისტენტ **ჟორდი როურას.** შეხვედრის თემა ზაფხულის სავარაუდო ტრანსფერები იყო. **სანდრო როსელი** აპირებს, ვილანოვას ახალი, ერთწლიანი ხელშეკრულება შესთავაზოს, ეს ან ამ სეზონის დასაწყისში მოხდება, ან მომავალი სეზონის დასაწყისში. ტიტო ვილანოვას „ბარსელონასთან“ ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულში უმთავრდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰამბურგი




# საიდუმლო გრილობა

## ლუდი და სოსისი 500 ფანს, სხვებმა რა დააშავეს?

„ჰამბურგი“ მიუნხენის „ბაიერნთან“ 2:9-ით რომ განადგურდა, იმ შეხვედრას მიუნხენში 6000 ჰამბურგელი ქომაგი დაესწრო. როგორც იცით, ეს ჩრდილოგერმანული კლუბის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო წაგება გამოვიდა (ამაზე უფრო დიდი ანგარიშით „ჰამბურგი“ არასდროს დამარცხებულა), რის გამოც, მეორე დღეს კლუბის ბოსებმა პირობა დადეს, ჩვენს ერთგულ ფანებთან ერთად ძალიან მაგარ სადილს მოვაწყობთ და შევეცდებით, ასე მოვუბოდიშოთო.

გადაწყდა, რომ ეს კვირას მოხდება, მაგრამ შემწვარ სოსისებსა და ცივ ლუდზე „ჰამბურგმა“ მხოლოდ 500 შერჩეული ქომაგი დაპატიჟა, რამაც დანარჩენების განრისხება გამოიწვია, რაც ლოგიკურია, რადგან გუნდს მიუნხენში 6000 ფანი გაჰყვა.

*„ღია კარის დღის მოწყობა რომ გვინდოდეს, ასეც მოვიქცეოდით. ჩვენი მიზანი იმ ქომაგებთან შეხვედრა და გასაუბრებაა, რომლებიც მუდმივად დაგვყვებიან გასვლით შეხვედრებზე,“* - ეს „ჰამბურგის“ პრესმდივან **იორნ ვოლფის** სიტყვებია.

აქვე გეტყვით, რომ „ჰამბურგისა“ და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი **მარსელ იანსენი** ამ იდეით სულაც არაა მოხიბლული - მისი აზრით, როცა გუნდი 2:9-ს წააგებს, არც სოსისი სჭირდება ვინმეს, არც ლუდი და არც საყოველთაო და მით უმეტეს საიდუმლო გრილაობა...

**გოტფრიდ ლენცი**

N 1 საავტომობილო ჟურნალი მსოფლიოში

გერმანიის თასი. ნახევარფინალი

# ბავარიული ექსპრესი ბერლინს მიადგა

## გომესის ბლიც-ჰეთთრიკი 6 წუთში და ინგლისური პერსპექტივა



მარიო გომესმა ბლიც ჰეთ თრიკით ყველას თავი შეახსენა



**სენსაცია**, რა თქმა უნდა, არც ამჯერად მოხდა: ისტორიულად გამორჩეულ ფორმაში მყოფმა „ბაიერნმა" გერმანიის თასის ნახევარფინალში „ვოლფსბურგი" „მიწასთან გაასწორა" და ბერლინის ფინალში მონაწილეობა გაინაღდა. თუმცა, რაღა მონაწილეობა - განა არსებობს ვინმე, ვინც ფიქრობს, რომ მიუნხენურ გრანდს ფინალის წაგება შეუძლია?

**ბაიერნი-ვოლფსბურგი 6:1**

**გოლები:** 1:0 მანჯუკიჩი (17), 2:0 რობენი (35), 2:1 დიეგო (45), 3:1 შაჩირი (50), 4:1 გომესი (80), 5:1 გომესი (83), 6:1 გომესი (86)

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, კონტენტო - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - რობენი (74. რაფინია), თ. მიულერი (63. ლუის გუსტავო), შაჩირი - მანჯუკიჩი (77. გომესი).

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ფაგნერი (61. დოსტი), ნალდო, მადლუნგი, როდრიგესი - მედოიევიჩი, პოლაკი (73. ტრეში) - ჰასებე, დიეგო, ვიეირინია - ოლიჩი (73. ჰელმესი).

**გაფრთხილება:** შვაინშტაიგერი - ნალდო, პოლაკი

**მაყურებელი:** 71 000

**შტუტგარტი-ფრაიბურგი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბოკა (9), 1:1 როზენტალი (14), 2:1 ჰარნიკი (29),

**არადა**, იდეაში, თასის ფინალში გასვლა „ვოლფსბურგს" უფრო სჭირდებოდა, რადგან ეს „მგლებისთვის" ევროპალიგაში მოხვედრის უკანასკნელი შანსი იყო, მაგრამ ამ სეზონში „ბაიერნთან" მიმართებაში მხოლოდ ერთი ლოგიკა არსებობს: ბავარიულ გრანდს ყველა თამაშის და ყველა ტიტულის მოგება უნდა და რაც ყველაზე მთავარია, ბაიერნელები ამისათვის ყოველთვის ყველაფერს აკეთებენ...

### გიგანტური გომესი

ჩვენი გერმანელი კოლეგები ფეხბურთელს შეფასებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უწერენ, თუ მოედანზე მინიმუმ 15 წუთს გაატარებს, **მარიო გომესი** კი თამაშში 77-ე წუთზე ჩაერთო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამონაკლისი დაუშვეს და საუკეთესო შეფასება დაუწერეს. 27 წლის ფორვარდმა ხსენებულ დროს **მარიო მანჯუკიჩი** შეცვალა და 6 წუთში სამი გოლი გაიტანა - მარიომ სულ სამჯერ დაარტყა და სამივე დარტყმა გოლად აქცია! ერთი **ჯერდან შაჩირიმ** გაატანინა (80), ორჯერ კი **ბასტიან შვაინშტაიგერთან** გათამაშებული კომბინაციების შემდეგ იხეირა (83, 86).

ეს ჰეთ-თრიკი გომესს ძალიან დაეხმარება იმაში, რომ ან „ბაიერნში" გაიუმჯობესოს პოზიციები, ანაც სხვა გუნდები დააინტერესოს. ბოლო დროს ხომ აშკარად გამოჩნდა, რომ გომესი „ბაიერნში" არა მარტო მანჯუკიჩს, არამედ, ბევრის აზრით **კლაუდიო პისაროსაც** კი ჩამორჩა, რის გამოც მისმა მრჩეველმა პრესაში განგაში ატეხა, ასე გაგრძელება არ შეიძლებაო და სხვა გუნდების ძიებას შეუდგა. „ბილდის" ინფორმაციით, მარიოს გადაბირებით უკვე დაინტერესდნენ ინგლისური გრანდები, „ჩელსი" და „მანჩესტერ სიტი". გომესს „ბაიერნთან" კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული და დაახლოებით 35 მილიონ ევროდაა შეფასებული.

### ჰიონესი: ეს უკვე თითქმის სრულყოფილებაა!

...თუმცა ბავარიელებმა ვოლფსბურგელებს საქმე გომესის ჰეთ-თრიკამდე მოუთავეს. მატჩის შემდეგ რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** თქვა, ეს უკვე თითქმის სრულყოფილებაა, ამაზე უკეთესი და უფრო ეფექტური ფეხბურთის თამაში ფაქტობრივად წარმოუდგენელია.

ჯერ **არიენ რობენის** პასით მანჯუკიჩმა ანგარიში გახსნა, მერე კი თავად რობენმა შეირგო **შაჩირის** პასი და 35-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახდა. შესვენებამდე **დიეგომ** ერთი გაქვითა და მეორე ტაიმისთვის თანაგუნდელებს იმედი დაუტოვა, მაგრამ დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, ხუთ წუთში შაჩირიმ მესამედ აილო ბენალიოს კარი, რითაც მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მერე კი, სულ ბოლოს, იყო გომესის ბლიც-ჰეთ-თრიკი და „მგლების" საბოლოო დასამარება.

ამრიგად, უდიდესი ბიუჯეტის მქონე „ვოლფსბურგი", რომელიც მსოფლიო ავტოგიგანტ „ფოლკსვაგენის" კმაყოფაზეა და ისეთი მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები ჰყავს, როგორებიც არიან **ბენალიო, კიაერი, ნალდო**, დიეგო და **დოსტი**, ევროტურნირების გარეშე დარჩა (ბუნდესლიგაში საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის შანსი ფაქტობრივად აღარ აქვთ). სამაგიეროდ, მეორე ფინალისტი აუცილებლად ითამაშებს ევროპალიგაში, რადგან „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა აქვს განაღდებული...

ლევერკუზენი



ანდრე შიურლე ჩელსის ელაპარაკება

# ჩელსი შიურლეს არ ასვენებს

## ანდრეს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია

**გერმანიის** ნაკრების ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელ **ანდრე შიურლეს** ლევერკუზენის „ბაიერთან" კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ რაც დრო გადის, ყველას უფრო და უფრო მეტად ეპარება ეჭვი იმაში, რომ 22 წლის გარემარბი ამ ხელშეკრულებას ბოლომდე შეასრულებს. უფრო სავარაუდო ისაა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ შიურლემ ლევერკუზენი დატოვოს და კარიერა ინგლისში გააგრძელოს. ცნობილია, რომ ანდრესთვის ლონდონის „ჩელსი" იბრძვის და გახსენებთ, რომ „არისტოკრატებს" მისი გადაბირება წინა ზაფხულშიც უნდოდათ, უბრალოდ, მაშინ „ლევერკუზენის" სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა** ქვა ააგდო, თავი შეუშვირა და შიურლე არაფრისდიდებით არ დათმო, ახლა კი, ერთ-ერთი ლიდერი, შეიძლება, მართლა გაყიდოს.

კითხვაზე, რას ფიქრობს შიურლეს შესაძლო ტრანსფერზე, ფიოლერმა ამას წინათ უპასუხა, ჩვენ მართლაც ვფიქრობთო და იქვე დასძინა, რომ „ლევერკუზენს" „ჩელსისგან" კონკრეტული შეთავაზება ჯერ არ მიუღია. სამაგიეროდ, გაირკვა, რომ „ჩელსისა" და შიურლეს შორის მიდის მოლაპარაკებები. „კიკერის" ცნობით, შიურლეს ტრანსფერზე **მიხაელ ბეკერი** მუშაობს - აგენტი, რომელიც **მიხაელ ბალაკის** მრჩეველი გახლდათ. შესაბამისად, დიდი შანსია, რომ კლუბი და ფეხბურთელი მალე შეთანხმდნენ.

შარშან „ჩელსი" „ლევერკუზენს" შიურლეს სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს სთავაზობდა, რაზეც გერმანელებმა ლონდონელებს უარი შეუთვალეს. ახლა კი, ანდრეს ფასი 20 მილიონი ევროა - ოღონდ, არა იმიტომ, რომ გაუარესდა, არამედ იმის გამო, რომ მაშინ „ჩელსიმ" აგვისტოში მოინდომა შიურლეს გადაბირება, ამ დროს კი ყველა ფეხბურთელი ძვირდება. გარდა ამისა, შიურლეს ამჟამინდელ კონტრაქტში ჩადებული აქვს პუნქტი, რომლის მიხედვითაც, გაისად „ბაიერიდან" წასვლა 15 მილიონად შეუძლია...

ბაიერნი

# ჰიონესი: მესი? ჩვენ გვყავს მიულერი, ლამი...

## ბარსასთან 0:4 რომ წავაგეთ, მაშინ მივხვდი, რომ ნაღდი მწვრთნელი გვჭირდებოდა!

**ჩემპიონთა ლიგის** ნახევარფინალის წილისყრამ ყველანი დაგვაინტრიგა: „ბაიერნისა" და „ბარსელონას" დუელებს მთელი მსოფლიო მოუთმენლად ელოდება. მიუნხენური გრანდის პრეზიდენტი ული ჰიონესი მიიჩნევს, რომ „ბაიერნს" სწორედ ახლა შეუძლია „ბარსელონას" დამარცხება. გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ულის ინტერვიუდან, რომელიც ჟურნალ „შპორტ ბილდში" გამოქვეყნდა.

**- ჰერ ჰიონეს, 2009 წელს „ბაიერნი" „ბარსელონასთან" 0:4 განადგურდა. დღეს ხშირად გვესმის, რომ მას მერე „ბაიერნში" ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით კი, გამოიცვალა ზოგადად კლუბის ფილოსოფია. ამ მოსაზრებას ეთანხმებით?**

- კლუბის ფილოსოფია არ შეცვლილა და არც არასდროს შეიცვლება. თუ ძვირადღირებული ფეხბურთელების რაოდენობას გულისხმობთ, მაშინაც გვყავდა ფრანკ რიბერი და ლუკა ტონი... მთავარი ისაა, თუ ვინ იყო მაშინ „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი (იურგენ კლინსმანი - ავტ). იმის თქმა მინდა, რომ სწორედ „ბარსელონასთან" წაგების შემდეგ მივხვდით, ნაღდი მწვრთნელი რომ გვჭირდებოდა და არა ფსევდო-სპეციალისტი.



ბაიერნის პრეზიდენტი ული ჰიონესი

**- ახლა „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი გამოცდილი იუპ ჰაინკესია, რომელიც ესპანურ ფეხბურთს და ესპანელებს ძალიან კარგად იცნობს. ზრდის თუ არა ეს რეკორდმაისტერის შანსებს?**

- ჰაინკესი ესპანურ ფეხბურთს მარტო იმიტომ კი არ იცნობს, რომ ადრე მუშაობდა და „რეალს" ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, არამედ, „დონ იუპი" დღესაც იდეალურადაა ინფორმირებული ესპანური ფეხბურთის შესახებ. ვიცი, რომ შაბათ-კვირას, როცა დრო აქვს, ყოველთვის უყურებს პრიმერადივიზიონის მატჩებს. დარწმუნებული ვარ, „ბარსელონას" დამრიგებელი ტიტო ვილანოვა ჰაინკესს ვერაფრით გააოცებს.

**- ხოსეპ გვარდიოლას რჩევას არ სთხოვს?**

- იუპ ჰაინკესი უდიდესი სპეციალისტია და რჩევები არავისგან სჭირდება.

**- ყველამ ვიცით, რომ გვარდიოლასთან შეთანხმებამ ჰაინკესს გული დასწყვიტა...**

- ვაღიარებ, რომ იუპს და მე ურთიერთობა დაგვეძაბა, მაგრამ უდიდესი ტყუილია ის, რომ თითქოს ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ და ყოველთვის ველაპარაკებოდით ერთმანეთს. შესაძლოა, არა ისე ინტენსიურად, როგორც მანამდე, მაგრამ კონტაქტი არ შეწყვეტილა. ახლა კი ჩვენი ურთიერთობა ისევ დასტაბილურდა.

**- თქვენმა განცხადებამ, ნახევარფინალში დორტმუნდის „ბორუსიასთან" შეხვედრა მერჩივნაო, დორტმუნდელები ძალიან გაანაწყენა...**

- უბრალოდ, გულახდილად ვთქვი, რასაც ვფიქრობდი. ცხადია, რომ „დორტმუნდი" „ბარსელონასა" და „რეალზე" არაფრის უნდა ეშინოდეს, ჩვენი ფეხბურთელები არავის ჩამოუვარდებიან. პირიქით, უნდა ვიამაყოთ ამ გუნდით. დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნი" „ბარსას" აბსოლუტურად ტოლ-სწორად ეთამაშება. ჩვენ კატალონიური გუნდის დამარცხება სწორედ ახლა შეგვიძლია.

**„ჰაინკესს გვარდიოლას რჩევები არ სჭირდება"**

**- ოცნებობთ იმაზე, რომ გვარდიოლამ ერთი მესი „ბაიერნშიც" გამოზარდოს?**

- ყველა მესიზე ლაპარაკობს, ჩვენ კი ბასტიან შვაინშტაიგერით, ფილიპ ლამით, თომას მიულერით, ჰოლგერ ბადშტუბერითა და დავიდ ალაბათი ვამაყობთ. ეს ბიჭები სწორედ „ბაიერნში" გაიზარდნენ. „ბაიერნს" არავის და სუსტია. ვფიქრობ, ეს არ უნდა სწყენოდათ. ზოგადად, „ბაიერნი" „დორტმუნდს" დიდ მადლობას უხდის იმის გამო, რომ ზედიზედ ორჯერ წაგვართვა გერმანიის ჩემპიონობა. სწორედ ამიტომ განიცადა „ბაიერნმა" ასეთი პროგრესი - ჩვენ სულ სხვა დონეს მივაღწიეთ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● სამბო




# ქუნძულიდან 18 მედალი

[illegible]

გაბრიელ ბარვანაძე

● ძიუდო

# უზენაესის რჩეულნი

[illegible]

ირაკლი თავაძე

● ხელბურთი



# მედლები დღეს განაწილდება

[illegible]

ფი. „მერანი" - „კორიდა" 40:17, ყვარელი - ზუგდიდი 11:18.

ამდენად, ორივე ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა:

| A ჯგუფი | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პეგასი | 3 | 0 | 0 | 97:45 | 6 |
| 2. გორი | 1 | 0 | 2 | 60:86 | 2 |
| 3. თელავი | 1 | 0 | 2 | 56:68 | 2 |
| 4. მართვე | 1 | 0 | 2 | 57:71 | 2 |

| B ჯგუფი | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მერანი | 3 | 0 | 0 | 86:50 | 6 |
| 2. კორიდა | 2 | 0 | 1 | 70:75 | 4 |
| 3. ზუგდიდი | 1 | 0 | 2 | 46:56 | 2 |
| 4. ყვარელი | 0 | 0 | 2 | 39:63 | 0 |

ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული „პეგასი" და „მერანი" ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ, გორისა და „კორიდას" დაპირისპირება ბრინჯაოს მფლობელს გამოავლენს. V ადგილისთვის თელავი - ზუგდიდი, ხოლო VII ადგილისთვის "მართვე" და ყვარელი ითამაშებენ.

ვაჟა დანელია

# ორი მოგება ხუთიდან ჩემპიონობისთვის

[illegible]

I დღე. „სტუ" - „იმედი" 40:34, ქუთაისი - აზერბაიჯანი 25:32, „მერანი" - ბათუმი 30:33.

II დღე. ქუთაისი - ბათუმი 31:48, „მერანი" - სტუ 28:41, აზერბაიჯანი - „იმედი" 29:22.

III დღე. „სტუ" - აზერბაიჯანი 29:24, „მერანი" - ქუთაისი 32:24, „იმედი" - ბათუმი 33:38.

IV დღე. „იმედი" - ქუთაისი 34:22, ბათუმი - „სტუ" 29:38, აზერბაიჯანი - „მერანი" 28:29.

V დღე. „სტუ" - ქუთაისი 35:20, „მერანი" - „იმედი" 41:33, ბათუმი - აზერბაიჯანი 20:17.

| 5 ტურის შედეგი | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 12 | 0 | 0 | 442:316 | 24 |
| ბათუმი | 8 | 1 | 3 | 348:275 | 17 |
| [illegible] | 6 | 1 | 5 | 312:260 | 13 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 9 | 374:444 | 6 |
| ქუთაისი | 0 | 0 | 12 | 277:390 | 0 |

ვაჟა დანელია



## მილოცვა



გოგი თოფაძე ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში უცხო კაცი არ არის. მანამდეც და განსაკუთრებით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სპორტი უფსკრულის პირას იყო, ბატონ გოგის დახმარების ხელი გამოუწვდია. ქართულ სპორტს მისგან ბევრი სიკეთე ახსოვს.

წლების მანძილზე გოგი თოფაძე საქართველოში ზამთრის სპორტს ედგა სათავეში, იყო სეოკ-ის აღმასკომის წევრი და ვიცე-პრეზიდენტი. ძალზედ კრიტიკულ პერიოდში ასრულებდა სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობას და პეკინში საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას ხელმძღვანელობდა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ულოცავს ბატონ გოგი თოფაძეს დაბადების დღეს და უსურვებს მას ჯანმრთელობასა და წარმატებებს მის საქმიანობაში, ამჯერად უკვე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში.

● თავისუფალი ჭიდაობა.

# ახალ წონაში ძველი შემართებით



გორელი მოჭიდავე ლონდონის ოლიმპიადაზე



ინტერვიუ ლადო ხინჩეგაშვილთან

ლონდონის ოლიმპიადის ფინალისტი, 21 წლის გორელი თავისუფალი სტილის მოჭიდავე ლადო ხინჩეგაშვილი ოლიმპიური თამაშების შემდეგ 55 კგ წონითი კატეგორიის ნაცვლად 60 კგ-ში ასპარეზობს. წონის შეცვლიდან ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი გახდა. ამას წინათ თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მისგან წარმატებებს მიჩვეულები ვართ, მაგრამ წონის გამოცვლა და ახალში დამკვიდრება იოლი საქმე არავისთვისაა. ლადო ხინჩეგაშვილთან ინტერვიუში ამ და სხვა საკითხებზე ვისაუბრეთ.

**- ლადო, ევროპის ჩემპიონატისათვის მომზადებით თუ იყავი კმაყოფილი?**

- მოსამზადებელი ეტაპი ურიგოდ ნამდვილად არ გამივლია. ნორმალურ ფორმაში ვიყავი. მართალია, ხანდახან სახსრების ტკივილი სრულყოფილად დატვირთვაში ხელს მიშლიდა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ იმ მომზადებით როგორც ევროპის ჩემპიონატს შევხვდი, სავსებით შესაძლებელი იყო უმაღლესი შედეგის მიღწევა. სახსრების ტკივილს ადრე არ ვუჩიოდი და ნამდვილად არ ვიცი, რისი ბრალია. უახლოეს დღეებში ვაპირებ სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებას, თუმცა ვფიქრობ, რომ საგანგაშო არაფერია.

**- ახალ წონაში გადასვლის მერე ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატი იყო. შენ 2011 წელს ამ შეჯიბრებაზე 55 კგ-ში უკვე გქონდა მოპოვებული ვერცხლის მედალი, სამწუხაროდ, ახლაც ცოტა დაგაკლდა ოქრომდე.**

- გულშემატკივრის გადასახედიდან შესაძლოა სხვაგვარად ჩანს ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებამდე გზა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ჩემპიონობამდე ერთი მოგება აშორებს ფალავანს. თუმცა 2011 წლის ფინალი მართლა დასანანი იყო, რადგან რუსეთელ ჯამალ ოთარსულთანოვთან ორივე პერიოდს ვიგებდი, საბოლოოდ კი ხელიდან გამომეცალა გამარჯვება.

**- რატომ, რა მიზეზით...**

- აღარ მინდა გახსენება...

**- ევროპის ჩემპიონატზე ყველაფერი დიდი უპირატესობით მოგებული შეხვედრით დაიწყო.**

- დიახ, ესტონელ ალექსეი ბასკაკოვთან მოგება არ გამჭირვებია, ორ პერიოდში 3:0, 8:0 ვძლიე. მაგრამ, სამაგიეროდ, აზერბაიჯანელი ალიევია ძლიერი და საკმაოდ ენერგიული მოწინააღმდეგე. მასთან სამ პერიოდში 1:0, 2:6. 3:1 კი მოვიგე, თუმცა ძალიან დავიღალე და შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ ძვირად დამიჯდა ეს გამარჯვება. მალ-მალე მიწევდა არენაზე გასვლა. დაღლილობა შესაბამისად აისახა რუს ოპან სატთან ასპარეზობისასაც, თუმცა მასთან მაინც უნდა მომეგო.

**- დაჯილდოების შემდეგ მედიასთან კომენტარში შეცდომა ახსენე. იქნებ დააკონკრეტო...**

- დააკვირდებოდით, რომ პირველ პერიოდში, როცა 0:1-ს ვაგებდი, საკმაოდ სახეირო პოზიციაში მოვიხელთე სატი. იქიდან ქულის აღება თითქმის არ წარმოადგენს სიძნელეს, მაგრამ მე ორქულიანი მოვინდომე და ბოლოს ერთიც დავკარგე. არადა, ერთიც რომ ამეღო, ბოლო ქულით პერიოდს მე ვიგებდი და რა მოხდებოდა მომდევნო რაუნდში, არავინ იცის. მეორე რაუნდი ყაიმით დასრულდა, ბურთულა რუსმა ამოიღო და ფეხში შესვლის უპირატესობა მას ერგო, რაც გამოიყენა კიდეც.

**- გარდა იმისა, რომ ოპან სატი ახლა უკვე სამგზის ევროპის ჩემპიონია, საინტერესოა მისი შენეული შეფასება.**

- რასაკვირველია, ტიტულებიც ბევრს მეტყველებს. მან სამჯერ იჭიდავა ევროპის ჩემპიონატზე და სამივეჯერ გაიმარჯვა. სატის ტაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის მოწინააღდეგეს არ აძლევს ჭიდაობის საშუალებას. სულ თვითონ მუშაობს არენაზე. ძალიან ძლიერია. რუსეთში მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბესიკ კუდუხოვი ახერხებს მის დამარცხებას.

**- ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში თურქი მუნირ აქთაში დაამარცხე...**

- აქთაშს ზამთარში იაშარ დოგუს ტურნირზე შევხვდი, სადაც მოსაგებად სამი პერიოდი დამჭირდა. იქ თითო რაუნდში ბურთულის უპირატესობით ვიმარჯვეთ ორივემ, საბოლოო წარმატება კი მესამე რაუნდში ქულებით მე მოვიპოვე. ამჯერად თურქის დასამარცხებლად ორი რაუნდი მეყო - 3:1, 6:0. მიმაჩნია, რომ ჩემპიონატზე ყველაზე უკეთესი შეხვედრა სწორედ აქთაშთან ჩავატარე.

**- სანამ ევროპის ჩემპონატზე გამოხვიდოდი, იაშარ დოგუს ტურნირის მოგებასთან ერთად საქართველოს ჩემპიონიც გახდი. ახალ წონაში ეს გამარჯვება იოლი არ ყოფილა.**

- გულმოდგინედ მოვემზადე, რადგან ვიცოდი, დიდი ძალისხმევა იქნებოდა საჭირო ახალ წონაში ადგილის დასამკვიდრებლად. შეჯიბრება მართლაც დაძაბული გამოდგა. განსაკუთრებით ლომთაძესთან დაპირისპირებაა აღსანიშნავი. მიუხედავად ჩემპიონობისა, შიდა სარბიელზე 60 კგ-ში ლიდერის ადგილის დასამკვიდრებელი ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. მსოფლიოს ჩემპიონატისათვის შემადგენლობა ალბათ საქართველოს თასის ჩატარების შემდეგ გახდება ცნობილი.

**- დაბოლოს, ამ გადასახედიდან, როგორ უყურებ გადაწყვეტილებას 60 კგში გადასვლასთან დაკავშირებით?**

- სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ეს ნაბიჯი სწორი და ამავე დროს დროული იყო. 55 კგ-ში წონის გამუდმებული კლებით ვტანჯავდი ორგანიზმს. ოლიმპიადამდე წონას ვერ შევიცვლიდი, რადგან ლიცენზია უკვე ხელთ მქონდა. მერე კი თამამად ავინაცვლე 60 კგ-ში და გაცილებით თავისუფლადაც ვემზადები შეჯიბრებებისათვის.

ვასილ ბალახაძე

● ჩოგბურთი

# თითო წრეს გაიარეს

უზბეკურ მანანგანში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), რომელშიც წარმატებით ასპარეზობენ თბილისელი სპორტსმენები - **სოფიო შაფათავა და ოქსანა კალაშნიკოვა.** ერთეულთა თანრიგში ტურნირზე მე-7 ნომრად განთესილმა შაფათავამ გუშინ სამ სეტში აჯობა პოლინა ვინოგრადოვას (რუსეთი) - 6:1, 2:6, 7:6. ნახევარფინალში იგი მე-4 ნომრად განთესილ ნადია კიჩენოკს (უკრაინა) დაუპირისპირდება.

კალაშნიკოვამ გუშინ ნადიას დას - მე-5 ნომერ ლუდმილა კიჩენოკს პირველი ხელი 6:4 მოუგო, მეორეში, როცა ჩვენებური 3:0 დაწინაურდა, უკრაინელმა ტრავმა მიიღო და ორთაბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. ნახევარფინალში კალაშნიკოვა ტურნირის მესამე ნომერ ეკატერინე ბიჩკოვასთან (რუსეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

წყვილებში უბრძოლველად გავიდა ნახევარფინალში შაფათავას და უზბეკი ნიგინა აბდურაიმოვას დუეტი, რადგან პირველ ნომრად განთესილმა კიჩენოკებმა ლუდმილას ტრავმის გამო კორტზე გასვლა ვერ შეძლეს. შაფათავა და აბდურაიმოვა ნახევარფინალში ალბინა ხაბიბულინას (უზბეკეთი) და ანასტასია ვასილიევას (უკრაინა) ტანდემთან გაარკვევენ ურთიერთობას. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ვალენტინა ივანჩენკო (უკრაინა)/ქსენია პალკინა (ყირგიზეთი) და სამანტა მარეი/ემილი ვებლი-სმიტი (ორივე - დიდი ბრიტანეთი) ითამაშებენ.

ვაჟა დანელია

● სნოუბორდი

# შედეგები მოკრძალებული, მაგრამ აღიარება

საფრანგეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, ქართველ სნოუბორდელ **რევაზ ნაზლაიძეს** გიგანტურ სლალომში პირველი სტარტის შემდეგ მეორე შედეგი ჰქონდა. გუდაურელი სპორტსმენი ძალიან ახლოს იყო სოჭის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებასთან, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე ცდაზე ბოლო კართან წაიქცა და მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა. ასეთ პრესტიჟულ ტურნირზე ათეულში მოხვედრას ახალჩამოყალიბებულ სნოუბორდელთა გუნდის ხელმძღვანელები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.

ბაკურიანელმა სპორტსმენმა **ნუგზარ დიაკონაშვილმა** სნოუბორდ კროსში იასპარეზა და 49-ე ადგილზე გავიდა, რითაც სარეიტინგო ქულები მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ სნოუბორდ კროსი ურთულესი დისციპლინაა, რომლის ტრასა საქართველოში ჯერ არ გაგვაჩნია.



*„პირადად ჩემთვის დიაკონაშვილის შედეგი მნიშვნელოვანი იყო. საერთაშორისო ოლიმპიური სოლიდარობის ფონდმა გვაღიარა, გამოგვიყო სტიპენდია რევაზ ნაზლაიძეზე. საჭიროა გავიაროთ სოჭის ოლიმპიური თამაშების წინა მოსამზადებელი შეკრებები, რაც დიდი სტიმული იქნება ჩვენში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის. ვეცდებით, დარჩენილ დროში მოვიპოვოთ სალიცენზიო ქულები და მოვხვდეთ სოჭის ოლიმპიადაზე"* - თქვა საქართველოს სნოუბორდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან მშვილდაძემ.**

თორნიკე გაჩეჩილაძე




## გამოხმაურება

„ლელოს" გუშინდელ ნომერში დაანონსებულ ჩვენი გაზეთის ახალ რუბრიკას „ჩვენ, ყველა ერთად, ლელოელები ვართ!" უმალვე მოჰყვა გამოხმაურება. პირდაპირ რედაქციაში გვაახლა ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. ამასთან, ამავე რუბრიკაში დღეს გაეცნობით პასუხს რედაქციაში შემოსულ შეკითხვაზე.

## წერილი „ლელოს"

პატივცემულო რედაქცია!

უკვე მერამდენედ, ჩვენს საყვარელ გაზეთში ვკითხულობთ:

1990 წლის 30 მარტს საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი გახსნეს თბილისის „დინამომ" და ფოთის „კოლხეთმა". ეს ასე არ არის! ერთმანეთს შეხვდა თბილისის „იბერია" და „ფოთის „კოლხეთი-1913" (რომელიც კავკასიის ერთ-ერთი უძველესი კლუბია და წლეულს 100 წელი უსრულდება).

ძალიან გთხოვთ ისტორიული თარიღის გახსენებისას ჟურნალისტებმაც და რესპონდენტებმაც დაიცვან სიზუსტე!

პირველ ეროვნულს ლენინის ორდენოსანი სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების სახელის მატარებელი გუნდი არ და ვერ გახსნიდა!

პატივისცემით: **ნ. ლაზრიშვილი, გ. კაჭარავა, ი. ჩახნაშვილი, მ. ჯალაბაძე, გ. ჟვანია, ლ. ბარამიძე, ა. ბაძაღუა** (თბილისი).

P.S. მოგვყავს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ლიგის I ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების სია:

1. „იბერია" (თბილისი)
2. „გურია" (ლანჩხუთი)
3. „ბათუმი" (ბათუმი)" - დღეს ისევ „დინამო"
4. „ქუთაისი" (ქუთაისი) - დღეს ისევ „ტორპედო"
5. „ცხუმი" (სოხუმი) - აღარ არსებობს
6. „კოლხეთი-1913" - დღეს „კოლხეთი"
7. „სანავარდო" (სამტრედია) - ისევ „ლოკომოტივი"
8. „კოლხეთი" (ხობი)
9. „დილა" (გორი)
10. „მერცხალი" (ოზურგეთი)
11. „გორდა (რუსთავი) - „ოლიმპი", დღეს ისევ „მეტალურგი"
12. „შევარდენი-1906" (თბილისი) - კავკასიის უძველესი კლუბი აღარ არსებობს.
13. „სამგურალი" (წყალტუბო)
14. „ოდიში" (ზუგდიდი) - აღარ არსებობს
15. „ამირანი" (ოჩამჩირე) - აღარ არსებობს
16. „მზიური" (გალი) - აღარ არსებობს
17. „ივერია (ხაშური) - აღარ არსებობს
18. „ლიახვი" (ცხინვალი) - აღარ არსებობს.

P.S. ურიგო არ იქნება გამოქვეყნდეს იმ დადგენილების ოქმი, სადაც აღნიშნულია, თუ როდის, ვისი ინიციატივით, რა მოტივაციითა და რომელ კანონზე დაყრდნობით, საქართველოს 3-გზის ჩემპიონს დაუბრუნდა „ისტორიული" სახელი.

გულშემატკივრებს შეუძლიათ საიტზე GEOSINEMA.GE იხილონ ფილმი „ქართული ფეხბურთი 110 წლისაა", რომლის შემადგენელი ნაწილია სურათი „პირველი ეროვნული".

## რედაქციისაგან

**რედაქციისაგან:** სასიამოვნოა, რომ მკითხველმა ასეთი დაინტერესება გამოიჩინა. ამთავითვე შევნიშნავთ, რომ საფეხბურთო კლუბის სახელის შენარჩუნება თუ გადარქმევა იურიდიული საკითხია - მეპატრონის ნებაზეა დამოკიდებული.

აქვე შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ ავტორთა სხვა უზუსტობებზეც. მაგალითად, სამტრედიის გუნდს დღეს „სამტრედია" ჰქვია და არა „ლოკომოტივი". ხაშურის „ივერია" არსებობს და საქართველოს პირველობის მეორე ლიგაში, აღმოსავლეთ ზონაში თამაშობს. ცხინვალის „ლიახვის" ნაცვლად I ლიგაში გამოდის „ლიახვი" (აჩაბეთი). ხოლო თუ რატომ აღარ არსებობენ სოხუმის „ცხუმი", გალის „მზიური" და ოჩამჩირის „ამირანი" - ყველასთვის გასაგებია.

## შეკითხვა

გამიგია, ფიგურულ სრიალში ოთარ ჯაფარიძემ და მისმა მეწყვილემ თავისუფალი პროგრამით რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაზე „ცეკვა ქართული" ყინულზე წარმოადგინეს. გთხოვთ დაგვიდასტუროთ ან უარყოთ ეს ფაქტი.

ლელა და მაკა სანაძეები
თბილისი

**პასუხი:** დიახ, ფაქტს გიდასტურებთ. ოთარ ჯაფარიძე და მისი მეწყვილე ამერიკელი ელისონ რიდი მართლაც ასრულებდნენ ყინულზე „ცეკვა ქართულს". მერე ეს წყვილი დაიშალა რიდი ახლა ისრაელშია.



ჭადრაკი

# ქალები ქუნევით იწყებენ

ფიდემ საბოლოოდ დაასახელა ის 18 დიდოსტატი ქალი, რომლებიც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის 2013-2014 წლების გრან პრის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. ამ ტურნირს კი, მოგეხსენებათ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან აქ გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ტიტულის მფლობელთან იბრძოლებს.


ნანა ძაგნიძე

შეგახსენებთ, რომ შარშან უკრაინელმა ანა უშენინამ ნოკაუტსისტემით გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. წლეულს იგი გვირგვინის შასანარჩუნებლად 2011-2012 წლების გრან პრის გამარჯვებულს, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (ჩინეთი) დაუპირისპირდება.

ფიდეს გრან პრის ახალ გათამაშებაში იასპარეზებენ: **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2617), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2597), **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2585), **ჟაო სიუე** (ჩინეთი, 2565), 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2545), ორგზის ევროპის ჩემპიონი და გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული **კატერინა ლაგნო** (უკრაინა; იგი გათამაშებაში ქალთა რეიტინგის სათავეში მყოფი უნგრელი **იუდით პოლგარის** ნაცვლად მიიწვიეს, რადგან მადიარს ქალთა შეჯიბრებებში არასდროს უასპარეზია, 2550), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ორგზის გამარჯვებული **ნადეჟდა კოსინცევა** (რუსეთი, 2531), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2525), ევროპის ჩემპიონი **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა, 2522), **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი, 2509), **ცზიუ ვენძიუნი** (ჩინეთი, 2521), **ბელა ხოტენაშვილი** (საქართველო, 2492), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუს მოჭადრაკეს ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ამ გათამაშებაში იგი შვეიცარიის სახელით მოსინჯავს ძალებს, 2496), მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ანა უშენინა** (უკრაინა, 2488), **ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 2478), **ოლგა გირია** (რუსეთი, 2464), **ნაფისა მუმინოვა** (უზბეკეთი, 2312) და **თუშინთუგს ბათჩიმეგი** (მონღოლეთი, 2295).

ამ სიაში 18 მოჭადრაკიდან თითო 2012 მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონია (უშენინა, სტეფანოვა), ორიც - ნახევარფინალისტი (ვენძიუნი და დრონავალი), ექვსი მონაწილე (ლაგნო, ჰოუ იფანი, კონერუ, მუზიჩუკი, ჟაო სიუე და ძაგნიძე) მაღალი რეიტინგებით მოხვდა გათამაშებაში, ამდენივე გრან პრის მასპინძელი ქვეყნებისა (შვეიცარია - კოსტენიუკი, სომხეთი - დანიელიანი, უზბეკეთი - მუმინოვა, რუსეთი - გირია, საქართველო - ხოტენაშვილი, მონღოლეთი - ბათჩიმეგი) და ორიც (კოსინცევა, ჩმილიტე) ფიდეს ნომინანტია.

2013-2014 წლების გრან პრი ექვსი ეტაპისგან შედგება. თითოეულმა მოჭადრაკემ ოთხ-ოთხში უნდა იასპარეზოს და საერთო ჩათვლაში სამი საუკეთესო შედეგი შევა. გამარჯვებული, როგორც აღვნიშნეთ, 2015 წელს ტიტულისთვის მსოფლიოს ჩემპიონს შეხვდება. გრან პრიში მონაწილეობა მოჭადრაკეებისთვის ფინანსურადაც ხელსაყრელია, რადგან თითოეული ეტაპისთვის 60.000 ევროა გამოყოფილი: I ადგილი - 10.000 ევრო (+160 ქულა), II. 8.250 (+130), III. 6.750 (+120), IV. 5,750 (+90), V. 5.000 (+80), VI. 4.500 (+70), VII. 4.250 (+60), VIII. 4.000 (+50), IX. 3.250 (+40), X. 3.000 (+30), XI. 2.750 (+20), XII8 2.500 (+10).

გრან პრის გათამაშება სტარტს ჟენევაში (შვეიცარია) 2 მაისს აიღებს და 16 მაისს დასრულდება. შეჯიბრებაში 12 დიდოსტატი ჩაებმება, რომლებიც წრიული სისტემით გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას (7 და 12 მაისი დასვენების დღეებია). პირველ რაუნდში ითამაშებენ: ჰოუ იფანი, ანა მუზიჩუკი, ნანა ძაგნიძე, კატერინა ლაგნო, ნადეჟდა კოსინცევა, ვიქტორ ჩმილიტე, ცზიუ ვენძიუნი, ბელა ხოტენაშვილი, ალექსანდრა კოსტენიუკი, ანა უშენინა, ოლგა გირია, თუვშინთუგს ბათჩიმეგი.

აქვე დანარჩენი ეტაპების კალენდარსაც შემოგთავაზებთ:

**II ეტაპი.** 15-29 ივნისი, 2013 წ. (დილიჟანი, სომხეთი),

**III ეტაპი.** 17 სექტემბერი - 1 ოქტომბერი, 2013 წ. (ტაშკენტი, უზბეკეთი).

**IV ეტაპი.** 2-16 მაისი. 2014 წ. (ხანტი-მანსიისკი, რუსეთი).

**V ეტაპი.** 18-ივნისი - 2 ივლისი, 2014 წ. (თბილისი, საქართველო)

**VI ეტაპი.** 24 აგვისტო - 7 სექტემბერი, 2014 წ. (ერდენეთი, მონღოლეთი)

**ვაჟა დანელია**


ბელა ხოტენაშვილი

ხელოვნება. მიხეილ ზარგარიანი - 100

„ლელოში" მუდამ მუშაობდნენ და მუშაობენ თავიანთი საქმის პროფესიონალები. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ძალზე დიდხანს ამ გაზეთში ყურადღებას იქცევდა მიხეილ ზარგარიანის ფოტოები, რომლებიც დღეს ქართული სპორტის ფოტომატიანის ძვირფას შენაძენს წარმოადგენს. ამ დიდ ფოტოხელოვანს დაბადების 100 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ თენგიზ გიორგაძის წიგნიდან „ლელო" და ლელოელები" ერთ თავს, რომელიც მიხეილ ზარგარიანს ეძღვნება.

# ჩვენი პროფესორა

სპორტის გულშემატკივრები **მიხეილ ზარგარიანს** შერქმეული სახელით - „პროფესორათი" იცნობდნენ და უყვარდათ იგი. სტადიონზე რომ გამოჩნდებოდა, ისმოდა გულშემატკივართა შეძახილები „პროფესორ!" „პროფესორ!"



მიხეილ ზარგარიანი „ლელოში" ფოტორეპორტიორად 1952 წლიდან მუშაობდა. თითქმის 30 წლის მოღვაწეობის მანძილზე მან შექმნა ქართული სპორტის ფოტომატიანე. ეს სულიერი სიმდიდრე დაუტოვა „ლელოს" რედაქციას. მიხეილ ზარგარიანის დროს „ლელოს" ფოტოსურათების დეფიციტი არასოდეს შექმნია.

მოუსვენარი მიშა თელავიდან იყო. მას არ დაუმთავრებია საშუალო სკოლა. თბილისში რომ ჩამოვიდა, მძღოლობა ისწავლა. გაუმართლა, რომ გამოჩენილი რეჟისორის **მიხეილ ჭიაურელის** მძღოლი გახდა. დიდხანს მოსკოვშიც ახლდა მას. იქ ცოლად მოსკოველი შეირთო. სწორედ დიდმა კინორეჟისორმა შეარქვა მას „პროფესორა", როგორც ავტომანქანის უბადლო მცოდნეს. ხუმრობით შერქმეული მეტსახელი მიშას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. იგი გარდაიცვალა 67 წლის ასაკში, 1979 წელს.

ფოტოსაქმეც მიშამ დიდ რეჟისორთან ისწავლა. იგი მუდამ ესწრებოდა ფილმების გადაღებას. მიხეილ ჭიაურელმა ნიჭიერება რომ შეამჩნია, ურჩია: - სულ მძღოლი ხომ არ უნდა იყო, ფოტოსაქმეს დაეუფლე და ლუკმა-პური ყოველთვის გექნებაო!

მოსკოვიდან თბილისში რომ დაბრუნდა, მიშამ „ლელოში" დაიწყო მუშაობა. ლაბორატორიაც მოიწყო. დაუზარებლად მიჰყვა საქმეს. მით უმეტეს, რომ პატარა „მოსკვიჩიც" ჰყავდა. მალე ლელოელების გულიც მოიგო. სმა არ უყვარდა, ეხერხებოდა ხუმრობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი და აკორდეონზე დაკვრა.

ყველაზე მეტად მე მიხდებოდა მასთან ურთიერთობა. ერთად ვესწრებოდით ჩვენი მოჭადრაკე ქალების მატჩებს მსოფლიო პირველობაზე მოსკოვში, რიგასა და ბიჭვინთაში. ჩემს წიგნებში მრავლადაა მისი გადაღებული ფოტო.

იგი საზღვარგარეთაც ყოფილა „ლელოს" რედაქტორ **მიშა კაკაბაძესთან** ერთად.

მოხერხებული კაცი იყო. ყველა ლელოელს დაასწრო ბინის მიღება. ვინც დაეხმარა (მთავრობიდან), შინ მიიწვია და თავის მომზადებული ხაშითა და ხინკლით გაუმასპინძლდა.

„პროფესორა" ცდილობდა, მუდამ კარგი ურთიერთობა ჰქონოდა მიხეილ ჭაურელის ოჯახთან. ხშირად აკითხავდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდი კინორეჟისორი თბილისში დაბრუნდა საცხოვრებლად.

ერთხელაც, 1953 წლის შემოდგომაზე, მიხეილ ჭიაურელს მოსკოვთან ტელეფონით დაკავშირება რომ გაუჭირდა, „პროფესორამ" „ლელოში" მოიწვია. ცხადია, მთელი რედაქცია გულთბილად და ინტერესით შეხვდა საამაყო მამულიშვილს.

ვიდრე მოსკოვს დაუკავშირდებოდა, ბატონი მიხეილი გვესაუბრებოდა, შეკითხვებზე გვპასუხობდა. ეს ის დრო იყო, როცა ბევრი რამ გვაინტერესებდა. ახლაც მახსოვს რამდენიმე შეკითხვაზე მისი პასუხი...

კალათბურთი. ქართველი უკრაინაში



# მესამე მოგება მეოთხედფინალში

უკრაინის პირველობის ფავორიტ „ბუდიველნიკს" ნახევარფინალამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს. გუშინ **გიორგი ცინცაძის** გუნდმა სტუმრად „ჰოვერლა" 78:77 დაამარცხა და მეოთხედფინალურ სერიაში (ოთხ მოგებამდეა) 3:1 დაწინაურდა. აქვე მოგახსენებთ, რომ მეხუთე მატჩი 20 აპრილს კიევში გაიმართება და ძნელი წარმოსადგენია, „ბუდიველნიკმა" მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ხელიდან გაუშვას.

„ჰოვარლასთან" გუშინ მოგებულ მატჩში ცინცაძე სასტარტო ხუთეულში იყო, 22 წუთში ყველა დისტანციიდან 50-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნა: 4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 6-დან 3 საჯარიმო. საბოლოოდ მის ანგარიშზე 8 ქულა და 3 მოხსნა იყო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. პრეზენტაცია

# თბილისში კალათბურთის განვითარებისთვის

გუშინ, სპორტკომპლექს „არენაში" გაიმართა ახლად დაარსებული ორგანიზაციის პრეზენტაცია. ეს გახლავთ „თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი", რომლის პრეზიდენტმა, **პაატა გურასპაულმა** გაგვაცნო კავშირის თითოეული წევრი: **მიხეილ გაბრიჩიძე** (ვიცე-პრეზიდენტი), **ზაზა ღონღაძე, ალეკო პეტრიაშვილი, თემურ დათიკაშვილი, მამუკა ლომიძე, ლევან წულაია, გურამ ვაშაკიძე, დავით ჩიხლაძე, სერგო იშხნელი, ამირან ჭაბუკიანი.**

ბატონმა პაატამ იქვე განგვიმარტა ორგანიზაციის სამოქმედო გეგმები და დიაპაზონი:

*- ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ თბილისში კალათბურთის განვითარებას. ვაპირებთ სხვადასხვა ასაკობრივი შეჯიბრებების ორგანიზებას, რაც თავის მხრივ შესარჩევ ეტაპად იქცევა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ასაკობრივი ჩემპიონატებისა (13, 14, 16 და 18 წლამდელებში). ცხადია, ყოველი ღონისძიების სრულყოფილად ჩატარებას სათანადო დაფინანსება სჭირდება. ამ მხრივ უკვე ვიმუშავეთ, რამდენიმე პოტენციურ სპონსორთან მოლაპარაკება მიმდინარეობს, ხოლო „ბორჯომმა" და „ჰიუნდაიმ" უკვე გამოთქვეს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი. შეჯიბრებების გეგმა უკვე შედგენილია. უახლოესი ღონისძიება ბავშვთა საკალათბურთო ფესტივალი იქნება, რომელიც 27 მაისს სპორტის სასახლეში გაიხსნება.*

„თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის" მიზნები ოფიციალურ პრესრელიზში დაწვრილებით წერია: თბილისში კალათბურთის განვითარების ხელშეწყობა; დედაქალაქის მასშტაბით საკალათბურთო შეჯიბრებების ორგანიზება ბავშვებსა და მოზარდებს შორის; მწვრთნელთა სემინარების ორგანიზება; მსაჯთა სემინარების ორგანიზება; ვეტერანი კალათბურთელების სოციალური პირობების გაუმჯობესება; თბილისის საკალათბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება; თბილისის ბავშვთა სკოლების საკალათბურთო ინვენტარით დახმარება.

ასევე ითქვა, რომ თბილისის ასაკობრივი ჩემპიონატების დაგეგმვის, საერთო სისტემის შემუშავების და თარიღების დადგენის საკითხები შემუშავდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან კონსულტაციების შედეგად.

22 აპრილს „თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი" და საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გააფორმებენ ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. ქართველი ევროლიგაზე

# ეფესმა სხვაობა შეამცირა

ევროლიგის მეოთხედფინალური სერიის მესამე მატჩი „ოლიმპიაკოსმა" „ეფესთან" სტუმრად ითამაშა და 72:83 დამარცხდა. შესაბამისად, თურქებმა სერიაში ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს - 1:2. წაგების მიუხედავად ნახევარფინალში გასვლის უკეთესი შანსი მაინც „ოლიმპიაკოსს" აქვს - სერია სამ მოგებამდეა.

გუშინ ბერძენთა ქართველმა ცენტრმა **გიორგი შერმადინმა** 9 წუთი ითამაშა, 2 ქულა, 1 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. ქართველი ლიბანში

# ცქიტიშვილის წყვილი ჩვიდმეტიანები

ლიბანის ჩემპიონატში **ნიკა ცქიტიშვილის** „ჩამპვილი" **ლარი ბლერის** „ჰუპსს" ესტუმრა და 17 ქულის სხვაობით დაამარცხა - 112:95.

სათაურიც გვეუბნება, რომ 17-ის ხსენება კიდევ არაერთხელ მოგვიწევს: ქართველმა თავდამსხმელმა ორმაგი დუბლი შეასრულა - 17 ქულა და 17 მოხსნა. მან 38 წუთი ითამაშა, 7-დან 3 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი და 6-დან 5 საჯარიმო გამოიყენა.

დასაწყისში ლარი ბლერი ვახსენეთ. ეს კალათბურთელი გასულ სეზონში ქართულ „შსს აკადემიაში" გამოდიოდა და ჩვენი პირველობის ბომბარდირიც გახდა. ბლერმა სნაიპერული თვისებები „ჩამპვილთანაც" გამოავლინა - ყველაზე მეტი, 34 ქულა ჩააგდო.

20 აპრილს „ჩამპვილი" „ამჩიტს" მიიღებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# თიბისი ერთია, ვინ იქნება მეორე?

**საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მეორე ეტაპის დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა. დღემდე დაუმარცხებლად ასპარეზობს და პირველი ადგილის დასაბევებლად დარჩენილ ორ ტურში ფრეც ყოფნის თბილისის „თიბისის“.**



ამ თბილისურმა გუნდმა მეოთხე ტურში სტუმრად შეძლო ფოთის „რაინდების“ დამარცხება - 41:3. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „თიბისისთვის“ მეორე ეტაპის მატჩები უმაღლეს ლიგაში ხელმოცარულ „ყოჩებთან“ დაპირისპირებისთვის მოსამზადებელ ეტაპად გადაიქცა. შეგახსენებთ, რომ პირველი ლიგის დასკვნითი ეტაპის გამარჯვებული გადასასვლელ მატჩში უმაღლესი ლიგის ბოლოადგილოსანს დაუპირისპირდება.

საუკეთესოთა შორის მოხვედრის შანსი აქვს მეორეადგილოსანსაც, რომელიც უმაღლესი ლიგის ბოლოსწინა ადგილის მფლობელს ეთამაშება. ამ პოზიციისთვის ბრძოლა პირველი ლიგის მეორე ეტაპზე მე-4 ტურის შემდეგ გამწვავდა. პატარძეულის „ვეფხვებმა“ შინ დაამარცხეს ქუთაისის „ბაგრატი“ 25:20 და მეორე ადგილზე მყოფ ქუთათურებს ახლა სამი ქულით ჩამორჩება.

პატარძეულელებს დარჩენილ ორ ტურში თეორიული შანსი აქვთ, „ბაგრატს“ გაუსწრონ და უმაღლეს ლიგაში ალზევებისთვის იბრძოლონ. საამისოდ კი პლეი ოფში თბილისის „აკადემიის“ დამარცხება მოუწევთ.

**I ლიგა**

**IV ტური**

რაინდები-თიბისი 3:41, ვეფხვები-ბაგრატი 25:20

[illegible]

[illegible]თიბისი - 13 ქულა, 2. [illegible] - 11, 3. ვეფხვები - 8, 4. რაინდები - 0.

**V ტური**

ბაგრატი-თიბისი, ვეფხვები-რაინდები

მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა ჭაბუკთა A ლიგაში, რომლის შემდეგაც A ჯგუფის ფავორიტები გამოიკვეთა. ისევე როგორც შარშან, წლეულსაც შესანიშნავად ასპარეზობს თბილისის „აკადემია“, რომელმაც შინ მოულოდნელად გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა პატარძეულის ვეფხვები - 119:0. აკადემიელებს კვალში უდგას თბილისის „ხულიგანა“, სავარაუდოდ, პლეი ოფის საგზურისთვის იბრძოლებენ ასევე რუსთავის „ხარები“ და თბილისის „ყოჩები“.

შედარებით ბურუსითაა მოცული ვითარება B ჯგუფში, სადაც მეორე ტურში ორი შეხვედრა გადაიდო. დაუმარცხებელი კი აქ ჯერჯერობით ხუთი გუნდია. ესენია: „ჯიქები“, „ლოკომოტივი“, „ქუთაისი 1“, „ლელო“ და „წიქარა“.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**A ჯგუფი**

**II ტური**

აკადემია-ვეფხვები 119:0, არმია-ქუთაისი 2 22:10, არწივები-ხულიგანა 0:34, ყოჩები-იმერეთი 32:6.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აკადემია - 10 ქულა, 2. ხულიგანა - 9, 3. ხარები - 5, 4. ყოჩები - 5, 5. არმია - 4, 6. არწივები - 4, 7. იმერეთი - 1, 8. ქუთაისი 2 - 0, 9. ვეფხვები - 0.

**III ტური**

არწივები-ყოჩები, არმია-იმერეთი, აკადემია-ხულიგანა, ხარები-ქუთაისი 2

**B ჯგუფი**

**II ტური**

ივერია მგლები-ქუთაისი 1 0:45, წიქარა-ლოკომოტივი (გადაიდო), არმაზი-ჯიქები (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჯიქები - 5 ქულა, 2. ლოკომოტივი - 5, 3. ქუთაისი 1 - 5, 4. ლელო - 4, 5. წიქარა - 4, 6. ჯვაროსნები - 1, 7. არმაზი - 0, 8. ტაო - 0, 9. ივერია მგლები - 0.

**III ტური**

ლოკომოტივი-ჯვაროსნები, ჯქიები-წიქარა, ლელო-არმაზი, ქუთაისი 1-ტაო.

ჭაბუკთა B ლიგის დასავლეთ ზონაში იმ რვა გუნდის ვინაობა გაირკვა, რომლებიც პლეი ოფში თამაშისთვის ბრძოლას განაგრძობენ. ეს გუნდები ორ ჯგუფად დაყვეს - A ჯგუფი: „ქუთაისი 1“, „ქუთაისი 3“, „არწივები“, „რაინდები“ და B ჯგუფი: „ბათუმი“, „ქუთაისი 2“, „ქუთაისი 4“, „თორი“.

ტურნირი აქ ორ წრედ ჩატარდება და პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები [illegible] ზონაში დაწინაურე[illegible]

[illegible]

პირველი [illegible] მიმდინარეობს, [illegible] დასრულებამდეც ერთი ტურიღა დარჩა. თუმცა მომდევნო ეტაპზე გამსვლელი რვეულიდან შვიდი უკვე ცნობილია.

A ჯგუფში პირველ ადგილზეა და მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება გაინალდა თბილისის „ხულიგანამ“, მას კვალში უდგას „ლელო“, რომელსაც მეორე ადგილს „ჯვაროსნები“ ეცილება. ბოლო ტურში ლელოელები ლიდერს ეთამაშებიან, „ჯვაროსნების“ მეტოქე კი უმოტივაციოდ დარჩენილი „წიქარა“ იქნება.

B ჯგუფში დაუმარცხებლად ასპარეზობენ თბილისური გუნდები „აკადემია“ და „ყოჩები“. მათ მომდევო ეტაპზე თამაშის უფლება ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინალდეს.

ანალოგიური მაჩვენებლები აქვთ რუსთავის „ხარებს“ და თბილისის „ლოკომოტივი 1“-ს, რომლებიც C ჯგუფში ასპარეზობენ და D ჯგუფის ბინადრებს „არმიასა“ და „ივერიას“.

**ჭაბუკთა B ლიგა**

**A ჯგუფი**

**IV ტური**

ჯვაროსნები-ხულიგანა 0:13, მუტრუკები-წიქარა 3:17

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ხულიგანა - 14 ქულა, 2. ლელო - 12, 3. ჯვაროსენბი - 7, 4. წიქარა - 5, 5. მუტრუკები - 0.

**V ტური**

წიქარა-ჯვაროსნები, ხულიგანა-ლელო

**B ჯგუფი**

**IV ტური**

მიმინო-აკადემია 0:59, ლოკომოტივი-დავიტიანი (გადაიდო)

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აკადემია - 15 ქულა, 2. ყოჩები - 15, 3. ლოკომოტივი 2 - 4, 4. მიმინო - 1, 5. დავითიანი - 0.

**V ტური**

აკადემია-ყოჩები, დავითიანი-მიმინო

**C ჯგუფი**

**IV ტური**

ტორნადო-ხარები 7:70, ვეფხვები-იუნკრები 12:37

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ხარები - 15 ქულა, 2. ლოკომოტივი 1 - 15, 3. იუნკრები - 4, 4. ტორნადო - 4, 5. ვეფხვები - 1.

**V ტური**

ხარები-ლოკომოტივი 1, იუნკრები-ტორნადო

**D ჯგუფი**

**IV ტური**

ივერია-ჯიქები 12:0, ჩოხოსნები-არმია 0:67

**სატურნირო მდგომარეობა**

1. არმია - 13 ქულა, 2. ივერია - 13, 3. არმაზი - 6, 4. ჯიქები - 5, 5. ჩოხოსნები - 0.

**V ტური**

[illegible]

[illegible] ქუთაისი 1, ქუთაისი [illegible]ბი, რაინდები

**I ტური**

**18 აპრილი**

რაინდები-ქუთაისი 1, არწივები-ქუთაისი 3

B ჯგუფი: ბათუმი, ქუთაისი 2, ქუთაისი 4, თორი.

**I ტური**

**18 აპრილი**

თორი-ბათუმი, ქუთაისი 2-ქუთაისი 2.



ზე რაგბი



# ვინ გახედნის კანბერელებს?

**ზე რაგბის რეგულარულ გათამაშებას ცხრა ტურის შემდეგ ავსტრალიური კანბერას „ბრამბიზი“ ლიდერობს. „გაუხედნავ ცხენებს“ კვალში უდგას მეორე ავსტრალიური გუნდი, ბრისბენის „რედსი“, რომელიც მოულოდნელად დაწინაურებულ კანბერელებს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.**

## ახალი ზელანდია

მე-9 ტურში „ბრამბიზმა“ სტუმრად ითამაშა ახალი ზელანდიის კონფერენციის აუტსაიდერ დანიდნის „ჰაილენდერზთან“ და, როგორც მოსალოდნელი იყო, 30:19 გაიმარჯვა. სტუმართა გუნდის უპირატესობა დასაწყისშივე გამოიკვეთა და მატჩის ბოლომდე მათ წარმატებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. კანბერელებმა მასპინძლებს სამი ლელო გაუტანეს, საპასუხოდ კი მხოლოდ ერთი მიიღეს. „ბრამბიზის“ შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი შუამარბი **კრისტიან ლეალიფანი** იყო, მის ანგარიშზე 15 ქულაა (სამი საჯარიმო და სამი გარდასახვა).

ამავე კონფერენციის წარმომადგენელ ჰემილთონის „ჩიფსს“ დაუპირისპირდა სტუმრად ბრისბენის „რედსი“. ზე რაგბის შარშანდელმა გამარჯვებულმა შარშანწინდელ ტრიუმ[illegible]ორს [illegible] ცა მაინც მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვეს - 31:23.

ბრისბენელთა შორის წლეულს პირველად გაიბრწყინა „ვოლაბების“ მგეზავმა **ქუადე კუპერმა**, რომელმაც გუნდს თექვსმეტი ქულა მოუტანა, მის ანგარიშზე ერთი ლელო, ერთი საჯარიმო და ოთხი გარდასახვაა.

ამავე კონფერენციაში, ერთ-ერთ ლიდერად მოვლენილმა ოქლენდის „ბლუზმა“ შინ დაამარცხა ველინგთონის „ჰარიკენზი“ - 28:6. ოქლენდელები უპირატესობას თამაშის დასაწყისშივე დაეუფლნენ და მეტოქეს ოთხი უპასუხო ლელო გაუტანეს.

**IX ტური**

ჰაილენდერზი-ბრამბიზი 19:30, ჩიფსი-რედსი 23:31, ბლუზი-ჰარიკენზი 28:6.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჩიფსი - 29 ქულა, 2. ბლუზი - 27, 3. ჰარიკენზი - 23, 4. კრუსეიდერზი - 22, 5. ჰაილენდერზი - 6.

**X ტური**

ჰარიკენზი-ფორსი, კრუსეიდერზი-ჰაილენდერზია

## ავსტრალია

ავსტრალიის კონფერენციაში ორი მატჩი გაიმართა და ორივე სენსაციურად დასრულდა. პერთის „ფორსმა“, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთი მოგება ჰქონდა, შინ დაამარცხა ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, ახალზელანდიური ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“ - 16:14. ეს ანგარიში ჯერ კიდევ თამაშის 57-ე წუთზე დაფიქსირდა და გუნდებმა მონაგარის გაზრდა დარჩენილ 23 წუთში ვერაფრით შეძლეს. „ჯვაროსნებმა“ მეტოქეზე ერთი გარდასახვით ნაკლები გაიტანეს და მოულოდნელად დამარცხდნენ. შეგახსენებთ, რომ ქრაისთჩერჩელებს ტრავმების გამო ორი ლიდერი, **რიჩი მაქოა** და **დენ კარტერი** აკლიათ.

ასევე მეორე გამარჯვება მოიპოვა გათამაშების დებიუტანტმა სამხრეთაფრიკულმა „საუთერნ კინგზმა“, რომელმაც სტუმრად შეძლო „მელბურნ რებლზის“ დამარცხება - 30:27. „მეფეები“ დასაწყისშივე დაწინაურდნენ და მე-14 წუთისთვის 14:0 იგებდნენ. მასპინძლებმა ნელ-ნელა თამაშის გათანაბრება შეძლეს და მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ანგარიში უკვე საყაიმო იყო. გამარჯვება სტუმრებს ბოლო წუთზე მგეზავმა **დემეტრი კატრაკილისმა** მოუტანა არეკნით. მის ანგარიშზე სულ 15 ქულაა (სამი საჯარიმო, ორი გარდასახვა და ერთი არეკნი).

**IX ტური**

მელბურნ რებლზი-საუთერნ კინგზი 27:30, ვესტერნ ფორსი-კრუსეიდერზი 16:14

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრამბიზი - 33 ქულა, 2. რედსი - 31, 3. ვორათაზი - 21, 4. ფორსი - 15, 5. მელბურნ [illegible] - 16

[illegible]

## სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში პირველობისთვის ბრძოლაში პრეტორიის „ბლუ ბულზი“ ჩაერთო, რომელმაც შინ დაძაბულ ბრძოლაში წლეულს შესანიშნავად მოთამაშე ბლუმფონტეინის „ჩიტაზი“ დაამარცხა - 26:20. ყველაზე უხვქულიანი, როგორც ყოველთვის, მგეზავი **მორნი სტეინი** გახლდათ, რომელმაც გუნდს 16 ქულა შესძინა (ოთხი საჯარიმო და ორი გარდასახვა).

ამავე კონფერენციის ლიდერი დურბანის „ნატალ შარქსი“ სტუმრად დამარცხდა კეიპთაუნის „სტორმერზთან“ - 15:22. კეიპთაუნელები ამ გამარჯვების შემდეგ მჭიდროდ მიუახლოვდნენ დაწინაურებულებს და, გამორიცხული არ არის, საპლეიოფო ბრძოლის მარათონში ჩაერთონ.

**IX ტური**

სტორმერზი-ნატალ შარქსი 22:15, ბლუ ბულზი-ჩიტაზი 26:20

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ნატალ შარქსი - 26 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 23, 3. ჩიტაზი - 23, 4. სტორმერზი - 20, 5. საუთერნ კინგზი - 15.

**X ტური**

ნატალ შარქსი-ჩიტაზი, საუთერნ კინგზი-ბლუ ბულზი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი




# ექვსი ვინტერ კლასიკი

მომავალ სეზონში ჰოკეის ეროვნულ ლიგაში შეიძლება გაიმართოს არა მხოლოდ ე. წ. „ვინტერ კლასიკი" (მატჩი ღია არენაზე), არამედ კიდევ რამდენიმე მატჩი ღია ცის ქვეშ.

ამ მიმართულებით, ლიგაში განიხილება რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის, მეტად ეგზოტიკური მაგალითად, მატჩი ლოს ანჯელესში, სადაც ზამთარში რთულია ყინულის ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანა.

გარდა ამისა, დაგეგმილია Heritage Classic-ის დაბრუნება. ეს არის მატჩი ღია ცის ქვეშ კანადური კლუბების მონაწილეობით.

ასე რომ, მომავალ სეზონში, „დეტროიტსა" და „ტორონტოს" შორის „ვინტერ კლასიკის" გარდა, შეიძლება შემდეგი მატჩები ჩატარდეს ღია არენებზე:

ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი („დოჯერ სტედიუმი")

რეინჯერსი-ნიუ ჯერსი („იანკის სტედიუმი")

რეინჯერსი-აილენდერსი („იანკის სტედიუმი")

ჩიკაგო-პიტსბურგი

ვანკუვერი-ოტავა

■ ■ ■

„დეტროიტ რედ უინგზის" მეკარემ **ჯიმი ჰოვარდმა** თავის ამჟამინდელ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება ექვსწლიანია და ჰოკეისტი ჯამში 31.8 მილიონ დოლარს მიიღებს.

„დეტროიტმა" ჰოვარდი 2003 წლის დრაფტზე 64-ე ნომრად აიყვანა. მეკარემ კლუბში რეგულარულად თამაში 2009 წლიდან დაიწყო. დღეისთვის, 29 წლის ჰოვარდს NHL-ში 228 მატჩი დაუგროვდა. ის მეტოქეთა დარტყმების 91.7 პროცენტს იგერიებს.

■ ■ ■

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გუშინდელ სათამაშო დღეს ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. „სენტ ლუისმა" ბულიტების სერიაში 2:1 დაამარცხა „ვანკუვერი", რითაც „ბლუზმენების" მთავარ მწვრთნელს **კენ ჰიჩკოკს** კარიერაში 600 მოგება დაუგროვდა. აქამდე ასეთი შედეგი ლიგის ისტორიაში მხოლოდ 10 სპეციალისტს ჰქონდა.

ჰიჩკოკი „სენტ ლუისთან" მეორე სეზონია მუშაობს. მანამდე ის სათავეში ედგა „დალასს", „ფილადელფიასა" და „კოლამბუსს". 1998-99 წლების სეზონში, მან სტენლის თასი მოაგებინა „დალასს".

**ვაშინგტონი-ტორონტო 5:1**

1:0, 3:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ჰილენი-3 (ჩიმერა-10, ფერი-8), 2:0 ერატი-5 (ოვეჩკინი-20, ჯ. კარლსონი-15), 3:0 ბროუერი-17 (ჯ. კარლსონი-16, ერატი-18), 4:0 ოვეჩკინი-28 (მაიკ გრინი-8, რიბეირო-30), 4:1 გრაბოვსკი-9 (რ. ჰემილტონი-2, კომაროვი-5), 5:1 მ. იოჰანსონი-6 (მაიკ გრინი-9, რიბეირო-31).

**აილენდერსი-ფლორიდა 5:2**

3:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მოულსონი-14 (მ. მარტინი-7, ჰიკეი-3), 2:0 შტრაიტი-6 (ოკსოპო-15, ნილსენი-21), 3:0 გრაბნერი-14 (ენდრიუ მაკდონალდი-7, ნაბოკოვი-4), 3:1 კულიკოვი-3 (ფლიშმანი-20, გოკი-10), 4:1 მარტინეკი-3 (ჟოენსუუ-1, შტრაიტი-19), 5:1 გრაბნერი-15, 5:2 გოკი-6 (კოპეცკი-12, ფლიშმანი-21).

**ფილადელფია-რეინჯერსი 4:2**

2:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ბ. შენი-8 (მენინგი-1, ბრიერი-10), 2:0 გუსტაფსონი-3 (კუტურიე-11, რიდი-11), 2:1 ცუკარელო-1 (ჯ. მური-3), 3:1 ტიმონენი-5 (ჟირუ-30), 3:2 სტეპანი-15 (კელეჰანი-10, ბრასარი-17), 4:2 ვორაჩეკი-19 (ტიმონენი-24, ჟირუ-31).

**ოტავა-კაროლინა 3:2**

1:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ზიბანეჯადი-7 (კონაჩერი-16, გონჩარი-21), 2:0 მ. მიხალეკი-4 (ვირჩიოკი-14, გონჩარი-22), 2:1 ფოლკი-4 (ე. სტაალი-29), 3:1 კ. ნილი-4 (ლატენდრესი-4), 3:2 ე. სტაალი-17 (ტლუსტი-11, ფოლკი-9).

**სტ. ლუისი-ვანკუვერი 2:1 (ბ)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ედლერი-7 (ჰ. სედინი-31, დ. სედინი-27), 1:1 ბოუმისტერი-7 (პერონი-15, პიეტრნაჯელო-16).

**ბულიტები გაიტანეს:** ენდი მაკდონალდი (სტ. ლუისი), სტინი (სტ. ლუისი).

**ვინიპეგი-ტამპა ბეი 4:3 (ბ)**

1:1, 2:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ლედი-17 (ველერი-18, ლიტლი-22), 1:1 სან ლუი-12, 2:1 ველერი-16 (ლედი-23, ბოგოსიანი-7), 3:1 ლედი-18 (ველერი-19, ბოგოსიანი-8), 3:2 ლაბრი-2 (ნ. ტომპსონი-6, გუდაში-3), 3:3 სტემკოსი-27 (მ. კარლი-16).

**ბულიტები გაიტანეს:** სანტორელი (ვინიპეგი), ლედი (ვინიპეგი).

**ედმონტონი-მინესოტა 3:5**

1:1, 0:2, 2:2

გოლები: 0:1 ბროძიაკი-7, 1:1 იაკუპოვი-11 (ტ. ჰოლი-29, შულცი-15), 1:2 კოილი-7 (სტოუნერი-9), 1:3 გრანლუნდი-2 (ტ. მიტჩელი-4, სტოუნერი-10), 1:4 პარიზე-16 (პომინვილი-18, რ. სუტერი-28), 1:5 ბროძიაკი-8 (პომინვილი-19, ბუშარი-12), 2:5 ჰორკოფი-7 (ტ. ჰოლი-30, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-20), 3:5 პააირავი-9 (იაკუპოვი-14, პეტრი-7).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 3:2 (ბ)**

0:0, 2:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ბერნსი-8, 2:0 გალიარდი-4 (ბერნსი-9, ჯ. ტორნტონი-31), 2:1 მუზინი-7 (ვოინოვი-19, ჯასტინ უილიამსი-20), 2:2 დ. ბრაუნი-16 (რეგერი-4, კოპიტარი-28).

**ბულიტები გაიტანეს:** ტორესი (სან ხოსე).

# ვინ გახდება MVP?

კანადურმა მედიაკომპანია TSN-მ გამოკითხვა ჩაატარა NHL-ის მწვრთნელებს შორის იმის გასარკვევად, ვინ იმსახურებს ამ სეზონში საუკეთესო მოთამაშისა („ჰარტ ტროფი) და საუკეთესო მეკარის („ვეზინა ტროფი") პრიზს.

თითოეულ მწვრთნელს ამ ჯილდოებზე სამ-სამი საკუთარი კანდიდატი უნდა დაესახელებინა.

აღმოსავლეთ კონფერენციაში ყველაზე მეტი ხმა მიიღო „პიტსბურგის" კაპიტნმა **სიდნი კროსბიმ**. შემდეგ მოდის „ნიუ აილენდერსის" ფორვარდი **ჯონ ტავარესი**. მესამეზეა „ვაშინგტონის" რუსი ვარსკვლავი **ალექსანდრ ოვეჩკინი**, თუმცა მას არც ერთ ანკეტაში არ მიუღია პირველი ადგილი.

აღმოსავლეთიდან „ვეზინა ტროფიზე" მთავარ პრეტენდენტად „მონრეალის" კარის დარაჯი **კერი პრაისი** დაასახელეს.

დასავლეთ კონფერენციაში ხმების უმრავლესობა მიიღო „ჩიკაგოს" კაპიტანმა **ჯონათან ტეივზმა**. შემდეგ მოდიან: **რაიან გეტცლაფი** („ანაჰაიმი") და **პატრიკ კეინი** („ჩიკაგო"). აქ მეკარეებს შორის ყველაზე მეტი ხმა ერგო „კოლამბუსის" გოლკიპერს **სერგეი ბობროვსკის**.



პრეტენდენტებს შორის ოვეჩკინიცაა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მცირე მოტივაციით

როგორც ჩანს, "ატლანტასთვის" სულერთია ვის შეხვდება პლეი ოფის პირველ რაუნდში – "ჩიკაგოს" თუ "ბრუკლინს", რადგან "ჰოქსმა" ყოველგვარი ინიციატივისა და სურვილის გარეშე ითამაშა საშინაო მატჩი "ტორონტოსთან". მასპინძლები მოვალეობის მოხდის მიზნით იყვნენ მოედანზე გასულები, კანადურმა კლუბმა კი, რეგულარულის ბოლოს, თავისი გულშემატკივრების გამარჯვებებით განებივრება გადაწყვიტა და ბოლო შვიდ მატჩში მეექვსედ მოიგო. "ტორონტომ" სეზონის რეკორდი დაამყარა ერთ მეოთხედში და პირველ ტაიმში ქულების რაოდენობით და სწორედ ამ დროს გადაწყვიტა მატჩის ბედი.

"ატლანტას" სეზონის ბოლო ნაწილი აშკარად არ გამოუვიდა - 25 მატჩში 14-ჯერ დამარცხდა და მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა. ახლა მას და "ჩიკაგოს" ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ და თუ ასე დაასრულეს რეგულარული, უპირატესობა "ბულზს" ექნება. გუშინდელ მატჩში მხოლოდ **კაილ კორვერის** გამოყოფა შეიძლება, რომელიც ზედიზედ 73 შეხვედრაა მინიმუმ ერთ ზუსტ სამქულიანს ისვრის.

დღის მეორე მატჩი კიდევ უფრო მეტად ჰგავდა საგამოფენო შეხვედრას. "პორტლენდმა" ზედიზედ მე-12 მატჩი წააგო ისე, რომ თითქმის ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია "კლიპერსს". ეს უკანასკნელი თავისი შესაძლებლობების 30 პროცენტს თუ იყენებდა და მაინც მოიგო ზედიზედ მეექვსე შეხვედრა. სტუმრები საერთოდ არ იბრძოდნენ სამწამიანში: წააგეს ფარი (33:51) და ამ ზონიდან მხოლოდ 30 ქულა დააგროვეს.

ახლა, "კლიპერსს" სჭირდება ბოლო მატჩის მოგება იმისთვის, რომ არ დაკარგოს საკუთარი მოედნის უპირატესობა "მემფისთან" საპლეიოფო წყვილში. გარდა ამისა, კალიფორნიელებს მესამე ადგილის დაკავებაც შეუძლიათ. ამისთვის მათ უნდა დაამარცხონ "საკრამენტო, "დენვერმა" კი უნდა წააგოს "ფინიქსთან". მაშინ, პლეი ოფში "ნაგეტსი" "მემფისს" შეხვდება, "კლიპერსი" – "გოლდენ სტეიტს" ან "ჰიუსტონს".

**ატლანტა-ტორონტო 96:113**

27:30, 24:38, 24:28, 21:17

ა: კორვერი (13), სკოტი (12+12 მოხსნა), ჯონსონი (12+10 მოხსნა), მეკი (11+5 პასი).

ტ: დეროზანი (30), გეი (22+5 პასი), ვალანჩიუნასი (13+8 მოხსნა+3 დაფარება), ჯონსონი (11+8 მოხსნა+6 დაფარება), ლუკასი (11), ლოური (8+5 მოხსნა+11 პასი).

**კლიპერსი-პორტლენდი 93:77**

28:24, 26:13, 28:20, 11:20

კ: ბატლერი (22), გრიფინი (16+6 მოხსნა), ჯორდანი (10+9 მოხსნა), პოლი (8+11 პასი+3 ჩაჭრა), ოდომი (3+12 მოხსნა).

პ: ბარტონი (17+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ფრილენდი (13+6 მოხსნა), ლილარდი (12+8 პასი), კლავერი (11+5 მოხსნა).



ბლეიკ გრიფინი

# ტი-მაკი სპურსში გადავიდა



ტრეისი მაკგრეიდი

დასავლეთი კონფრენციის ერთ-ერთმა გრანდმა „სან ანტონიო სპურსმა" პლეი ოფის მატჩების წინ, შემადგენლობა ვეტერანი **ტრეისი მაკგრეიდით** შეავსო, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა. კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლომდე იქნება ძალაში.

მაკგრეიდიმ წლევანდელი სეზონი ჩინეთის კლუბ „ცინდაოში" დაიწყო. 33 წლის მცველის საშუალო სტატისტიკა 25.0 ქულას, 7.2 მოხსნასა და 5.1 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

*„მოხარული ვარ, რომ „სპურსის" მოთამაშე გავხდი. ჩემთვის დიდი პატივია ასეთი დიადი კლუბის რიგებში თამაში"*, - დაწერა „ტვიტერზე" ტი-მაკმა.

მაკგრეიდის NBA-ში 15 სეზონი აქვს გატარებული. მისი კარიერული მონაგარი 19.6 ქულას, 5.6 მოხსნას, 4.4 შედეგიან გადაცემასა და 1.2 ჩაჭრას უდრის.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, „სან ანტონიომ" გაუშვა ფორვარდი **სტივენ ჯექსონი** და შემადგენლობაში ვაკანსიაც სწორედ ამის შემდეგ გაჩნდა.

■ ■ ■

გუშინ კიდევ ერთი გარიგების შესახებ გახდა ცნობილი. კერძოდ, „ნიუ იორკ ნიქსმა" ასევე თავისუფალი აგენტების ბაზრიდან აიყვანა ფორვარდი **კვენტინ რიჩარდსონი**. ეს კალათბურთელი ადრე უკვე თამაშობდა ნიუიორკულ კლუბში 2005-09 წლების სეზონში. ამ პერიოდში ის საშუალოდ 9.7 ქულასა და 5.0 მოხსნას აგროვებდა.

კალათბურთი. ევროლიგა

# რეალი ლონდონშია, ბარსა – გასაჭირში

ევროლიგაზე განახლდა მეოთხედფინალური სერიები და გაირკვა პირველი გუნდი, რომელიც მაისში, ლონდონში "ოთხთა ფინალში" ითამაშებს. ეს არის მადრიდის "რეალი", რომელმაც ამჯერად თელ ავივში დაამარცხა "მაკაბი" და "მშრალი" ანგარიშით მოიგო სერია.

ჯერ კიდევ მადრიდის თამაშებში გამოჩნდა, რომ ამ ეტაპზე, "რეალი" ისრაელის ჩემპიონზე უკეთეს ფორმაში იყო. ესპანელებმა კარგად დაიწყეს შეხვედრა და პირველი მეოთხედი ექვსი ქულის სხვაობით მოიგეს. მაგრამ, ამის შემდეგ, "მაკაბი" ინციატივას დაეუფლა და მეთოდურად დაიწყო ჩამორჩენის შემცირება. დიდი შესვენებისთვის "რეალის" უპირატესობა სამ ქულამდე დავიდა, მესამე მეოთხედის შუაში კი "მაკაბი" ოთხი ქულით დაწინაურდა – 42:38. მაგრამ, მასპინძლების სიხარული დიდი ხანი არ გაგრძელებულა – "რეალი" 10:0 გაიქცა, მოგვიანებით ეს სპურტი 18:4-მდე გაიზარდა და "რეალს" ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვია.

■ ■ ■

"რეალისგან" განსხვავებით, რთულ მდგომარეობაშია მეორე ესპანური გრანდი "ბარსელონა", რომელსაც TOP16-ში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა. კატალონელები 1:2 ჩამორჩნენ სერიაში "პანათინაიკოსს".

ბარსელონაში გამართული ორივე მატჩი ძალიან დაძაბული იყო და სიტუაცია არც ათენში შეცვლილა. "პაომ" ბრწყინვალე ტემპში დაიწყო შეხვედრა და პირველ მეოთხედში ათი ქულით დაწინაურება მოახერხა, მეორე 10-წუთეულში კი თითქმის შეინარჩუნა ეს უპირატესობა (+9). "ბარსას" უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. ამან შედეგი გამოიღო – "ბარსელონამ" არათუ გაათანაბრა ანგარიში, არამედ ბოლო მეოთხედის წინ ერთი ქულით წინ გასვლაც მოახერხა.

ბოლო 10-წუთეულის დიდი ნაწილი სტუმრები ოდნავ უკეთ გამოიყურებოდნენ და ბოლოსკენ ოთხი ქულით იგებდნენ – 63:59, რაც თითქმის გამარჯვების გარანტიას იძლეოდა. მაგრამ აქ ისევ გაიბრწყინა მეორე მატჩის გმირმა **დიმიტრის დიამანტიდისმა**, რომლის მონდომებით "პანათინაიკოსს" მინი-სპურტი გამოუვიდა – 6:0 და 65:63 გაიმარჯვა. სერიის მეოთხე შეხვედრაც საბერძნეთის დედაქალაქში გაიმართება და "პაოს" "ოთხთა ფინალში" გასვლის რეალური შანსი აქვს.




ისევ დიამანტიდისმა იყოჩაღა

**მაკაბი-რეალი 57:69**

10:16, 20:17, 14:19, 13:17

მ: ჯეიმსი (18+6 მოხსნა), ჰიკმენი (11+5 პასი), ოჰაიონი (11+3 ჩაჭრა), ლოგანი (11).
რ: კეროლი (16), ლიული (13), როდრიგესი (12).

**სერია:** 0-3

**პანათინაიკოსი-ბარსელონა 65:63**

20:10, 18:19, 12:22, 15:12

პ: ბრამოსი (14), დიამანტიდისი (12), ლასმე (11+8 მოხსნა).
ბ: ნავარო (17), იასიკიავიჩუსი (13), ტომიჩი (12+9 მოხსნა).

**სერია:** 2:1

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. მონაკოს მასტერსი

# ზედიზედ 43

**რაფაელ ნადალი** ტრიუმფით დაბრუნდა მონტე კარლოში. „გრუნტის მეფემ" გუშინ ჩაატარა პირველი მატჩი მონაკოში მიმდინარე მასტერსზე და ამ ტურნირზე ზედიზედ 43-ე (!) შეხვედრა მოიგო.

ნადალს რთული მეტოქე არ ჰყოლია - ავსტრალიელი **მარინკო მატოშევიჩი**, რომელმაც წინა წრეში ესპანელი **ფერნანდო ვერდასკო** გამოთიშა ბრძოლას. რაფამ საკმაოდ მძლავრად დაიწყო შეხვედრა - ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და მხოლოდ ამის შემდეგ დაუთმო მეტოქეს ერთი გეიმი. პირველი სეტი ესპანელმა 6:1 მოიგო.

მაგრამ, მოულოდნელად, ნადალს პრობლემები შეექმნა მეორე პარტიის სტარტზე. მატოშევიჩმა ბრეიკი გააკეთა და 2:0 დაწინაურდა, მესამეში კი ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, თუმცა ესპანელი დროულად მოეგო გონს, გეიმი გადაარჩინა და ამის შემდეგ, ზედიზედ ექვსი გეიმის აღებით, მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:1, 6:2. შეხვედრა მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა.

ნადალს მიმდინარე სეზონში ზედიზედ 15 მოგება დაუგროვდა. შეგახსენებთ, რომ ის პროფესიულ ტურს თებერვალში დაუბრუნდა და ოთხ ტურნირში მიიღო მონაწილეობა: ვინია დელ მარში ფინალი წააგო არგენტინელ **ორასიო სებალიოსთან**, შემდეგ კი სამი ტურნირი მოიგო - სან პაულუში (ფინალში მოუგო **დავიდ ნალბანდიანს**), აკაპულკოში (**დავიდ ფერერი**) და ინდიან უელსში (**ხუან მარტინ დელ პოტრო**).

■ ■ ■

გუშინვე ჩაება ბრძოლაში მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. სერბი რუს **მიხაილ იუჟნის** ხვდებოდა და გვარიანად ანერვიულა თავისი გულშემატკივარი. როგორც ჩანს, ჯოკოვიჩს ჯერაც აწუხებს ის ტრავმა, რომელიც მან დევისის თასზე მიიღო. სხვანაირად რთულია იმის ახსნა, რომ პირველმა ნომერმა პირველი სეტი დაუთმო მეტოქეს. თუმცა მეორე და მესამე პარტიებში ყველაფერი თავის ადგილას დადგა და ჯოკოვიჩმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაალწია მესამე წრეში - 4:6, 6:1, 6:4. შეგახსენებთ, რომ ნოვაკს ორჯერ უთამაშია მონაკოს მასტერსის ფინალში (2009, 2010) და ორივეჯერ რაფა ნადალთან დამარცხდა.

სხვა მატჩებიდან უნდა გამოვყოთ **იარკო ნიემინენის** გამარჯვება **მილოშ რაონიჩის** წინააღმდეგ. ვეტერანმა ფინელმა გასაღები მოარგო ახალგაზრდა კანადელის მოწოდებებს და ბრეიკ-პოინტების რეალიზაციის შესაშური პროცენტი დააფიქსირა - რვიდან ექვსი ასეთი შანსი გამოიყენა და სამ სეტში მოიგო - 6:3, 1:6, 7:6(3). ახლა, სკანდინაველს მესამე წრეში არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** მოუწევს შეხვედრა.


რაფაელ ნადალი

ამბები

**დოპინგი**

## დასჯილი ძალოსნები

რუსეთის ძალოსნობის ფედერაციამ რვა სპორტსმენს მისცა დისკვალიფიკაცია ანტისადოპინგო წესების დარღვევისთვის. ეს ძალოსნები 15 თვით ჩამოაშორეს ოფიციალურ ტურნირებს, ერთ-ერთი სპორტსმენი - **დენის შირიაკოვი** კი სამუდამოდ არის დისკვალიფიცირებული, **მაქსიმ მატვეევს** კი ოთხწლიანი სასჯელი მისცეს.

როგორც ფედერაციაში აცხადებენ, არც ერთი დისკვალიფიცირებული ძალოსანი არ ირიცხება 2013 წლის სეზონისთვის რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში.

**კრივი**

## მეივეზერი და გერერო სუფთები არიან

4 მაისს, ლას ვეგასში უნდა გაიმართოს საკრივო ორთაბრძოლა პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ **ფლოიდ მეივეზერსა** და **რობერტო გეროროს** შორის. მანამდე კი მოკრივეებმა წარმატებით გაიარეს დოპინგ-ტესტები. ორივე სპორტსმენს სინჯი 3 აპრილს აულეს და შედეგი ახლა გახდა ცნობილი. დოპინგ-კონტროლი ნევადას შტატის ათლეტურმა კომისიამ ჩაატარა.

მეივეზერსა და გერეროს შორის გათამაშდება WBC-ის ტიტული 66.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

**ფორმულა 1**

## კატერჰემმა კოვალაინენი დაიბრუნა

ფინელი პილოტი **ჰეიკი კოვალაინენი** ფორმულა 1-ის გუნდ „კატერჰემში" დაბრუნდა, ოღონდ, ამჯერად, მეორე სარეზერვო პილოტის რანგში. ამის შესახებ გუშინ გუნდის პრესსამსახურმა გამოაცხადა.

შემადგენლობის რესტრუქტურიზაცია იმით არის გამოწვეული, რომ კიდევ ერთი სარეზერვო პილოტი **ალექსანდრ როსი** GP2-ის გუნდ „კატერჰემ რეისინგში" გადადის და ამ ახალგაზრდულ სერიაში სრულფასოვან სეზონს ჩაატარებს.

სამაგიეროდ, „კატერჰემში" რჩება ჩინელი **მა ცინ ჰუა**, რომელიც პირველი სარეზერვო პილოტი გახლავთ.

ბაჰრეინში უახლოეს უქმეებზე, კოვალაინენი პარასკევის თავისუფალ პრაქტიკაში მიიღებს მონაწილეობას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-უიგანი | 1:0 |
| ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ | 2:2 |
| ფულჰემი-ჩელსი | 0:3 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ლივორნო-ნოვარა | 1:3 |

**იტალიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ინტერი-რომა | 2:3 (1:2) |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| დორტმუნდი II-ოფენბახი | 0:0 |
| დარმშტადტი-ხემნიცი | 1:1 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ოლდენბურგი-ჰამბურგი II | 0:1 |
| ვაიხი-კლოპენბურგი | 0:0 |

**რეგიონალლიგა (ჩ-ა)**

| | |
|---|---|
| ჰერტა II-რატენოვი | 3:1 |
| ნოიშტრელიცი-კოტბუსი II | 3:0 |
| უნიონი II-ტორგელოვერი | 3:1 |
| მოისელვიტცი-აუერბახი | 5:2 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| ეშბორნი-კასელი | 0:1 |
| მანჰაიმი-ჰოფენჰაიმი II | 1:0 |
| კობლენცი-ელვერსბერგი | 0:1 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი II-მემინგენი | 1:2 |
| რაინი-ბაიერნ ჰოფი | 1:3 |
| ბუხბახი-ილერტისენი | 3:4 |

**გერმანიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| შტუტგარტი-ფრაიბურგი | 2:1 |

**საფრანგეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლანსი-ბორდო | 2:3 |
| ევიანი-პსჟ | 1:1 პენ. 4:1 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-ლოკერენი | 3:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიზე-სტ. ტრუიდენი | 2:3 |
| ლომელი-ვოლუვე | 2:0 |
| ბორინაჟი-რუზელარე | 1:0 |
| ტუბეკე-სტ. ნიკლაასი | 0:2 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ნავალი-მარიტიმუ B | 2:1 |
| მადეირა-კოვილია | 0:0 |
| ბენფიკა B-ატლეტიკო | 1:1 |
| ფეირენსე-სპორტინგი B | 1:3 შეწყდა |
| ბრაგა B-არუკა | 3:1 |
| პორტუ B-ფრეამუნდე | 0:2 |
| სტ. კლარა-ტროფენსე | 0:1 |

**პორტუგალიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| გიმარაეში-ბელენენსეში | 1:0 (2:0) |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კიოგე-ჰიორინგი | 1:2 |
| აკადემისკი-ვესტსიელანდი | 1:2 |

**დანიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ჰორსენსი-რანდერსი | 2:3 (0:1) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ჰალმსტადი-ატვიდაბერგი | 0:0 |
| ოსტერი-ჰაკენი | 2:0 |
| აიკ-მალმიო | 0:1 |

**ნორვეგიის თასი**

**I ეტაპი**

| | |
|---|---|
| კირკენსი-ტრომსიო | 1:8 |
| სპრინტი-მოსი | 0:2 |
| კვიკი-ასკიმი | 2:0 |
| დრობაკი-ფოლო | 2:3 |
| ნესოდენი-კონგსვინგერი | 0:3 |
| ოპსალი-ულ კისა | 1:7 |
| კფუმ-ფრამი | 1:0 |
| ლინი-ეიდსვოლდი | 3:1 |
| გრეი-კიელსასი | 0:5 |
| გრორუდი-გიოვრიკი | 2:2 პენ. 4:2 |
| ბაერუმი-ოსლო | 3:1 |
| ულერნი-ლორენსკოგი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| ჰაუერსეტერი-ჰამ კამი | 0:6 |
| სკედმსო-ლილესტრიომი | 0:4 |
| ბირკებეინერენი-ვალდრესი | 1:0 |
| სოლბერგი-მიონდალენი | 0:10 |
| ორნ ჰორტენი-სტაბეკი | 0:5 |
| ფლეკეროი-ლინგდალი | 5:0 |
| სტავანგერი-ვარდ ჰაუგესუნდი | 0:5 |
| ბროდი-ჰაუგესუნდი | 2:5 |
| ვაულენი-ვიკინგი | 0:4 |
| ავალდსნესი-სანდნესი | 1:7 |
| კოპერვიკი-ბრინი | 0:5 |
| ოისტესე-არნა | 3:2 |
| ვადმირა-ასანე | 2:3 |
| ფორდ-ფლორო | 1:2 |
| ტორნადო-სიოგნდალი | 0:4 |
| ბრატვაგი-ჰიოდი | 1:4 |
| კილ ჰემნე-რანჰაიმი | 0:1 |
| ბუვიკი-რუსენბორგი | 0:10 |
| ტრიომსდალენი-სკარპი | 0:0 დ.დ. 1:0 |
| ალგარდი-ეგერსუნდი | 5:5 პენ. 3:4 |
| ნიბერგსუნდი-ტინსეტი | 1:1 დ.დ. 3:1 |
| ორეტსტადი-სტრიომენი | 0:4 |
| ბრუმუნდალი-ელვერუმი | 0:2 |
| ტონსბერგი-ოსტსიდენი | 1:1 პენ. 4:2 |
| ნოტოდენი-ასკერი | 0:2 |
| პორს გრენლან.-არენდალი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| ჰოვდინგი-ბრანი | 0:14 |
| ელნესვაგენი-მიოლდე | 0:5 |
| ფლოია-სენია | 1:0 |
| ბოსეკოპი-ალტა | 1:4 |
| მიოლნერი-ჰარსტადი | 1:5 |

**ავსტრიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| პელეტსი-აუსტრია | 1:2 |
| რიდი-ლინცი | 1:1 დ.დ. 2:1 |

**შვეიცარიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ციურიხი-გრასჰოპერსი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| სიონი-ბაზელი | 0:1 |

**საბერძნეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| პაოკ-ასტერასი | 2:1 |

**თურქეთის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| შივასი-ტრაბზონი | 2:1 |
| ესქისეჰირი-ფენერბაჰჩე | 1:1 |

**კვიპროსის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| აელ-ომონია | 1:0 (0:0) |
| აეკ-აპოლონი | 1:1 (0:2) |

**ჩეხეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჩასლავი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| სლოვანი-პარდუბიცე | 2:0 |

**რუსეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ანჟი-დინამო | 0:0 დ.დ. 1:0 |
| ზენიტი-ყუბანი | 0:0 პენ. 4:3 |
| ცსკა-ენისეი | 3:0 |

**უკრაინის თასი**

| | |
|---|---|
| სევასტოპოლი-ტავრია | 1:1 პენ. 4:1 |
| ვოლინი-დნიპრო | 0:2 |
| შახტარი-კარპატი | 2:1 |
| არსენალი-ჩერნომორეცი | 1:2 |

**პოლონეთის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ვისლა-შლიონსკი | 2:3 (1:2) |

**ხორვატიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰაიდუკი-სლავენი | 1:1 (2:1) |
| ლოკომოტივა-სიბალია | 3:0 (1:1) |

**სერბეთი**

| | |
|---|---|
| რადი-სპარტაკი | 1:0 |

**სერბეთის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ოფკ-ვოივოდინა | 1:1 (0:1) |
| იაგოდინა-იავორი | 4:1 (0:1) |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ალუმინი-ოლიმპია | 2:0 |
| ტრიგლავი-ნოვა გორიცა | 2:0 |
| დომჟალე-რუდარი | 2:0 |
| კოპერი-მურა | 3:1 |
| პუბლიკუმი-მარიბორი | 2:1 |

**უნგრეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ვიდეოტონი-დიორი | 0:2 |

**ბულგარეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ლევსკი-ლოკომოტივი | 3:1 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ბელშინა-მინსკი | 0:0 |
| დინამო (მნ)-ნაფტანი | 1:1 |
| სლავია-დნეპრი | 0:0 |
| ტორპედო-შახტიორი | 0:3 |
| ბრესტი-გომელი | 1:1 |
| ნემანი-ბატე | 2:1 |

**ისრაელის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ირონი (რ-ლ)-ჰაპოელი (რ-გ) | 1:2 |
| ირონი (ქ-შ)-მაკაბი (ჰ) | 1:1 დ.დ. 2:1 |

**ესტონეთის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| პარნუ-ფლორა | 0:6 |
| ნომე კალიუ-განვიძსი | 5:0 |

**ლიტვის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ატლანტასი-ჟალგირისი | 0:0 |

**ჩერნოგორიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-მლადოსტი | 3:2 (1:1) |
| სელიკი-გრბალი | 2:0 (0:0) |

**კორეა**

| | |
|---|---|
| ჟეონბუკი-დაეგუ | 2:0 |
| ბუსანი-სუვონი | 2:1 |
| დაეიეონი-ულსანი | 0:3 |
| სეონგნამი-სეული | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ეფესი-ოლიმპიაკოსი | 83:72 |
| კახა ლაბორალი-ცსკა | 93:72 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბაიროიტი-ოლდენბურგი | 84:72 |
| ბამბერგი-ართლანდი | 73:74 |
| ალბა-ბონი | 76:55 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ტრაქტორი-დინამო (მ) | 2:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ესეტი-ტაპარა | 5:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ჟლინი-პლზენი | 1:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მონტე კარლო**

| | |
|---|---|
| **ბერდიხი**-გრანოლერსი | 7:5, 6:4 |
| რაონიჩი-**ნიემინენი** | 3:6, 6:1, 6:7 |
| **ფ. მაიერი**-ბაუტისტა აგუტი | 5:7, 6:4, 6:4 |
| **ჩილიჩი**-ანდერსონი | 6:2, 6:3 |
| მატოშევიჩი-**ნადალი** | 1:6, 2:6 |
| რამოსი-**ფონინი** | 3:6, 5:7 |
| **მელცერი**-ალმაგრო | 6:4, 6:2 |
| **ვავრინკა**-მონტანიესი | 6:1, 6:1 |
| **ჯოკოვიჩი**-იუჟნი | 4:6, 6:1, 6:4 |
| გულბისი-**მონაკო** | 0:6, 6:3, 3:6 |
| როჟე ვასელენი-**მარეი** | 1:6, 4:6 |

TV პროგრამა

**18 აპრილი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ფულემი-ჩელსი.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. აუგსბურგი-აინტრახტი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. ვაალვიკი-ფეიენოორდი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXXIII ტური. არსენალი-ევერტონი.
21:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური. ეინდჰოვენი-აიაქსი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. შალკე-ლევერკუზენი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. სან პაულუ-პირასიკაბა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-პორტლენდი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნორვიჩი.
17:00 რაგბი. ოთხი ერი თასი. არგენტინა-ახალი ზელანდია.
19:00 ყველაზე სწრაფები.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
21:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი . 2000-01 წლები. II ნაწილი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი (LIVE).
00:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ჰიუსტონი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაზელი-ტოტენჰემი.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ



# რა არის სნუკერი?

**20 აპრილს, შეფილდში სნუკერში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ამიტომაც უპრიანი იქნება, თუ ამ პოპულარული ტურნირის წინ, თამაშის წესებს გავიხსენებთ (მომზადებულია www.gamezerpro.com-ისა და www.sok.ge-ის მასალების მიხედვით).**

სნუკერი - ბილიარდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა. მას თამაშობს ორი ადამიანი ექვსლუზიან (ე.წ. ინგლისურ) მაგიდაზე, რომლის სიგრძეა 3569 მმ, სიგანე - 1778 მმ. ბურთულის დიამეტრია 52,5 მმ.

თამაშობენ 15 წითელი, 6 სხვადასხვა ფერის და ერთი "დამრტყმელი" თეთრი ბურთულით.

პირველი დარტყმა ხდება რკალიდან (D-ზონა) და მოთამაშემ უნდა სცადოს ლუზაში მოათავსოს წითელი ფერის ბურთულა. ამის შემდეგ შეუძლია ითამაშოს სხვა ფერის ბურთულაზე.

ბურთულების ღირებულება ფერების მიხედვით განსხვავებულია: წითელს მოაქვს 1 ქულა, ყვითელს - 2, მწვანეს - 3, ყავისფერს - 4, ლურჯს - 5, ვარდისფერს - 6, შავს - 7.

ზედიზედ ორი წითელი ბურთულის ჩაგდება აკრძალულია. მოთამაშე ვალდებულია, კიით მორიგეობით ჩააგდოს ლუზაში ჯერ წითელი, შემდეგ კი ფერადი ბურთულები. ჩაგდებული ფერადი ბურთულები ისევ მაგიდაზე, თავის ადგილას ბრუნდება. ასე გრძელდება იქამდე, სანამ ყველა წითელი ბურთულა ლუზაში არ ჩავარდება. ახლა უკვე სამიზნე ხდება ყვითელი ფერის ბურთულა, შემდეგ მწვანე და ასე თანმიმდევრულად. სულ ბოლოს შავი ბურთულა უნდა ჩავარდეს (თუ პარტია მანამდე არ დამთავრდა).

მატჩში პარტიების რაოდენობა წინასწარ არის დადგენილი (მაგალითად, შეხვედრა გრძელდება ერთ-ერთი მეტოქის მიერ 18 პარტიის მოგებამდე). პარტიას იგებს ის, ვინც მეტ ქულას მოაგროვებს.

თუ პარტიის ბოლოს ქულების რაოდენობა არის თანაბარი, მაშინ შავი ფერის ბურთულა ბრუნდება მაგიდაზე საწყის მდგომარეობაში და მოთამაშემ, რომელმაც მოიგო „ბურთულის გაგორება", ასრულებს პირველ დარტყმას რკალიდან.

ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 147 (15 წითელი ბურთულის ჩაგდება შავთან მონაცვლეობით, მერე კი - ფერადების). მაგიდასთან ერთი მისვლით დაგროვილ ქულათა რაოდენობას სერია (break) ეწოდება, ერთი მისვლით 100 ან მეტი ქულის დაგროვებას - "ასიანი სერია" (Century break). 147-ქულიანი სერია (maximum break) იშვიათობაა და ნებისმიერი მოთამაშისთვის უდიდეს მიღწევად ითვლება.

## ჯარიმები

მინიმალური ჯარიმა არის 4 ქულის დაკლება, როდესაც წითელი ფერის ბურთულა არის სამიზნე და „დამრტყმელი" არ შეეხება მას. ჯარიმა იზრდება შესაბამისად სხვა ბურთულის შემთხვევაში (მაგალითად, სამიზნე არის ლურჯი ფერის ბურთულა და „დამრტყმელი" არ შეეხება, მაშინ მოთამაშეს ჩამოაკლდება ლურჯი ფერის შესაბამისად 5 ქულა). ჯარიმა არის და შესაბამისი ქულა დააკლდება მოთამაშეს, როდესაც სამიზნე არის ერთი რომელიმე ბურთულა და ლუზაში მოთავსდება სხვა ფერის. ასეთ შემთხვევაში საჯარიმო ქულა არის უდიდესი ამ ბურთულებიდან (მაგალითად, თუ სამიზნე არის მწვანე ბურთულა და ლუზაში მოთავსდება ლურჯი ფერის, ჯარიმა იქნება 5 ქულა და პირიქით).

## სნუკერი

სნუკერი ნიშნავს მაგიდაზე ბურთულების ისეთ განლაგებას, როდესაც არ ჩანს სამიზნე ბურთულა (ანუ სამიზნე ბურთულა ამოფარებულია სხვა ბურთულას უკან).

# წილისყრა უკვე გაიმართა



რონი ო'სალივანი

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **რონი ო'სალივანი** თავისი ტიტულის დაცვას შოტლანდიელი **მარკუს კემპბელის** წინააღმდეგ მატჩით დაიწყებს. 37 წლის ინგლისელისთვის ეს იქნება პირველი ოფიციალური შეხვედრა შარშანდელი ფინალის შემდეგ.

წილისყრის შედეგების მიხედვით, გაირკვა პირველი რაუნდის დანარჩენი წყვილები. მეორე ნომრად განთესილი **მარკ სელბი მეტიუ სელტს** შეხვდება, იმ დროს, როცა **ჯად ტრამპს** მეტოქედ ერგო **დომინიკ დეილი**. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ჯონ ჰიგინსი** მეორე წრეში გასასვლელად **მარკ დევისს** დაუპირისპირდება, მეორე ექსჩემპიონი **მარკ უილიამსი** კი **მაიკლ უაიტს**.

ასევე გველოდება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალის გამეორება – შეხვედრა **გრემ დოტსა** და **პიტერ ებდონს** შორის. შარშანდელი ფინალისტი **ალი კარტერი** ბრძოლას დაიწყებს **რობერტ მილკინსთან** მატჩით.

მსოფლიოს ჩემპიონატის 1/16 ფინალის მატჩები 20-25 აპრილს გაიმართება. განრიგი ასე გამოიყურება:

1. რონი ოსალივანი-მარკუს კემპბელი. 20.04 (13:00 და 22:00)
2. ალი კარტერი-ბენ უოლასტონი. 22.04 (22:00), 23.04 (22:00)
3. სტიუარტ ბინჰემი-სემ ბეირდი. 24.04 (22:00), 25.04 (22:00)
4. ჯონ ჰიგინსი-მარკ დეივისი. 21.04 (17:30), 22.04 (17:30)
5. შონ მერფი-მარტინ გულდი. 20.04 (17:30), 21.04 (22:00)
6. გრემ დოტი-პიტერ ებდონი. 21.04 (13:00), 22.04 (13:00)
7. მეტიუ სტივენსი-მარკო ფუ. 23.04 (13:00), 24.04 (17:30)
8. ჯად ტრამპი-დომინიკ დეილი. 23.04 (17:30), 24.04 (13:00)
9. ნილ რობერტსონი-რობ მილკინსი. 24.04 (17:30), 25.04 (17:30)
10. რიკი უოლდენი-მაიკლ უოლტი. 20.04 (13:00), 21.04 (13:00)
11. მარკ უილიამსი-მაიკლ უაიტი. 20.04 (22:00), 21.04 (17:30)
12. სტივენ მაგუაირი-დეჩავატ პუმჯაენგი. 22.04 (17:30), 23.04 (17:30)
13. მარკ ალენი-მარკ კინგი. 22.04 (13:00 და 22:00)
14. დინ ჯუნჰუ-ალან მაკმანუსი. 23.04 (13:00), 24.04 (13:00)
15. ბარი ჰოკინსი-ჯეკ ლისოვსკი. 20.04 (17:30), 21.04 (22:00)
16. მარკ სელბი-მეტ სელტი. 23.04 (22:00), 24.04 (22:00)

9-16 მატჩები მეორე მაგიდაზე გაიმართება. მითითებული დრო თბილისისაა.

ფორმულა 1

# ფეტელის სახალისო ანკეტა

**გასულ წელს, ფორმულა 1-ის ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტებმა ყველა პილოტს დაუსვეს შეკითხვები რუბრიკაში - „პირადი ცხოვრება". ახალ სეზონში გაჩნდა ახალი რუბრიკა - „ფინიშის ხაზი", რომელშიც პილოტებს მეტად სახალისო ანკეტას ავსებინებენ. რუბრიკის პირველი სტუმარია მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი სებასტიან ფეტელი.**

**- სპორტსმენი, რომლითაც ყველაზე მეტად ხართ აღფრთოვანებული...**

- მიხაელ შუმახერი, რადგან მას ძალიან კარგად ვიცნობ. შეიძლებოდა დამესახელებინა მაიკლ ჯორდანი, მაგრამ მას არასოდეს შევხვედრივარ, ამიტომაც ვამბობ იმას, ვისაც ვიცნობ.

**- მსოფლიოში საუკეთესო მსახიობი...**

- ჯონ ტრავოლტა.

**- ყველაზე მხიარული ადამიანი, რომელსაც იცნობ...**

- თუ იუმორის გრძნობაზე ვილაპარაკებთ, ეს არის ბერნი ექლსტოუნი.

**- ჩემი საყვარელი სასმელი...**

- "რედ ბული" და ვაშლის შპრიტცერი (უალკოჰოლო კოქტეილი ვაშლის წვენისგან და გაზიანი მინერალური წყლისგან).

**- არასოდეს არ ჩავიცვამ ისეთ ტანსაცმელს...**

- ასეთი რამ არ არსებობს.

**- საუკეთესო თავის მართლება უფროსობასთან იმ დროს, როცა მანქანას ამტვრევთ...**

- ყოველთვის სიმართლეს ვამბობ, თუნდაც ამან ცუდ მდგომარეობაში ჩამაყენოს.

**- ბოლო ნივთი, რომელიც დაკარგეთ...**

- მე ყოველთვის "თითქმის" ვკარგავ. ამასწინ, მეგონა, რომ საფულე დავკარგე, მაგრამ თურმე თან მქონდა. მანამდე გავიფიქრე, რომ პასპორტი დავკარგე, მაგრამ არა...



სებასტიან ფეტელი

**- ყველაზე დასამახსოვრებელი გასწრება თქვენს კარიერაში...**

- ასეთი ბევრი იყო. ზოგი დიდი ხნის წინ, ზოგიც სულ ახლახან...

**- ჩემი ყველაზე საყვარელი სიმღერა...**

- ხასიათზეა დამოკიდებული. მაგრამ თუ მაინცდამაინც ერთი უნდა ავირჩიო, მაშინ AC/DC-ის Back In Black.

**- რა არის სეზონებს შორის ყველაზე უკეთესი?**

- შინ ყოფნა.

**- ჩემი ყველაზე უარესი ვარცხნილობა...**

- მოკლედ შეჭრილი, როგორც 2007 წელს მქონდა!

**- ბოლოს წყობიდან გამოვედი...**

- ნებისმიერ წვრილმანზე გამოვდივარ წყობიდან, მაგრამ მალე ვმშვიდდები. კარგი ხასიათი მაქვს.

**- ჩემი პირველი სახლის ცხოველი...**

- ჩვენი ოჯახის ძაღლი – დალმატინელი სახელად ფლოიდი.

**- ყველაზე ძვირფასი ნივთი, რომელიც გაგაჩნიათ...**

- ჩემი მოგონებები.

**- ჩემი საუკეთესო დასასვენებელი ადგილი...**

- სახლი.

**- ჩემი საყვარელი დრო...**

- დილა.

**- ყველაზე უცნაური ჭორი, რაც საკუთარ თავზე წამიკითხავს...**

- რომ მე შევიძინე მიწის ნაკვეთი ავსტრიის ალპებში ტყითა და მინდვრებით და რომ კონტრაქტი გავაფორმე "ფერარისთან".

**- საუკეთესო საჩუქარი, რომელიც გულშემატკივრისგან მიმიღია...**

- ნახატი, რომელიც ავსტრალიის წლევანდელი გრანპრის წინ ერთმა გულშემატკივარმა მომართვა: მან ფეტელი და მანქანა დახატა.

**- საუკეთესო საშუალება ნაბახუსევზე...**

- წყალი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:45
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608